ბროშმალი ბიბლიოთეკა

# პოლიციამ მსაჯს სცემა



ზუგდიდელი სპანელი

» გვერდი 3

ლელო

პოლიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 სექტემბერი **ორშაბათი** 2009

№ 205 (12 884) ფასი 60 თეთრი

■ საქართველო-იტალია

# შეკრება დაიწყო,

# ჟანო თბილისშია



» გვერდი 4

# სანიკიძე

## სატრანსფერო ბაზრის სიურპრიზი?



» გვერდი 12

ზაფხულის ბოლო სატრანსფერო დღე

# გროსო იუვენტუსში, გუდიონსენი მონაკოში

ფაბიო გროსო



ეიდურ გუდიონსენი



» გვერდი 10

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოლიმპიური სიმშვიდე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-2 | 15 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-6 | 10 |
| 4. სპარტაკი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-8 | 9 |
| 5. დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 6. სამტრედია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 7. გაგრა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 8. ბაია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 9. სიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| 10. ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 5 |
| გაგელაშვილი (გაგრა) | 4 |
| ჟონატასი (ოლიმპი) | 3 |
| დ. ქირია (ბაია) | 3 |
| დვალი (ზესტაფონი) | 3 |
| კაკალაძე (სამტრედია) | 3 |

**მომდევნო ტური**

**12 სექტემბერი, შაბათი**

დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
გაგრა-ლოკომოტივი
სპარტაკი-სამტრედია
სიონი-ბაია

**ზაფხულიც** გავაცილეთ და სანაკრებო მატჩების გამო, ორი კვირით ჩემპიონატშიც პაუზა გამოცხადდა. ადრე ვივარაუდეთ, და ასეც მოხდა: შემოდგომის დადგომას რუსთავის „ოლიმპი" ერთპიროვნული ლიდერის რანგში რომ უნდა შეხვედროდა. ჰო, საკმარისი იყო კალენდარს გასცნობოდით და მაშინვე იტყოდით: ოთარ კორღალიძის გუნდი აგვისტოს თვეს უდანაკარგოდ გაივლისო! ახლაც, მეხუთე ტურში, „ოლიმპმა" უპრობლემოდ დაამარცხა „სიონი" და ზედიზედ სამი ურთულესი მატჩის წინ სოლიდური უპირატესობით შეუძლია თავიც მოიწონოს. თანაც, რაც მთავარია, მხრის ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა ანდერსონ აკინო! ბრაზილიელმა ვირტუოზმა მორიგი ზღაპრული მატჩი ჩაატარა, თუმცა, იმედია, ერთპიროვნული ლიდერის ქომაგები არ გვიწყენენ, თუ ვიტყვით, რომ ტურის ეპიცენტრი მაინც სხვაგან იყო. რა მიხვედრა სჭირდება - „ზესტაფონისა" და „დინამოს" დაპირისპირებას ვგულისხმობთ, ბევრისთვის მოულოდნელად, სტუმართა რბევით რომ დასრულდა...

## მითების მსხვრევა

ტურის წინათქმაში, „ზესტაფონისა" და „დინამოს" პრინციპულ დაპირისპირებას „სანახაობის მოლოდინი" ვუწოდეთ. ასეც მოხდა: ეს შეხვედრა ვინც იხილა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ახალი სეზონის საუკეთესო მატჩი იყო! რაღა თქმა უნდა, ფეხბურთში იშვიათია შემთხვევა, როცა მატჩის შედეგით ორივე გუნდი კმაყოფილია; ანუ, აბსოლუტურად გასაგები იქნება ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ქომაგთა გულისწყრომა ასეთი მტკივნეული მარცხის გამო. მაგრამ, მეორე მხრივ, „ნეიტრალური" გულშემატკივარიც აღფრთოვანებული დარჩებოდა, მასპინძელთა შთამბეჭდავი თამაშის (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში) შემხედვარე.

...ტურის წინათქმაში უსიამოვნო მოულოდნელობად მივიჩნიეთ ის ფაქტი, რომ მართლაც „მრისხანე" თავდასხმის ხაზის მქონე „ზესტაფონს" ოთხ მატჩში მხოლოდ სამი გოლი ჰქონდა გატანილი. და აი, ერთ შეხვედრაში მეტოქის კარში ოთხი გოლი გაიტანეს, თან, მეტოქესაც ხომ გააჩნია? ისე, ამ გამარჯვებით, ერთდროულად, რამდენიმე „მითი" დაიმსხვრა: „ზესტაფონს" აქამდე არასდროს დაემარცხებინა „დინამო" ასეთი შთამბეჭდავი ანგარიშით; ამას გარდა, **გია გეგუჩაძის** გუნდმა თითქმის სრულფასოვანი რევანში აიღო წინა სეზონში საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხისთვის (0:4); ეგეც რომ არ იყოს, „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელსაც, ალბათ, „საკუთარი" ანგარიში ჰქონდა „დინამოსთან" - გეგუჩაძემ მესამე ცდაზე შესძლო თავისი ყოფილი კლუბის დამარცხება!

**ზაალ ელიავა, ზურაბ მამალაძე, უჩა ლობჟანიძე, შოთა გრიგალაშვილი, ჯაბა დვალი, თორნიკე აფციაური, ლევან კორღალიძე** - მასპინძელთა შვიდივე ამ ფეხბურთელს, სხვადასხვა დროს, „დინამოში" უთამაშია; სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, „დინამოში" ამ შვიდივემ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა და კარგად მოგეხსენებათ, ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ფეხბურთელები როგორი მოტივაციით ასპარეზობენ.

ისე, მართლაც უცნაური იყო: თითქმის თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, მატჩის მეორე ნახევარში რომ აშკარად განსხვავებული სურათი ვიხილეთ. ისევ პირველ ტაიმს დავუბრუნდეთ: მასპინძლებმა ერთი რეალური მომენტი შექმნეს, მაგრამ თორნიკე აფციაურის დარტყმა **გიორგი ლორიამ** მოიგერია. „დინამოს" უფრო მეტი შანსი ჰქონდა პირველ ტაიმშივე რომ გოლი გაეტანა, მაგრამ **გიორგი ნერგაძესა** და **ალექსანდრე კოშკაძეს** საიმედოდ მოთამაშე ზურაბ მამალაძემ აჯობა; ერთ ეპიზოდში კი **მათე ვაწაძემ** წამით ვერ მიუსწრო ბურთს, თორემ მასპინძელთა კართან ხიფათი გარდაუვალი იქნებოდა...

აი, მეორე ტაიმში კი გეგუჩაძის შეგირდებმა ტემპს მოუმატეს და ყველაფერი ეს... ტაბლოზეც აისახა! რა თქმა



ჯაბა დვალი

უნდა, სასიამოვნო სანახავი იყო მასპინძელთა გოლების ხილვა: ვინ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე (**ნიკოლოზ გელაშვილს** ვგულისხმობთ) ვინ კი - ლამაზი კომბინაციის შემდეგ რომ იხეირა. თუმცა, მეორე მხრივ, არანაკლებ მოულოდნელი იყო „დინამოს" ფეხბურთელთა მოქმედებაში არსებული უამრავი წუნი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ამბიციური გუნდი დაცვასა თუ მოედნის ცენტრში ამდენ უპატიებელ შეცდომას არ უნდა უშვებდეს; შეცვლაზე შემოსულმა **ჯორჯ აკირემიმ** გოლის გარდა ერთხელ ძელს გაარტყა ბურთი და ერთხელაც კოშკაძის თავური დარტყმა მამალაძემ მოიგერია - სულ ეს იყო „დინამოს" შეტევები...

...მატჩის შინაარსს ყველაზე უკეთ მასპინძელთა მეოთხე გოლი ასახავდა, როცა საგოლე შეტევაში „ზესტაფონის" ლამის ყველა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა და ბოლოს ბურთი მეტოქის კარის წინ მარტოდმარტო მდგომ ჯაბა დვალს მიუვიდა!..

...2004 წლის 25 ოქტომბერს, ავლაბარში, სკა-ს სტადიონზე გია გეგუჩაძის „დინამომ" დიდი ანგარიშით (0:5) წააგო შეხვედრა **გიორგი დევდარიანის** „თბილისთან". იმის მერე თითქმის ხუთი წელიწადი გავიდა და „დინამოს" სამი და მეტი ბურთის სხვაობით მატჩი აღარ წაუგია და აი, ზესტაფონში ეს უსიამოვნო „ტრადიცია გაიხსენა"...

...გია გეგუჩაძე კი სამართლიანად მივიჩნიეთ „ტურის მწვრთნელად" - „ზესტაფონმა", ბოლოს და ბოლოს, ის ფეხბურთი (თანაც - უპრინციპულეს მეტოქესთან) უჩვენა, ამ გუნდის ქომაგები რომ ელიან!

## სადაც აკინოა, პროჟექტორები საჭირო არ არის

ლუპაო, ტელესკოპიო, პროჟექტორებიო, - რა გამადიდებელ „გასანათებელ" საშუალებებზე აღარ ლაპარაკობდნენ ქვემოქართლური „დერბის" წინ; ჰო, მართლაც უცნაური სიტუაცია იყო: ჩემპიონატი წესიერად არც დაწყებულა და ერთ კონკრეტულ შეხვედრას ათასი მითქმა-მოთქმა უძღოდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ამბები იქნება „ოლიმპისა" და „სიონის" მომდევნო სამი დაპირისპირების წინაც; ჰოდა, ასეთი არასასიამოვნო აჟიოტაჟის მერე, ცოტა არ იყოს, ძნელია კიდეც ვინმე დააჯერო, რომ ამ ორ მეტისმეტად მჭიდროდ „ჩახუტებული" გუნდის პაექრობები, მართლაც, პატიოსან ბრძოლაში რომ ჩაივლის. მეორე, მესამე თუ მეოთხე წრეში, რა და როგორ იქნება, ეს არავინ იცის; უფრო ზუსტად, ალბათ, ვინც საჭიროა, იმ ხალხსაც ეცოდინება, მაგრამ ხმამაღლა ამას როგორ იტყვიან?

მანამდე კი წინასწარ აჟიტირებულ შეხვედრას დავუბრუნდეთ, სადაც გამადიდებელი საშუალება არავის დასჭირვებია. უბრალოდ, გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა ცხრილის საპირისპირო პოლუსზე მყოფი მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა; ანუ, ამ მომენტისათვის ბევრად უფრო ძლიერმა და ბევრად კარგად დაკომპლექტებულ-შეთამაშებულმა გუნდმა მეორეს აჯობა! თან, ჭეშმარიტად „ბრაზილიური საღამო" ვიხილეთ რუსთავში: სამივე გოლი ხომ **აკინომ, ჟონატასმა** და **ჟერონიმომ** გაიტანეს! ეგ კი არა, მეოთხესაც უნდა ეხეირა, მაგრამ პირველ ტაიმში **ჩოკომ** ისეთი ხელსაყრელი პოზიციდან (თან, ზედიზედ ორჯერ) ვერ იხეირა, კინაღამ მის წარმოშობა-ბიოგრაფიაშიც ეჭვიც შევიტანეთ. ყოველ შემთხვევაში „ოლიმპის" ბრაზილიელთა შორის ასაკით ყველაზე უმცროსი, აშკარად ჩამოუვარდება თანამემამულეებსაც და საერთოდ, სხვა თანაგუნდელებსაც. აბა, **დენის დობროვოლსკისა** თუ **შოთა ბაბუნაშვილზე** უკეთესი ფეხბურთელია, თუ მშობლიური ქალაქის გუნდში პირველად მოასპარეზე **დავით იმედაშვილს** სჯობს?

აი, თამაშს რაც შეეხება, ეს მხოლოდ პირველ ტაიმზე ითქმის; რუსთაველ ქომაგთა ახალმა კერპმა, ანდერსონ აკინომ ჩინებულად რომ „შეირგო" ბაბუნაშვილის არანაკლებ შესანიშნავი შორეული გადაცემა და ანგარიში გახსნა. ამის მერე, აკინომ უკვე თავისი საფირმო პასების ჩამორიგება დაიწყო. მაგრამ სტუმართა კარში მეტი გოლი არ გასულა. ჩოკოს, მართლაც, კურიოზულ მომენტზე უკვე ვთქვით და დანარჩენ შემთხვევებში, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, გოლის გატანასთან ახლოს... სტუმრები იყვნენ! თუმცა, **გრიგოლ ჭანტურია** ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ უშეცდომოდ თამაშობდა და „სიონის" მარცხენა მცველის **თენგიზ ჩიკვილაძის** მიერ შესრულებული ორი მეტისმეტად სახიფათო საჯარიმო დარტყმაც მოიგერია. ჩიკვილაძის მონდომებაც გასაგები იყო - ეს ფეხბურთელი ხომ ახალი სეზონის დაწყების წინ... „ოლიმპიდან" დაითხოვეს! ჭანტურია კიდევ ერთხელ მოექცა






ყურადღების ცენტრში, როცა ტაიმის უკანასკნელ წუთზე... „ოლიმპის" კარში დანიშნული პენალტი მოიგერია. აი, ეს იყო, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა, „ფოლადის" ტრიბუნები თუ სტადიონის გადაჭედილი „ვიპ-ლოჟა" რომ ახმაურდა! მეკარე **მინდია ბობღიაშვილის** პასით (!) **ბესიკ ჩიმაკაძე** სტუმართა საჯარიმოში წააქციეს და გვერდითი არბიტრის (**შოთა ქუხილავა**) ენერგიული ჟესტების შემყურე **ლევან კვარაცხელიამაც** მასპინძელთათვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო. თან, **სევასტი თოდუაც** გააძევა - „ბოლო იმედის" ჯარიმისთვის...

...დარტყმა თვითონ დაზარალებულმა ითავა და 36-წელს მიღწეულმა ჭანტურიამ ლამაზ ნახტომში ბურთი მოიგერია! აბა, ვინღა იტყოდა, თამაში „ჩაწყობილიაო" - მასპინძლებს ფეხბურთელიც გაუძევეს, პენალტიც მათ კარში დანიშნეს; ეგ კი არა, შესვენების წინ, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში „ოლიმპისა" და „სიონის" სამწვრთნელი შტაბის წარმომადგენლებმა (გვარებს არ დავაკონკრეტებთ) ერთმანეთი ჯერ სიტყვიერად „მოიკითხეს", მერე კი, ქვემოდან ისეთი ხმაური ამოდიოდა, ვეჭვობთ, ფიზიკურ კონტაქტსაც ექნებოდა ადგილი...

...როცა მინიმალური სხვაობით მარცხდება და მეტოქეზე ერთით მეტი ფეხბურთელი ჰყავს, იმ გუნდს, ალბათ, აქტიურობაც მოეთხოვება; მაგრამ, მეორე ტაიმში „სიონმა" მხოლოდ ერთხელ დაარტყა მასპინძელთა კარის მიმართულებით... სამაგიეროდ, „ოლიმპის" ბრაზილიელებმა გაილაღეს და აკინოს წაქცევისათვის პენალტი ჟონატასმა გაიტანა, მერე კიდევ, ჟერონიმოს, 80-მეტრიანი რეიდი მორიგი გოლით დასრულდა. თუმცა, მთავარი მაინც აკინოს შთამბეჭდავი თამაში იყო! ეგ კი არა, კიდევ კარგი, ამ ბრაზილიელმა შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო, თორემ, ამ „ეჭვიან" ჟურნალისტებს ვიღა დააჯერებდა, რომ მთლად „სუფთა" მატჩი არ იყო?

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ვინც რა უნდა თქვას ან დაწეროს, ფაქტი სახეზეა - **ოთარ კორღალიძის** გუნდი ერთადერთია, უდანაკარგოდ რომ ასპარეზობს და ჩემპიონატსაც ერთპიროვნულად ლიდერობს! ჰოდა, ახლა, გინდ ლუპა მიიტანეთ თვალთან, გინდ პროჟექტორებით გაანათეთ - „ოლიმპი" პირველ ადგილზეა!*

*დაბოლოს, კინაღამ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ამ შეხვედრაში მსაჯთა დამკვირვებელი ბატონი **ამირან კაჭახიძე** გახლდათ. ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ კაჭახიძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო და მსაჯთა სადამკვირვებლო კომიტეტის თავმჯდომარეა...*

**საქართველოს ჩემპიონატი.**

**პირველი ლიგა. II ტური**

**30 აგვისტო**

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ფ)-ბათუმი | 0:0 |
| ჩიხურა-მერანი (მ) | 2:0 |
| ტორპედო-ჭიათურა | 8:1 |

**31 აგვისტო**

| | |
|---|---|
| IBSU-მეშახტე | 5:0 |
| მერცხალი-მესხეთი | 0:3 |
| კოლხეთი (ხ)-ჰერეთი | 2:0 |
| ნ. დინამოელი-გურია | 5:1 |

*35-ე ს.კ. ისვენებს*

**დუბლიორთა ჩემპიონატი.**

**II ტური**

**ვიტ ჯორჯია-სამტრედია 3:1**
გოლები: 0:1 ჩხაიძე (15), 1:1 ვეკუა (63), 2:1 ვასაძე (65), 3:1 კასრაძე (80)
არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

**დინამო(თბ)-სიონი 2:1**
გოლები: 1:0 ჩადუნელი (42), 2:0 ლექვთაძე (71), 2:1 კეკელია (83-საკ. კარში)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**სპარტაკი-ოლიმპი 1:2**
გოლები: 1:0 აპა ანი (31), 1:1 ჯინჭარაძე (43-პენ), 1:2 არველაძე (72)
არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ლოკომოტივი-გაგრა 2:0**
გოლები: 1:0 სეთურიძე (50-პენ), 2:0 ანდღულაძე (72)
არბიტრი: ზვ. ასკაროღლი (ქარელი)

**ზესტაფონი-ბაია** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 2. ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. გაგრა | 2 | 1 | 0 | 1 | 10-2 | 3 |
| 4. ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 5. ბაია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 6. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-1 | 0 |
| 9. სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 10. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-12 | 0 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# პოლიციამ მსაჯს სცემა



ალექსანდრე კრიჭაშვილი

„ლელოს" გუშინდელ ნომერში „ბაიასა" და „გაგრას" მატჩის რეპორტაჟი შემოგთავაზეთ, სადაც ნახსენები იყო, რომ ზუგდიდელები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ. მოგვიანებით კი დავაზუსტეთ, რომ საქმე უკმაყოფილებით არ შემოფარგლულა და შეხვედრის არბიტრს, **ალექსანდრე კრიჭაშვილს** ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს.

როგორც მატჩის თვითმხილველები ამბობენ, მას თამაშის სადავეები ხელიდან გაექცა, რაც ცალკე თემაა და იმედია, ამ ამბავს მსაჯთა კომიტეტი მიხედავს, ამაზე ბევრად უფრო გამაოგნებელი კი ისაა, რომ კრიჭაშვილს ხელით არა „ბაიას" წევრები ან გულშემატკივრები, არამედ პოლიციის თანამშრომლები შეეხნენ.

*„პროფლიგაში პატაკი ჩავაბარე, სადაც მომხდარი დეტალურად მაქვს აღწერილი. მოკლედ კი იმის თქმა შემიძლია, რომ პოლიციელებმა უკნიდან ორჯერ დამარტყეს"*, - გვითხრა კრიჭაშვილმა.

იმედია, მომხდარს დროულად და ობიექტურად გამოიძიებენ. ერთი ეგაა, თუ სამართალი მხოლოდ სამართალდამცავებმა დაარღვიეს, პროფლიგა ვერაფერს გახდება და მათ დასჯაზე მათმა ზემდგომებმა უნდა იზრუნონ...

ლევან ჯანეზაშვილი

## პაატა ბურჭალიანი: სამართალდამცავი წესრიგს არ უნდა არღვევდეს

ზუგდიდში, „ბაია"-"გაგრას" მატჩის შემდგომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან **პაატა ბურჭალიანს**, რომელმაც ასეთი რამ გვითხრათ:

*„ალექსანდრე კრიჭაშვილმა დაწერა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომელმა დაარტყა. ეს არის აღმაშფოთებელი ფაქტი, მსაჯს ურტყამს ის, ვინც თავადაა ვალდებული, მსგავსი სამართალდარღვევა აღკვეთოს, დაიცვას მსაჯი და მატჩის ნებისმიერი მონაწილე. მსგავსი გამოხდომა არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ჩვენ საქმიანი ურთიერთობა გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და აუცილებლად მოვთხოვთ ამ ფაქტის გამოძიებას. ეს არის ძალზე ცუდი პრეცედენტი და თუ ძირშივე არ აღმოიფხვრა, არავინ იცის, თვალის დახუჭვას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. სამწუხარო ის არის, რომ მსაჯის ცემისთვის სასჯელი ზუგდიდის „ბაიას" დაეკისრება, არადა, რეალურად კლუბი მომხდარში დამნაშავე არ არის, თუმც იურიდიულად პასუხი მოეთხოვება. დიახ, იურიდიულად სწორედ კლუბია ვალდებული, უზრუნველყოს წესრიგი საშინაო შეხვედრის დროს. არადა კლუბმა თავისი მოვალეობა შეასრულა, წესრიგის დასაცავად დაიქირავა პოლიცია, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმაც, როგორც ალექსანდრე კრიჭაშვილი ამტკიცებს, წესრიგი თვითონ დაარღვია და მსაჯს სცემა. წინასწარ მიჭირს თქმა, თუ რა სასჯელი დაეკისრება „ბაიას", რადგან ეს სადისციპლინო კომისიის კომპეტენციაა, ეს კომისია კი ცალკე სტრუქტურაა. ფაქტია, რომ მოხდა ძალიან ცუდი პრეცედენტი, რომლის განმეორებაც არ უნდა დავუშვათ, ამას ყველანაირად შევებრძოლებით"*, - გვითხრა ბურჯალიანმა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ნამატჩევს უცნობმა პირებმა მედიაკომპანია „კოლხიდას" წარმომადგენლებს თამაშის ვიდეოჩანაწერი წაართვეს და მხოლოდ კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ დააბრუნეს.

აღმაშფოთებელია ასეთი საქციელი, რადგან ეს არ არის ნაღდი გულშემატკივრის საქციელი. ამ ნაღდმა გულშემატკივარმა კი, რომელიც ტრიბუნებზე აშკარა უმრავლესობაში იყო, მატჩის შემდეგ „გაგრასა" და „ბაიას" ფეხბურთელები გასახდელში ტაშით გააცილა. აი, ასე - ვილაც ვაიგულშემატკივარმა ზუგდიდური კლუბი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

## ილია პავლიაშვილი: რატომ უნდა გავჩერებულიყავი?

ზუგდიდში „ბაიასა" და „გაგრას" შეხვედრა სკანდალურად დასრულდა. „გაგრას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ მთავარ არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს მატჩის დასრულების შემდეგ სცემეს. ფაქტს თავად არბიტრიც ადასტურებს. კრიჭაშვილს მატჩის სადავეები ხელიდან გაექცა, მაგრამ ეს ვერ იქნება მიზეზი, რომ მსაჯზე ხელი აღმართო. ყველაფერი კი 73-ე წუთზე დაიწყო, როდესაც „ბაია" სტუმართა კარში პენალტის დანიშვნას ითხოვდა. კრიჭაშვილმა თამაში არ გააჩერა, გაგრელმა ილია პავლიაშვილმა შეტევა გააგრძელა და მასპინძელთა კარი მეორედ აიღო - „გაგრა" 2:0 დაწინაურდა.

მასპინძლები აღშფოთდნენ. მათი აზრით, პავლიაშვილს ბურთი უნდა შეეჩერებინა. თავად ფეხბურთელი კი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა:

**- ილია, ზუგდიდელები უკმაყოფილოები არიან - ჩვენ რომ შევაჩერეთ თამაში, მაშინ გაიტანაო...**

- არ მესმის, რა არის აქ საპრეტენზიო? ლაშა თოთაძემ ბურთი „ამოიტანა", მე და გაბედავა მეკარესთან პირისპირ დავრჩით და რა, არ უნდა გამეტანა?

**- ეს ფეხბურთში დაუწერელი კანონია, ასეთ დროს უნდა გაჩერდე. ზუგდიდელები ხომ გაჩერდნენ და პენალტს ითხოვდნენ?**

- ასე არ ყოფილა. მსაჯს მხოლოდ „ბაიას" ერთი ფეხბურთელი ეკამათებოდა, ამტკიცებდნენ, თოთაძეს ბურთი ხელზე მოხვდაო და პენალტს ითხოვდნენ. სხვათა შორის, ამის შემდეგ „ბაიას" მოთამაშემ გაბუნიას ვერ გაუსწრო და ისევ პენალტი მოითხოვეს. რამდენჯერაც ვინმე მსაჯს შეეკამათება, იმდენჯერ გავჩერდე? ეს რა ჩემი საქმეა? ფეხბურთელი იყო დაშავებული, თუ რაიმე მსგავსი მოხდა? ერთის გარდა, ყველა ზუგდიდელი გვებრძოდა. დაუწერელი კანონები არც მე მეშლება და ტყუილად ნურავინ დამაბრალებს, რომ ეს კანონები, თითქოს, მე დავარღვიე... ისე, ძალიან რთული შეხვედრა გვქონდა. 2:0-ს რომ ვიგებდით, უნდა გენახათ, ტრიბუნებზე რა ხდებოდა. „ბაიას" სასწაულად გულშემატკივრობდნენ, ასეთი რამ საქართველოში არსად მინახავს.

**- ცარიელი თბილისური სტადიონების შემდეგ სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში რთული არ არის?**

- რთულია, მაგრამ ამავე დროს ძალზე სასიამოვნოცაა. ხალხი თუ სტადიონებზე არ ივლის, მაშინ ჩემპიონატი ვარჯიშს დაემსგავსება. სავსე ტრიბუნების წინ უფრო მეტი ჟინი გიჩნდება. მეც ასე დამემართა. ნეტავ, ზუგდიდელების დარი გულშემატკივარი ყველა გუნდს ჰყავდეს. თუმცა ამბობენ, „სამტრედიას" კიდევ უფრო მაგარი ფანები ჰყავსო.

**- მგონი, „გაგრას" არასტაბილურობა დაებედა...**

- უმრავლესობა გამოუცდელები ვართ და ეს თამაშზე გვეტყობა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, საკმაოდ მალე ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებით. ჩვენ გვყავს კარგი მწვრთნელი და ვფიქრობ, „გაგრა" დღეს ერთ-ერთი იმათგანია, ვინც თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. შესაძლოა, წელს ლიდერებში არ ვიყოთ, მაგრამ გუნდი დაიხვეწება და შემდეგი სეზონისთვის ბევრად გაძლიერდება.

მერაბ მამულაშვილი

ამბები

## ვიტ ჯორჯიამდე მიკას უმასპინძლებენ

სანაკრებო მატჩების გამო საქართველოს ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზაა. მომდევნო ტურის შეხვედრები 12 სექტემბერს გაიმართება. ამ პერიოდს გუნდები ტონუსის შესანარჩუნებლად გამოიყენებენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც „ზესტაფონია", რომელიც ამხანაგურ მატჩს სომხურ კლუბთან გამართავს. ლაპარაკია „მიკაზე", რომლის ტექნიკურმა დირექტორმა **ლევან ნოდიამ** „ლელოს" დაუდასტურა, თამაში 4 სექტემბერს გაიმართებაო.

შეგახსენებთ, რომ „მიკაში" ორი ქართველი - მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი** და ნახევარმცველი **ირაკლი ცანავა** თამაშობს, მწვრთნელ-კონსულტანტი კი თბილისის „დინამოს" ექსთავკაცი **ივო შუშაკია**.

„ზესტაფონს" ეს მატჩი სჭირდება იმდენად, რამდენადაც ჩემპიონატის განახლებისთანავე რთული დაპირისპირება ელის - 12 სექტემბერს **გია გეგუძაჩის** გუნდი „ვიტ ჯორჯიას" სტუმრობს.

დავით ცაბაძე

## კიკნაძე, ხუბუა და ნოზაძეც... თარხნიშვილიც მახარაძესთან?

ბოლნისის „სიონმა" სატრანსფერო ზაფხულის უკანასკნელი დღე ნაყოფიერად გამოიყენა. **თემურ მახარაძემ** სამი ახალი ფეხბურთელი დაიმატა. როგორც შევიტყვეთ, ახალგაზრდა ფორვარდი **ირაკლი კიკნაძე**, რომელიც „ვიტ ჯორჯიადან" „ბორჯომში" იყო განათხოვრებული, მიმდინარე სეზონში კარიერას „სიონში" გააგრძელებს. აქვე ითამაშებს ნახევარმცველი **გელა ხუბუაც**. გასულ ჩემპიონატში ის რუსთავის „ოლიმპის" ღირსებას იცავდა. ბოლნისს მიაშურა ნახევარმცველმა **ბექა ნოზაძემაც**, რომელიც ჯერ „ზესტაფონში" ირიცხებოდა, მერე კი მიაშურა „სიონს", სადაც მისი უფროსი ძმა **ლაშა** თამაშობს.

ბოლნისელებს კიდევ ერთი ფეხბურთელის, **თორნიკე თარხნიშვილის** დამატება სურთ. 21-წლამდელთა ნაკრებში ნათამაშები თარხნიშვილის საკითხი, რომელიც ბოლოს ცხინვალის „სპარტაკში" გამოდიოდა, ამ დღეებში გადაწყდება.

ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული პაუზით „სიონიც" თავისებურად ისარგებლებს. ბოლნისელები ამხანაგურ შეხვედრასაც გეგმავენ, თუმცა მეტოქე ჯერ არ არის გარკვეული. იმას კი შეგახსენებთ, რომ „სიონი" მომდევნო ტურის მატჩს 12 სექტემბერს, საკუთარ მოედანზე ზუგდიდის „ბაიასთან" გამართავს.

დავით ცაბაძე

## იაშვილი საუკეთესოა, ყენიამ რაკიტიჩს აჯობა

**ალექსანდრე იაშვილმა** მეორე ბუნდესლიგის პირველ ტურში ხელი მოიტეხა, მაგრამ საბედნიეროდ, მწყობრში დროულად ჩადგა და მოედანს მეოთხე ტურში დაუბრუნდა. „კარლსრუეს" კაპიტანმა ვერაფერი უშველა - იაშვილის გუნდი საკუთარ მოედანზე 0:4 განადგურდა ლიდერ „ზანკტ პაულისთან".

იაშვილი მოედანზე 57-ე წუთზე შევიდა, იმ დროისთვის ანგარიში 0:2 იყო. აღსანიშნავია, რომ მან თანაგუნდელთაგან საუკეთესო შეფასება დაიმსახურა - „კიკერმა" 3,5 დაუწერა. მის არც ერთ თანაგუნდელს 4-იანიც კი არ მიუღია.

პირველ ბუნდესლიგას რაც შეეხება, „შალკე"-"ფრაიბურგის" შეხვედრაში მონაწილენი, **ლევან ყენია** და **ლევან კობიაშვილმა** „კიკერმა" შესაბამისად, 4-ითა და 4,5-ით შეაფასა. ყენიასთვის ეს არცთუ სასურველი შეფასებაა, მაგრამ მას შეუძლია, თავი იმით დაიმშვიდოს, რომ მის უშუალო კონკურენტ **ივან რაკიტიჩს** 5,5 დაუწერეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ნაკრები — საქართველო-იტალია — პრესკონფერენცია

# წითელი და თეთრი ცისფრების წინააღმდეგ

მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრების სტუმრობა და მატჩის ორგანიზება პატარა საქმე ნამდვილად არ არის, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს - ორგანიზაცია, უსაფრთხოება... ბევრის რამ არის მოსაგვარებელი, თან მაღალ დონეზე. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა. ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** პირდაპირ დაიწყო:

*„დიდი მატჩის ორგანიზებაზე ვმუშაობთ. სამწუხაროდ, განსაკუთრებით ბოლო შეხვედრებში, ჩვენი ნაკრების შედეგები არასახარბიელოა, მაგრამ ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ. ეროვნულ გუნდს სწორედ რთულ დროს სჭირდება გულშემატკივრის მხარდაჭერა და იმედი მაქვს, იტალიასთან მატჩში ნაკრებს ქომაგობა არ მოაკლდება. იმისიც მჯერა, რომ ჩვენი გუნდი სექტემბრის მატჩებში გულშემატკივარს გაახარებს"*.

ცნობისთვის, საქართველო-იტალიის მატჩის ბილეთები 1-ელი სექტემბრიდან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში გაიყიდება - სულ 49 038 ბილეთი. საერთო რაოდენობის ნახევარი 7 და 10-ლარიანი ბილეთი იქნება. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩის კვალობაზე ბილეთების ფასები ხელმისაწვდომია...

ამას გარდა, გაყიდვაში იქნება 15, 25 და 30-ლარიანი ბილეთებიც. გარდა ამისა, დაიბეჭდება 3-ლარიანი ბილეთებიც, რომელიც მხოლოდ საფეხბურთო სკოლებში დარიგდება. ისევ ქავთარაძეს მოვუსმინოთ:

*„ამ დონის მატჩის სათანადო ორგანიზებისთვის უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია საჭირო. თამაშს დაცვას 6 ათასამდე ადამიანი მოემსახურება. ყველას ვთხოვ, ტრადიციად დავამკვიდროდ და ჩვენი ნაკრების მატჩზე ეროვნული დროშის ფერებში, თეთრ-წითელ სამოსში გამოწყობილები მივიდეთ. ამინდის პროგნოზის მიხედვით, 5 სექტემბერს დარი იქნება... სხვათა შორის, 5 და 9 სექტემბერი ფიფამ „ფეარ პლეის" დღედ გამოაცხადა. ეს მხარდაჭერისა და ურთიერთგაგების დღეა და ფიფა ყველას მოუწოდებს, რომ ამ დღეს მატჩებს თეთრ ფერებში ჩაცმულები დაესწრონ"*.

მატჩის დირექტორი **დიმიტრი ბოკერია**: *„იტალიასთან მატჩზე დასასწრები ბილეთები, ტრიბუნებისდა მიხედვით, სხვადასხვა ფერის იქნება. შესაბამისად, სხვადასხვა ფერის ბილეთის მფლობელები ტრიბუნაზე სხვადასხვა შესასვლელიდან მოხვდებიან. მაგალითად, ლურჯი ფერის ბილეთი დასავლეთ ტრიბუნისაა და მისი მფლობელი ტრიბუნაზე ცენტრალური შესასვლელიდან უნდა შევიდეს. მატჩის დღესვე ეროვნულ სტადიონზე ნაკრების საქომაგო ატრიბუტიკაც გაიყიდება და თანაც - ხელმისაწვდომ ფასად. უბრალო მაისურები 5 ლარი ეღირება, ეროვნული ნაკრების მაისურა („დიადორას" წარმოების) კი დაახლოებით 30 ლარი. ასევე გაიყიდება დროშები, ქუდები, შარფები და ასე შემდეგ. 5 სექტემბერსვე, ვაკის პარკში, 33 ა-ს კლუბში სკოლბურთის „პრომოკლიპის" პრეზენტაცია გაიმართება. ამ ღონისძიებას სკოლბურთის ბოლო გათამაშების გამარჯვებული წალენჯიხის გუნდი დაესწრება. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის ნაწილს აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვები წარმოადგენენ, ნაწილი კი წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას მკვიდრნი არიან. გვინდა, ამ კლიპის პრეზენტაციას პალანგის ტურნირის გამარჯვებული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც დაესწროს. სკოლბურთის ჩემპიონებს საქართველო-იტალიის მატჩის ბილეთებს გადავცემთ"*.

5 სექტემბრის მატჩი 22 საათზე იწყება. აქედან გამომდინარე, ფედერაცია ცდილობს, გადაწყვიტოს საკითხი, რომ საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა, მათ შორის მეტროპოლიტენმაც, გვიანობამდე (01:30) იმუშაოს. ეს იქნება ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ფედერაცია და ქალაქის მერია 2 სექტემბერს ერთობლივ თათბირზე იმსჯელებენ.

ბოლოს კი ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძემ** იტალიის ნაკრების თბილისური განრიგი გაგვაცნო. მისი თქმით, „სკუადრა აძურა" (ცისფერი გუნდი) პარასკევს, 4 სექტემბერს, 15:40 საათზე ჩარტერული რეისით ჩამოფრინდება. სტუმართა მოთხოვნა ყოფილა, რომ ავტობუსი პირდაპირ ტრაპთან დაახვედრონ. იმ დღესვე მსოფლიოს ჩემპიონები 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ. წვრთნის პირველი 20 წუთი ღია იქნება, დანარჩენი - დახურული. 21 საათზე იტალიის ნაკრების თავკაცი **მარჩელო ლიპი** ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მასმედიის კითხვებს უპასუხებს. მატჩის დღეს კი, 12 საათზე, იტალიელები „მიხეილ მესხზე" დახურულ ვარჯიშს ჩაატარებენ.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, საქართველოს ნაკრები „ბორის პაიჭაძეზე" 4 სექტემბერს, 18:30 საათზე ივარჯიშებს. ლიპის არ იყოს, მისი ვიზავი **ექტორ კუპერიც** წვრთნის მცირე ნაწილს (15 წუთი) გახსნის. მანამდე კი, 18 საათზე, კუპერი სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მასმედიას შეხვდება.

დავით ცაბაძე

ეროვნული ნაკრები | საქართველო-იტალია | შესარჩევი მატჩი

# შეკრება დაიწყო, ანანიძეც თბილისშია

იტალიასთან მატჩისთვის შეკრება საქართველოს ნაკრებმა გუშინ დაიწყო. ჰექტორ კუპერმა ბიჭებს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" 16 საათზე მოუყარა თავი. 18 საათზე კი იქვე მსუბუქი ვარჯიშიც გამართა.

გიორგი ლომაია, ზურაბ მამალაძე, გრიგოლ ბედიაშვილი, კახა კალაძე, თემურ ლონლაძე, უჩა ლობჯანიძე, გურამ კაშია, ლექსო კვახაძე, ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია, ლევან ხმალაძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი სეთურიძე, ლევან ცქიტიშვილი, ლადო დვალიშვილი, გიორგი მერებაშვილი, მათე ვაწაძე - ნაკრებში გამოძახებული ამ 23 ფეხბურთელიდან, გუშინ კუპერის განკარგულებაში 17 მოთამაშე იყო. ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ მარცვალაძე, დავით დევდარიანი, გიორგი ფოფხაძე, ამირან სანაია და ჯანო ანანიძე ნაკრებს დღეს შეუერთდებიან.

რაც შეეხება კონკრეტულად ანანიძეს, გუშინ ის მამასთან ერთად მოსკოვიდან კიევში ჩაფრინდა, საიდანაც გვიან ღამით თბილისში ჩამოვიდა. ეს ინფორმაცია ანანიძეების ოჯახშიც დაგვიდასტურეს.

დავით ცაბაძე

U 19

UEFA UNDER19 CHAMPIONSHIP

ამხანაგური მატჩები

## რივერასა და ბოდიოსთვის... ვოლფსბურგელი გოგია შვეიცარიაში ვერ ჩავა

მოგეხსენებათ, აგვისტოს დასაწყისში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ესტონეთსა და ბელარუსში ადგილობრივ თანატოლებთან ორ-ორი ამხანაგური მატჩი გამართა. **გელა შეყილაძის** გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადებას აგრძელებს. სწორედ ამ სამზადისის პროგრამით ჩვენი ჭაბუკები ორ სპარინგს შვეიცარიაშიც ჩაატარებენ. 27 აგვისტოდან მოყოლებული, შეყილაძე ამ შეხვედრებისთვის გუნდს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" ამზადებდა. თავიდან მან 25 ფეხბურთელი შეკრიბა, შვეიცარიაში კი 18 მათგანი იახლა:

მეკარეები - **თორნიკე ნიორაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **კახა მეშველიანი** (ზესტაფონი);

მცველები - **სოლომონ კვირკველია** (თ. სულაქველიძის აკადემია), **თორნიკე კაკუშაძე**, **ნიკა კვეკვესკირი**, **დიმიტრი პაჭკორია** (ყველა ბაია), **ავთანდილ ბრაჭული** (დუშეთი), **დავით კუბლაშვილი** (ოლიმპიკი);

ნახევარმცველები - **გიორგი დიასამიძე** (ესპერანსა, ესპანეთი), **ავთანდილ ებრალიძე** (ხეტაფე, ესპანეთი), **პაატა ბალაძე** (მოსკვა, რუსეთი), **ალექსანდრე ივანიშვილი** (ჩიხურა), **ერეკლე კაჭახიძე** (ლოკომოტივი), **ლევან ელიზბარაშვილი** (ნორჩი დინამოელი), **ლუკა გუგუჩია** (ბაია);

თავდამსხმელები - **ზურაბ ქურდობაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **ლაშა ჩაფიძე** (ნორჩი დინამოელი), **ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი, იტალია).

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში მოხვდა ყველა ლეგიონერი, „ვოლფსბურგის" ჭაბუკთა გუნდის ნახევარმცველ **აკაკი გოგიას** გარდა. შეგახსენებთ, რომ გოგია გერმანიაში, ჭაბუკთა რეგიონულ ნაკრებში გამოდის. მას სურს საქართველოს 19-წლამდელთა გუნდში თამაში, თუმცა ამ ეტაპზე შვეიცარიაში ჩასვლა ვერ მოახერხა.

ჩვენი გუნდი შვეიცარიაში გუშინ გამთენიისას გაემგზავრა და ქალაქ ლუგანოში დაბანაკდა. გუშინვე, სალამოს, შეყილაძემ მსუბუქი ვარჯიშიც ჩაატარა. შვეიცარიელ 19-წლამდელებთან ამხანაგური მატჩები 2 და 4 სექტემბერს, შესაბამისად, რივერასა და ბოდიოში გაიმართება. დღეს სალამოს ჩვენი ჭაბუკები რივერაში თამაშისწინა ბოლო ვარჯიშს ჩაატარებენ, ხვალ კი თბილისის დროით 21 საათზე შვეიცარია-საქართველოს პირველი ამხანაგური მატჩიც გაიმართება.

დავით ცაბაძე

U 21

## ოთარ გაბელია

# ყველასთან მოგებისთვის ვიბრძოლებთ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს გასვლითი შეხვედრით იწყებს - 5 სექტემბერს ტალინში ესტონეთს ეთამაშება, 9 სექტემბერს კი ზესტაფონში თურქეთს მასპინძლოს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** შემადგენლობა დაასახელა და 18 საათზე ფეხბურთელები სასტუმრო „პრესტიჟში" შეკრიბა. შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარეები - **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **გულვერდ თომაშვილი**, **ლევან კაკუბავა** (ორივე დინამო), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **დავით ხურცილავა** (ვიტ ჯორჯია), **გიორგი რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **ლაშა თოთაძე** (გაგრა);

ნახევარმცველები - **ალექსი ბენაშვილი**, **ბუბა დაუშვილი** (ორივე ზესტაფონი), **ირაკლი კლიმიაშვილი**, **გიორგი ჯანელიძე** (ორივე ვიტ ჯორჯია), **ნიკა მაისურაძე**, **თემურ შონია** (ორივე სპარტაკი), **ლევან კუტალია** (სლავია, ბოსნია), **გიორგი გუგავა** (არენასი, ესპანეთი);

თავდამსხმელები - **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **გიორგი ჭედია** (ყოდინო, ბელარუსი).

12 აგვისტოს ლიტვაში გამართული მატჩის შემდეგ ნაკრებში ცვლილება მოხდა - არ არის გამოძახებული ხარკოვის „მეტალისტის" ფორვარდი **ვახტანგ ფანცხავა**. მიზეზი სალიტვო შეკრებაზე გამოუცხადებლობაა, რაზეც „ლელო" უკვე წერდა.

სიაში აღარ არის ფრანგული „ლე მანის" მეკარე **გიორგი მაკარიძეც**, თუმცა ის გაბელიას თვალთახედვის არეში რჩება და სამომავლოდ მისი იმედიც ექნება. ახლა კი უფრო გამოცდილ და „დალვინებულ" მეკარეებს ენდო.

გუშინ სალამომდე უნდა გარკვეულიყო, რომელ მოედანზე ივარჯიშებდა ახალგაზრდული ნაკრები. განიხილებოდა ორი ვარიანტი - საგურამოს ბაზა, ან კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპიკი"...

ოთარ გაბელიას მოახლოებულ შეკრებაზე გავესაუბრეთ...

**- ბატონო ოთარ, ეროვნული ნაკრებიდან რამდენიმე ფეხბურთელი ველარ დაიმატეთ...**

- ეროვნულ ნაკრებს მათე ვაწაძე და ამირან სანაია დასჭირდა და ჰექტორ კუპერმა ისინი არ დაგვითმო. ეროვნული ნაკრები უმთავრესია და კუპერის სურვილს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

**- ესტონეთამდე რამდენდღიან შეკრებას გეგმავთ?**

- თბილისში მხოლოდ ორი დღე გავჩერდებით, 1-ელ და 2 სექტემბერს სალამოს 5 საათზე ვივარჯიშებთ, 3-ში დილით კი ესტონეთში გავემგზავრებით.

**- რა მიზანს ისახავთ ამ ორ შეხვედრაში?**

- მართალია, თურქეთი ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ფეხბურთელებს მაქსიმალურ შედეგს მოვთხოვ. ახლა მხოლოდ ესტონეთთან შეხვედრაზე ვფიქრობ. ბალტიისპირელებმა გასვლაზე ჯგუფის ფავორიტი შვეიცარია დაამარცხეს და აქედან გამომდინარე, ძლიერი ნაკრები უნდა იყოს. პირველი შეხვედრის წარმატებით დაწყება კი შემდგომი წარმატებებისთვისაა საჭირო.

**- თურქებთან მატჩის ზესტაფონში გამართვა რა მოტივით გადაწყდა?**

- ზესტაფონში ფეხბურთი ძალიან უყვართ, თამაშებს ბევრი გულშემატკივარი ესწრება და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მხარდასაჭერად სტადიონი შეივსება. გაზონიც კარგია, სივრცე შეზღუდულია და ტრიბუნები მოედანთან ახლოსაა. ამით სტუმრებზე მეტი ზეწოლის საშუალება გვექნება.

**- კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ვახტანგ ფანცხავას თემას. რაკი ამ ორი თამაშისთვის არ გამოიძახეთ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სამომავლოდაც გადაუსვით ხაზი?**

- ხაზი არავისთვის გადამისვამს, გამოუძახებლობის მიზეზი ყველამ საკუთარ თავში ეძებოს. უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის გზა ახალგაზრდულ და სხვა ასაკობრივ ნაკრებებზე გადის. ფანცხავა ნიჭიერია და ამიტომაც მოვიწვიე. მე გაძლევ შანსს, კარგია თუ ცუდი, ეს შენი ქვეყანაა და გამოიყენე შანსი, რა! გამიხარდება, თუ ის დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ვიმეორებ - ხელს არავის ვკრავ და იქნებ, მიხვდეს და ნაკრებისადმი დამოკიდებულება შეცვალოს. ასეთ შემთხვევაში, ნაკრებში თამაშის შანსი ისევ გაუჩნდება.

**- ტრავმის გამო ვინმე ხომ არ გამოგაკლდათ?**

- დავით თარგამაძეს მცირე ტრავმა ჰქონდა. რომელ გუნდში ითამაშებს, ესეც გასარკვევია, ეროვნულში გამოძახებულებზე კი უკვე მოგახსენეთ. შესაძლოა, კიდევ ვინმე დავიმატოთ, ამას ესტონეთში გამგზავრებამდე გადავწყვეტთ.

**- მხოლოდ ორი თავდამსხმელი გამოიძახეთ. საკმარისი იქნება? ცოტა ხომ არ არის?**

- ლევან კუტალიას ბოსნიაში თავდამსხმელად ათამაშებდნენ და თუ საჭირო გახდა, მეც შეტევაში გამოვიყენებ.

ესტონეთში მატჩი ჩვენი დროით 18 საათზე (ადგილობრივი 17:00) დაიწყება. საქართველო-თურქეთის ზესტაფონური დაპირისპირებაც ამ დროისთვისაა დანიშნული.

### მსაჯები გარკვეულია

5 სექტემბერი. ტალინი.

**ესტონეთი-საქართველო**

არბიტრი: **მაგნუს ტორისენი (ისლანდია)**

ასისტენტები: **ოლაფ გუდფინსონი, აქსელ გისლასონი (ორივე ისლანდია)**

მეოთხე მსაჯი: **ტორდურ ჰიალტალინი (ისლანდია)**

უეფას დელეგატი: **დრაგუტინ პოლიაკი (ხორვატია)**

9 სექტემბერი. ზესტაფონი.

**საქართველო-თურქეთი**

არბიტრი: **ანტონიო რუბინიოს პერესი (ესპანეთი)**

ასისტენტები: **რობერტო ალფონსო ფერნანდესი, მარკოს ალვარეს მორენო (ორივე ესპანეთი)**

მეოთხე მსაჯი: **ხოსე ლუის მორენო (ესპანეთი)**

მსაჯთა დამკვირვებელი: **ლადისლავ გადოში (სლოვაკეთი)**

უეფას დელეგატი: **ემანუილ მავროკუკულაკისი (საბერძნეთი)**

მეტოქე

### ესტონელებმაც დაასახელეს

ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, გერმანელმა **კარლ ბერნჰარდტმა** ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც საქართველოსა და ირლანდიასთან 5 და 9 სექტემბრის შეხვედრებისთვის მოემზადებიან:

მეკარეები - **დანიილ სავიცკი** (ნომე კალიუ), **ალან ვენცელი** (პაიდე ლინამეესკონდი), **სტანისლავ პედოკი** (ფლორა);

მცველები - **მარტინ ცეგოლაევი** (ნომე კალიუ), **კინ კალასტე**, **ტაიო ტენისტე** (ორივე ფლორა), **იგორ მოროზოვი** (ლევადია), **არტიომ არტიუნინი** (ტამეკა), **ალექსეი იახიმოვიჩი**, **ანდრეი ვეისი** (ორივე ტულევიკი);

ნახევარმცველები - **დმიტრი სმირნოვი** (კალევი სიილამაე), **სერგეი მოშნიკოვი**, **ჰენრი ანიერი**, **ანდრე ფლოროვი** (ყველა ფლორა), **ეინო პური** (ლევადია), **ატს სილასტე**, **ალბერტ ტაარი** (ორივე ტულევიკი).

თავდამსხმელები - **ჰენრიკ ოიამაა** (დერბი ქაუნთი, ინგლისი), **კაიმარ სააგი** (სილკებორგი), **არმანდ ნარისი**, **იური ევდოკიმოვი**, **რაუნო ალიკუ**, **სიიმ ლუტსი** (ყველა ტულევიკი).

მერაბ მამულაშვილი

### მარცვალაძემ კვლავ გაიტანა

გუშინ რუსული პრემიერლიგის მე-20 ტურის მატჩში ნალჩიკის „სპარტაკმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „ამკარი". **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **დავით სირაძე** სათადარიგოთა სკამზე დარჩა. მართალია, „სპარტაკი" კვლავ ბოლოსწინა ადგილზეა, მაგრამ ახლა გუნდს 17 ქულა აქვს და მხოლოდ თითო ქულით ჩამორჩება და „ყუბანს" და "ამკარს".

რუსეთის პირველ დივიზიონში **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ" ნოვოროსიისკში 2:1 დაამარცხა „ჩერნომორეცი". „ანჟი" ერთპიროვნულად ჩაუდგა გათამაშებას სათავეში 53 ქულით და „ალანიას" 3 ქულით გაუსწრო. გამარჯვების გოლი საქართველოს ნაკრების შემტევმა **ოთარ მარცვალაძემ** მატჩის 87-ე წუთზე გაიტანა. ახლა მარცვალაძის ანგარიშზე 12 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მეტოქეები

## სტოილოვი გადადგა
### შესაძლოა, მადონამ ბულგარეთს ადგილი შეუცვალოს

მოგეხსენებათ, ბულგარეთის ნაკრების თავკაცი **სტანიმირ სტოილოვი** აქამდე „ლიტექსის" მთავარი მწვრთნელიც იყო. რამდენიმე დღის წინ ის ამ კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა, მას მერე, რაც ევროპის ლიგის პლეი ოფის საპასუხო შეხვედრაში „ლიტექსი" ბორისოვის ბატესთან დამარცხდა. გუშინვე ის მთლიანად ნაკრებზე გადაერთო და უახლოესი ორი შესარჩევი მატჩისთვის გამოძახებულთა სია გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, რომ ბულგარელები 5 სექტემბერს ჩერნოგორიას უმასპინძლებენ, ხოლო 9-ში მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ეწვევიან. სტოილოვის სიაში 22 ფეხბურთელია:

მეკარეები - **დიმიტარ ივანკოვი** (ბურსა, თურქეთი), **ნიკოლაი მიხაილოვი** (ტვენტე, ჰოლანდია), **გეორგი პეტკოვი** (ლევსკი);

მცველები - **სტანისლავ მანოლევი** (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), **ილიან სტოიანოვი** (ჰიროშიმა, იაპონია), **ჟივკო მილანოვი**, **ვესელინ მინევი** (ორივე ლევსკი), **კირილ კოტევი**, **ივან სტოიანოვი** (ორივე ცსკა სოფია), **პლამენ ნიკოლოვი**, **რადოსტინ კიშიშევი** (ორივე ლიტექსი);

ნახევარმცველები - **სტანისლავ ანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **მარტინ პეტროვი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **ბლაგოი გეორგიევი** (ტერეკი, რუსეთი), **ჩავდარ იანკოვი** (დუისბურგი, გერმანია), **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **დიმიტარ ტელკიისკი** (ამკარი, რუსეთი), **გეორგი სარმოვი** (ლევსკი);

თავდამსხმელები - **დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **დიმიტარ რანგელოვი** (ბორუსია დორტმუნდი, გერმანია), **ვალერი დომოვჩიისკი** (ჰერტა, გერმანია), **ვალერი ბოჟინოვი** (პარმა, იტალია).

## ფილიპოვიჩის 21 ორი დებიუტანტით
### ვუჩინიჩი დაბრუნდა

5 და 9 სექტემბრისთვის, შესაბამისად ბულგარეთთან გასვლითი და კვიპროსთან საშინაო მატჩებისთვის ჩერნოგორიის ნაკრების თავკაცმა **ზორან ფილიპოვიჩმა** 21-კაციანი შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები - **ვუკაშინ პოლეკშიჩი** (დებრეცენი, უნგრეთი), **მლადენ ბოჟოვიჩი** (პარტიზანი, სერბეთი), **სრდან ბლაჟიჩი** (ლევადიაკოსი, საბერძნეთი);

მცველები - **სავო პავიჩევიჩი** (კავალა, საბერძნეთი), **მარკო ბაშა** (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი), **რადოსლავ ბატაკი** (ანთალია, თურქეთი), **მიოდრაგ ჟიდოვიჩი** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), **ლუკა პეიოვიჩი** (მოგრენი);



მირკო ვუჩინიჩი

ნახევარმცველები - **ვლადიმირ ბოჟოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი), **ნიკოლა დრინჩიჩი**, **მიტარ ნოვაკოვიჩი** (ორივე ამკარი, რუსეთი), **მილორად პეკოვიჩი** (მაინცი, გერმანია), **ელსად ზვეროტიჩი** (ლუცერნი, შვეიცარია), **სიმონ ვუკჩევიჩი** (სპორტინგი, პორტუგალია), **მლადენ კაშჩელანი** (კარპატი, უკრაინა), **ბრანკო ბოშკოვიჩი** (რაპიდი, ავსტრია);

თავდამსხმელები - **სტევან იოვეტიჩი** (ფიორენტინა, იტალია), **მირკო ვუჩინიჩი** (რომა, იტალია), **რადომირ დალოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი), **დეიან დამიენოვიჩი** (სეული, კორეა), **ანდრეა დელიბაშიჩი** (ერკულესი, ესპანეთი).

ჩერნოგორიელთა თავკაცმა აღნიშნა, რომ 9 სექტემბრის (კვიპროსთან) მატჩისთვის გუნდს 21-წლამდელთა რამდენიმე მოთამაშეს დაამატებს, თუმცა გვარები არ დაუკონკრეტებია.

ფილიპოვიჩს ორი დებიუტანტიც ჰყავს - ესპანური „ერკულესის" თავდამსხმელი **ანდრეა დელიბაშიჩი** და ბერძნული „ლევადიაკოსის" მეკარე **სრდან ბლაჟიჩი**. ტრავმით გამოწვეული რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, ნაკრებს დაუბრუნდნენ ვენის „რაპიდის" ნახევარმცველი **ბრანკო ბოშკოვიჩი**, მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი **მარკო ბაშა** და „რომას" ფორვარდი, კაპიტანი **მირკო ვუჩინიჩი**.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ

# გიორგი ლომაია
# რაღა ლენქორანი და რაღა ევროპა...

**დიდი ხანი** არაა, რაც გიორგი ლომაია ბაქოს „ინტერში" გადავიდა. საქართველოს ნაკრების მეკარეს აზერბაიჯანულმა პრესამ ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც იგი თავისი ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილებას გამოთქვამს.

**- აზერბაიჯანულ ფეხბურთს უკვე შეეჩვიეთ?**

- ეს ჩემი პირველი საზღვარგარეთული კლუბი არაა, ასე რომ, არაფერი გამჭირვებია. მით უფრო, რომ „ინტერი" მეგობრული გუნდია.

**- თქვენ რუსეთში, უკრაინასა და გერმანიაში გითამაშიათ. ჩვენი ფეხბურთი იქაურისგან დიდად განსხვავდება?**

- რა თქმა უნდა. სამაგიეროდ, ქართული და აზერბაიჯანული ფეხბურთი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს.

**- კარიერის აზერბაიჯანში გაგრძელება ამიტომ გადაწყვიტეთ?**

- დიახ. თანაც, აქ თბილისიდან ჩამოსვლა იოლია, მე ხომ სულ ახლახან შვილი მეყოლა.

**- ოჯახის სანახავად საქართველოში ხშირად ჩადიხართ?**

- ოჯახი უკვე ბაქოში მყავს. თუმცა მშობლებიც ხშირად უნდა მოვინახულო ხოლმე, რის საშუალებასაც ბაქოში ცხოვრება იძლევა.

**- ალბათ, „ინტერი" იმიტომ აირჩიეთ, რომ მას თქვენი თანამემამულე წვრთნის.**

- რა თქმა უნდა. მე და ცხადაძეს ერთადაც კი გვითამაშია, მაშინ იგი ფეხბურთელის კარიერას ამთავრებდა, მე კი ვიწყებდი. მის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი.

**- როგორია თქვენი შთაბეჭდილება აზერბაიჯანში ჩატარებული პირველი მატჩების შემდეგ?**

- თქვენი ფეხბურთის შესახებ მანამდეც მქონდა გარკვეული წარმოდგენა. აქ ხომ ჩემი არაერთი მეგობარი თამაშობს. სასიამოვნოა, რომ ჩემს მეზობელ ქვეყანაში ფეხბურთი ასეთი ტემპებით ვითარდება. აზერბაიჯანულმა კლუბებმა უკვე დაიწყეს კარგი შედეგების ჩვენება ევროტურნირებზე. ყოველივე ეს კი საქმისადმი სწორად მიდგომამ და დიდი ინვესტიციების ჩადებამ განაპირობა.

**- ალბათ, თქვენს გადაწყვეტილებაზე ამ ფაქტორმაც მოახდინა გავლენა.**

- დიახ, მიზეზი ესაა. მართალია, რუსეთსა და გერმანიაში მეტ ფულს ვშოულობდი, მაგრამ არც აზერბაიჯანური პირობებით ვარ უკმაყოფილო.

**- მოდით, აზერბაიჯანისა და საქართველოს ჩემპიონატები შეადარეთ ერთმანეთს.**

- ფული თქვენთან გაცილებით მეტია, სამაგიეროდ, ჩემს ქვეყანაში 3-4 არცთუ ურიგო კლუბია. ამას „სიმურგის" ფეხბურთელები დაგიდასტურებენ. ეს გუნდი საქართველოს ხშირად სტუმრობს.

**- დონე სად უფრო მაღალია?**

- აზერბაიჯანის ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ორი ტურის შეხვედრები ვნახე და დასკვნების გამოტანა გამიჭირდება. ისე კი, ლენქორანში ისეთი ატმოსფერო იყო, თავი ისე ვიგრძენი, როგორც ევროპაში.

**- ის მატჩი ხომ სათადარიგოთა სკამზე გაატარეთ.**

- ტემპერატურა რომ არ მქონოდა, აუცილებლად ვითამაშებდი.

**- ალბათ, რთული იქნება რაიმუნდო ვილსონთან კონკურენცია, რომელიც წინა სეზონში „ინტერის" ძირითად მეკარედ მიიჩნეოდა.**

- კონკურენცია აუცილებელია, ამის გარეშე ვერ გაიზრდები. სხვათა შორის, მე და ვილსონი უკვე დავმეგობრდით. მეკარეები თითქმის ყოველთვის მეგობრობენ, ჩვენ ხომ სხვა ფეხბურთელებისგან გამორჩეული ხალხი ვართ (იცინის).

**- აზერბაიჯანში მოასპარეზე ბევრი ქართველი ვერ დაიტრაბახებს ნაკრების წევრობით.**

- მადლობა ღმერთს, ჩემს ქვეყანას ვჭირდები და საქართველოს ნაკრების პირველი მეკარე ვარ.

**- ხომ არ შიშობთ, რომ დროთა განმავლობაში ნაკრების მწვრთნელებს მიავიწყდებით?**

- ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

**- ალბათ, ისინი პირველ რიგში, ძლიერ ჩემპიონატებში მოთამაშე კადრებს მიაქცევენ ყურადღებას.**

- ჩვენ დიდი არჩევანი არ გვაქვს. საქართველო კარგი ფეხბურთელების დეფიციტს განიცდის.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ინტერვიუ

# დიმიტრი ტატანაშვილი
# ჩემი დროც მოვა

**დიმიტრი ტატანაშვილმა ამ ზაფხულს კლუბი შეიცვალა - „პლზენი" დატოვა და ახალ სეზონში განათხოვრებით „კლადნოს" ღირსებას დაიცავს. წესით და რიგით, მას შედარებით სუსტ გუნდში დამკვიდრების მეტი შანსი უნდა ჰქონდეს. თავად ტატანაშვილიც იმედიანადაა განწყობილი. როგორც შევიტყვეთ, მას ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა და თავდაპირველად ამის შესახებ ვკითხეთ.**

- ფეხი ვიტკინე, მაგრამ სერიოზული არაფერია, საბედნიეროდ, მხოლოდ ორი შეხვედრა გამიცდა.

**- ...და მოედანს „პლზენის" წინააღმდეგ დაუბრუნდით.**

- გუნდთან ერთად ვარჯიში ახალი განახლებული მქონდა, ფიზიკური კონდიციების აღდგენა ვერ მოვასწარი და მოედანზე მხოლოდ ექვსი წუთი გავატარე, ასე რომ, მოსაყოლიც ბევრი არაფერია. ძალიან მინდოდა, „პლზენის" წინააღმდეგ კარგად მეთამაშა, მაგრამ რას ვიზამ, მეორე წრემდე მომიწევს ლოდინი. საწყენია, რომ კიდევ ერთი თამაში წავაგეთ და საქმე გავირთულეთ.

**- განვლილ მატჩებს როგორ გაიხსენებთ?**

- გუნდისთვის არა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდი. საწყის სამ ტურში ძირითად შემადგენლობაში დამაყენეს, ერთი შეხვედრა სრულად ჩავატარე, ორ მატჩში კი 70-70 წუთი ვითამაშე.

**- ელოდით, რომ „კლადნო" სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდებოდა?**

- თავიდანვე ნათელი იყო, რომ გუნდის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნებოდა, მაგრამ მაინც გვქონდა უკეთესი სტარტის იმედი. ეს ჯერ არაა კატასტროფა, სიტუაციის გამოსწორების იმედი გვაქვს და ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში „კლადნო" ქულების დაგროვებას დაიწყებს.

**- როგორც ჩანს, „კლადნოში" კონკურენცია იოლად დაძლიეთ.**



დიმიტრი ტატანაშვილი

- არა, აქაც დიდი კონკურენციაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აუტსაიდერი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება უფრო გამიადვილდა.

**- „კლადნოში" როგორი ატმოსფერო დაგხვდათ?**

- აქ ყველაფერს უცებ შევეგუე, მწვრთნელებსა და თანაგუნდელებთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ვგრძნობ, რომ მენდობიან და ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ იმედები გავამართლო.

**-"პლზენში" რატომ ვერ ააეწყოთ საქმეები?**

- ფაქტია, რომ იქ წარუმატებელი სეზონი ჩავატარე. ბოლომდე ალბათ უფრო იმის გამო ვერ გავიხსენი, რომ უცხო გარემოსთან ადაპტაცია გამიჭირდა. აქ სულ სხვანაირი სიტუაციაა, ჩეხეთში დაცვით და ძალისმიერ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას, რასაც ალლო ადვილად ვერ ავუღე. თუმცა „პლზენში" გატარებულ პერიოდს დაკარგულად არ მივიჩნევ. ეს ჩემი პირველი საზღვარგარეთული კლუბი იყო, სადაც გავიზარდე, როგორც პროფესიონალი. უდიდესი გამოცდილება მივიღე და ფეხბურთში ბევრი ახალი რამ ვისწავლე.

**- „კლადნოში" საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ, „პლზენში" დაბრუნებას ისურვებდით, „კლადნოში" დარჩენას თუ სულ სხვა კლუბის მოძებნას?**

- გააჩნია, როგორი გამოდგება ჩემთვის ეს სეზონი. დარწმუნებული ვარ, თუ ტრავმებმა არ შემაწუხა, ყველაფერი კარგად იქნება. „პლზენთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს დარჩენილი და იქ დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი. საკუთარი თავის იმედი მაქვს და თუ ოპტიმალურ ფორმაში შესვლაში ხელი არაფერმა შემიშალა, უკეთეს გუნდში მოხვედრის ამბიციაც მექნება.

**- ეროვნულ ნაკრებში დიდი ხანია, აღარ გამოჩენილხართ.**

- ეს არცაა გასაკვირი. ცუდი სეზონი ჩავატარე და ნაკრებში ჩემზე უკეთეს ფორმაში მყოფ თავდამსხმელებს იწვევენ. ბოლო პერიოდშიც შეიძლებოდა ჩემთვის თუნდაც ერთი შანსის მოცემა, მაგრამ ეგ არაფერი, სიტუაციას ობიექტურად ვაფასებ და მჯერა, ჩემი დროც მოვა. სამაგიეროდ, როგორც კი შედეგიანად ავთამაშდები, ეროვნულ გუნდში მოხვედრის იმედი და ამბიციაც გამიჩნდება. ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდება ის დრო, როცა კვლავ მომეცემა საქართველოს ღირსების დაცვის საშუალება. კუპერთან ურთიერთობა მხოლოდ ერთხელ მქონდა, როცა „სამშაბათობაზე" მიმიწვია. ტოპმიოლერის დროს კი ნაკრებში ორი მატჩი ჩავატარე და ერთი გოლი გავიტანე. ვფიქრობ, დადებითი სტატისტიკაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონის უქმეები



თამაზ პერტია

# ქართველებს სომხეთშიც გააქვთ
## შერიფი ველარ შერიფობს

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში ეროვნული ნაკრების ინტერესების გამო პაუზაა, მე-3 ტური მთლიანად გადაიდო. გუნდების ნაწილი კვლავ საქართველოში აპირებს ჩამოსვლას მოსამზადებლად, მაგალითად, **კახა ცხადაძის** „ინტერი". სომხეთში მე-20 ტურში ქართველებმა გამარჯვების გოლები გაიტანეს. „ულისემ" „ბანანცს" უმასპინძლა და „რესპუბლიკულ" სტადიონზე **გაგა თიბილაშვილის** მიერ გატანილი გოლის (76-ე წთ) წყალობით მოიგო - 1:0. „განძასარმა" სტუმრად 2:1 მოუგო „არარატს", მატჩის 83-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი სომხური ფეხბურთის ფლაგმანის კარში **ზაზა სახოკიამ** გაიტანა. „ბანანცთან" მატჩში თიბილაშვილმა 78-ე წუთამდე ითამაშა. **თენგიზ უგრეხელიძემ** და **ლევან აკობიამ** შეუცვლელად ითამაშეს. „ულისე" 39 ქულით მესამე ადგილზეა. ზაზა სახოკიამ თავის ახალ კლუბში 90 წუთი ითამაშა, ისევე როგორც მისმა თანაგუნდელმა **დავით ხანიშვილმა**. „არარატის" რიგებში მხოლოდ ერთმა ქართველმა ითამაშა, **გიორგი ალავიძე** 72-ე წუთზე შეცვალეს, **გიორგი კრასოვსკი** კი სათადარიგო იყო. „განძასარი" 29 ქულით მე-5 ადგილზეა, „არარატი" (7 ქულა) ბოლოა. „მიკა" სტუმრად დამარცხდა „კილიკიასთან" - 2:3. **სოსო გრიშიკაშვილმა** სამი გოლი გაუშვა აუტსაიდერი გუნდის ფორვარდებისგან, **ირაკლი ცანავა** სათადარიგო იყო. „მიკა" ლიდერ „ბანანცს" 6 ქულით ჩამორჩა.

ბელარუსში დისკვალიფიცირებული **გივი კვარაცხელიას** გარეშე „მტზ-რიპო" ბრესტის „დინამოს" 1:1 დაუზავდა. ქართველის გუნდი 16 ქულით კვლავ ბოლოსწინა, მე-13 ადგილზეა. არც **ნუკრი მანჩხავას** უთამაშია ამ ტურში. ჟოდინოს „ტორპედო" უქართველოდ შინ 1:2 დამარცხდა სოლიგორსკის „შახტიორთან". „ტორპედო" 25 ქულით მე-7 ადგილზეა.

ბოსნიურ „სლავიაში" არ უთამაშია **ლევან კუტალიას**, სარაევოს გუნდი უმისოდ 1:1 დაუზავდა „ჟელეზნიჩარს". კუტალიამ დატოვა ბოსნიური კლუბი. „სლავია" 6 ქულით მე-9 ადგილზეა. ამ უქმეებზე კიდევ ერთი საფეხბურთო პირველობა დაიწყო, სადაც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ - კვიპროსის პირველი დივიზიონი. **თემურ ქეცბაიას** კუნძულიდან წასვლის შემდეგ ჩვენი ინტერესი კვიპროსის ჩემპიონატისადმი განელდა. ჰაიფას „ჰაპოელიდან" „პაფოსში" **ირაკლი გეფერიძე** გადავიდა. **კლიმენტი წიტაიშვილმა** კი „ანორთოსისი" „ნეა სალამინაში" გაცვალა. „აპოლონმა" გუნდიდან გაუშვა ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან მაღრაძე, ლევან ქებაძე** კი კვლავ „ეთნიკოსში" ირიცხება. გეფერიძის გუნდი სტუმრად 2:3 დამარცხდა „ომონიასთან". წიტაიშვილის და ქებაძის გუნდები კი ერთმანეთში დაზავდნენ - 1:1. სასტარტო შემადგენლობაში ჩვენებურები არ ყოფილან.

ირანის პრემიერლიგაში **ჯაბა მუჯირის** „ფოოლადი" შინ „მოლავემათს" დაუზავდა - 1:1. ქართველმა 90 წუთი ითამაშა. ყაზახეთში **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ" ყარაღანდის „შახტიორს" ეწვია და 0:2 დამარცხდა. ფეიქრიშვილი 65-ე წუთზე შეცვალეს.

ლატვიის ვირსლიგაში კვლავ გამოიჩინა თავი „ვიტ ჯორჯიას" ყოფილმა ფორვარდმა **ვასილ ლუჟაშვილმა**. **თამაზ პერტიას** გუნდი „ოლიმპსს" ეწვია და მიუხედავად იმისა, რომ თამაში ათი კაცით ჩაამთავრა, ლუჟაშვილის მიერ 37-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოუგო - 1:0. პირველ ტაიმში ლუჟაშვილი გააფრთხილეს. პერტიამ თანამემამულე მატჩის მიწურულს, 89-ე წუთზე შეცვალა. 70-ე წუთზე სტუმრები 10 კაცით დარჩნენ, მათ **პაველ კოლცოვი** გაუძევეს. ამის შემდეგ მოედანზე პერტიამ **ირაკლი ქორთუა** შეიყვანა. ლუჟაშვილმა მე-4 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. **დავით გამეზარდაშვილის** „სკონტომ" სტუმრად 7:0 გაანადგურა „დაუგავა". ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. „სკონტო" 50 ქულით მე-3 ადგილზეა, „დინაბურგი" 40 ქულით - მეოთხეზე.

მოლდოვაში, დნესტრისპირულ დერბიში მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა - „ტირასპოლმა" ჩემპიონ „შერიფს" მოუგო - 1:0. **ვაჟა თარხნიშვილმა** დამარცხებულთა შორის 90 წუთი ითამაშა. „შერიფი" 10 ქულით მე-8 (!) ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები



სტივ მაკლარენის შავი დღე



დევიდ ბექჰემის აზრით, ინგლისის დღევანდელი ნაკრები განსაკუთრებულია

# წვიმა აღარ წამოვა

ამ დღეებში **დევიდ ბექჰემმა** ატლანტიკის ოკეანე უნდა გადმოკვეთოს, რათა ინგლისის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მოგონებას შეებრძოლოს. დიახ, დღეს თუ ხვალ **ფაბიო კაპელოს** გუნდი იკრიბება, რათა შაბათს, სლოვენიასთან ამხანაგურად წაივარჯიშოს, თუმცა, ბუნებრივია, მთავარი ეს არ არის. მთავარი ამ შაბათიდან კიდევ ოთხი დღის შემდეგ იქნება, იქითა ოთხშაბათს, როდესაც ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ხორვატიას დაუპირისპირდება. აი, ეს უკვე სერიოზული მატჩია, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ინგლისელები სამხრეთ აფრიკის საგზურს იბევებენ.

ამ შეხვედრას წინა ისტორია უფრო მნიშვნელოვანს ხდის, სწორედ მას უკავშირდება ინგლისის ნაკრების შესახებ ის მძიმე მოგონება, რომელიც ზემოთ ვახსენე. ცხადია, „ლელოს" მკითხველს შეხსენება არ სჭირდება, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: 2007 წლის ნოემბრის წვიმიან საღამოს, როდესაც ინგლისელებს სათავეში **სტივ მაკლარენი** ედგათ, ხორვატებმა „უემბლიზე" 3:2 გაიმარჯვეს, ინგლისელთა თავმოყვარე გუნდი, თუმცა რაღა გუნდი, მთელი ქვეყანა, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატს მიღმა დატოვეს და ისტორიას ერთი საცოდავი კადრიც დაუტოვეს - ფოტო, სადაც მისტერ მაკლარენი ქოლგით ხელში, დამარცხებული და განადგურებული დგას ლეგენდარული სტადიონის მოედნის კიდესთან.

ბექჰემისთვის იმ საღამოს მოგონება განსაკუთრებით მტკივნეულია. მან იმ დღეს ითამაშა - მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და ანგარიშის გათანაბრებაში მონაწილეობაც მიიღო, მაგრამ იმის მოწმეც შეიქნა თუ როგორ დააჩოქა მავანმა **მლადენ პეტრიჩმა** მისი საამაყო ინგლისი. „ლოს ანჯელეს გელექსის" ნახევარმცველი იგონებს:

*„ის საღამო ჩემს სანაკრებო კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ავადმოსაგონარი გახლავთ. ჩვენ ჯგუფში ჩავრჩით. ეს შესარჩევი კამპანიის საძაგელი დასასრული იყო. ორი აზრი არ არის, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენი ქვეყნისთვის ევროპის ჩემპიონატზე ვერგასვლა გამანადგურებელი ამბავი გახლდათ".*

ინგლისელთათვის წყეული საღამოს კვლავ განმეორება მართლაც ენით აუწერელი კოშმარი იქნებოდა, რადგან მას მერე, რაც გუნდს სათავეში ფაბიო კაპელო ჩაუდგა საქმე სულ წინ მიდის, თუმცა ბექჰემი დარწმუნებულია, რომ დღევანდელ პირობებში ძველის განმეორება შეუძლებელია.

*„როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გადიხარ, ყოველთვის ოპტიმიზმი გეუფლება, ყოველთვის გიჩნდება შეგრძნება, რომ იქ გამარჯვებას შეძლებ და გამონაკლისი არც ახლა იქნება. ჩვენი ჯგუფიდან გასვლა და ფიქრი იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გავხდეთ, ერთი იქნება. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი დღევანდელი გუნდი მხოლოდ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ბოლოს და ბოლოს ჩვენს ხასიათს დააკვირდით, ამას წინათ, ჰოლანდიას ორი ბურთით ჩამოვრჩით და მაინც გავათანაბრეთ ანგარიში. თუ გახსოვთ, წლების განმავლობაში ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენი ნაკრების გასახდელში ჯანსაღი ატმოსფეროა, მაგრამ ისეთი ჯანსაღი, როგორიც დღესაა, ის არასდროს ყოფილა".*

და მართლაც, ბოლო დროს ინგლისის ნაკრები ისე შეიცვალა, რომ ბექჰემს ლოს ანჯელესიდან ლონდონისკენ მომავალ თვითმფრინავში ადგილი გარანტირებული ნამდვილად აღარ აქვს.

*„დღევანდელ გუნდში ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც ყოველ ვარჯიშსა თუ შეხვედრაში შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობენ. ვაკვირდები და ვხედავ, რომ მთელი გუნდი განსაკუთრებულია. ადრე როგორ იყო? ადრე მთავარი პირველი თერთმეტი კაცი გახლდათ, ახლა კი ნებისმიერ ფეხბურთელს ნებისმიერი შეხვედრის ბედის შემოტრიალება შეუძლია".*

დღეს მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, რომ წაიყვანს თუ არა კაპელო ბექჰემს გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე, დიდად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ვეტერანის ფორმაზე, არამედ იმაზეც, თუ სად ითამაშებს იანვრიდან.

*„ყველა ერთსა და იმავეს მეკითხება, სად წავალ ლოს ანჯელესის შემდეგ, მაგრამ, ჯერ ხომ „გელექსიში" მაქვს საქმე დასამთავრებელი. მერე ვნახავ, რა მოხდება. ფაქტია, რომ ყველა მაფრთხილებს, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე მინდა მოხვედრა, რომელიმე ევროპულ კლუბში უნდა დავბრუნდე. მწვრთნელმა ამის შესახებ ყოველგვარი მიკიბ-მოიბვის გარეშე მითხრა"* - ამბობს ბექჰემი.

მართალია, ჰოლანდიასთან ზემოთ ხსენებულ შეხვედრაში ბექჰემი კაპელომ სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა, სავარაუდოდ, ინგლისელთა ნაკრების პრინციპულ შეხვედრებს ის მაინც სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებს. თუმცა, ვარსკვლავი ამაზე ასე პასუხობს:

*„მოედანზე ვიქნები თუ სკამზე სულერთია. გუნდთან ერთად თავს ბედნიერად ვგრძნობ".*

■ ■ ■

ამასობაში, ინგლისის ნაკრების თავკაცმა დაასახელა შემადგენლობა, რომელსაც სლოვენიასთან ამხანაგური (5 სექტემბერი) და ხორვატიასთან 9 სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩისთვის მოამზადებს. საყურადღებოა დაცვის ცენტრში **უეს ბრაუნის** დაბრუნება, თუმცა კაპელოს გადაწყვეტილება იძულებითია - ტრავმის გამო არ იქნება **რიო ფერდინანდი**. მთლიანობაში კი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები - **ბენ ფოსტერი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **რობერტ გრინი** (ვესტ ჰემი), **პოლ რობინსონი** (ბლექბერნი);

მცველები - **გლენ ჯონსონი** (ლივერპული), **უეს ბრაუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **მეთიუ აპსონი** (ვესტ ჰემი), **ჯონ ტერი, ეშლი კოული** (ორივე ჩელსი), **უეინ ბრიჯი, ჯოლიონ ლესკოტი** (ორივე მანჩესტერ სიტი);

ნახევარმცველები - **შონ რაიტ-ფილიპსი, გარეთ ბერი** (ორივე მანჩესტერ სიტი), **აარონ ლენონი** (ტოტენჰემი), **დევიდ ბექჰემი** (ლოს ანჯელეს გელექსი, აშშ), **ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი), **მაიკლ ქერიკი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **სტივ ჯერარდი** (ლივერპული), **ეშლი იანგი, ჯეიმს მილნერი** (ორივე ასტონ ვილა).

თავდამსხმელები - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ემილ ჰესკი** (ასტონ ვილა), **პიტერ კრაუჩი, ჯერმეინ დეფო** (ორივე ტოტენჰემი), **კარლტონ კოული** (ვესტ ჰემი).

ინციდენტი

# ვენგერმა პარდონი მიიღო

გუშინ, **არსენ ვენგერს** ბოდიში მოუხადეს - შაბათს, „ოლდ ტრეფორდზე", „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „არსენალის" შეხვედრის ბოლოს, მსაჯის მიერ წამატებულ მეოთხე წუთზე, არსენალელმა **რობინ ვან პერსიმ** მასპინძელთა კარში გოლი გაიტანა, რომელიც არ ჩათვალეს, რამაც ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელი გააბრაზა და მან წყლის ბოთლს ფეხი გაკრა. ეს ამბავი მეოთხე მსაჯმა **ლი პრობერტმა** შეხვედრის მთავარ მსაჯს, **მაიკ დინს** გადასცა და დინმა ფრანგი სპეციალისტი 75 ათასი აღტაცებული მანჩესტერელი მაყურებლის გასახარად მოედნიდან გააძევა. ვინც შეხვედრას ტელევიზიით ადევნა თვალი, დაგვეთანხმება, რომ ამ გაძევებას მეტად უხერხული მომენტი მოჰყვა, როდესაც ვენგერი სათადარიგოთა სკამიდან სადღაც ტრიბუნის მინაშენსა თუ რაღაც კონსტრუქციაზე, ფაქტობრივად პირდაპირ გულშემატკივრებში ავიდა. ამან მასპინძელი ფანები მეტად გაამხიარულა და მათ საუბრობა დაუწყეს „არსენალის" ბოსს. ამის შემდეგ მსაჯებმა ითათბირეს და მწვრთნელს გასახდელისკენ მიუთითეს.



მეტი სადღა წავიდე?

მაგრამ, ვაი, თქვენს მსაჯებს, ინგლისელ არბიტრთა შეფმა **კიტ ჰეკეტმა** აღიარა, რომ ის, რაც პრობერტმა და დინმა ჩაიდინეს „მამალი სისულელე" იყო და მწვრთნელთა ასოციაციის ხელმძღვანელს, **რიჩარდ ბივანს** დაჰპირდა, რომ ვენგერს ბოდიშს მოუხდიდა. დინი და პრობერტი მშრალად ვერ გამოვლენ, ბივანის პრეტენზია კი ასეთი გახლდათ:

*„კანონის თანახმად მსაჯთა გადაწყვეტილება ცამდე მართალიც რომ ყოფილიყო, იგი კონკრეტული მატჩის კონტექსტში სრულიად უადგილო ჩანდა, ხოლო ის, რაც მერე, ვენგერისთვის ადგილის ძებნისას მოხდა, უბრალოდ კომიკური გამოვიდა. ამ საკითხზე მე კით ჰეკეტს ველაპარაკე და და მან ჩემი შეხედულება სრულად გაიზიარა. მსაჯები შეცდნენ და „არსენალის" მწვრთნელისთვის ბოდიშის მოხდა მართებთ. პირადად ლი პრობერტი კი უბრალოდ ვერ გაერკვა სიტუაციაში".*

თავად არსენ ვენგერმა კი „ოლდ ტრეფორდზე" მომხდარ გაუგებრობას ასეთი კომენტარი გაუკეთა: *„უცნაური და თითით საჩვენებელი რამ მოხდა. ვერც კი მითხრეს, სად უნდა წავსულიყავი".*

ცნობისათვის, ვან პერსის გოლი რომ ჩათვლილიყო, თამაშე 2:2 დამთავრდებოდა.

ტრავმა

# სამყაროს ნგრევა

## მოდრიჩის ექვსკვირიანი პაუზა

**ლუკა მოდრიჩმა** თქვა, რომ შაბათს, „ბირმინგემთან" შეხვედრაში ფეხის მოტეხამ, მისი საფეხბურთო სამყარო ნაწილებად დაშალა. მართლაც, „ტოტენჰემის" ნახევარმცველი ახლა სულ მცირე, ექვსი კვირით გამოაკლდება გუნდს. მოდრიჩი ცნობილ **ლი ბოიერთან** ორთაბრძოლამ დააშავა. შეგახსენებთ, რომ „სფურზი" ოთხი ტურში ოთხი გამარჯვებით პრემიერლიგის ცხრილს „ჩელსისთან" ერთად ლიდერობს. „ბირმინგემთან" შეხვედრაში **ჰარი რედნაპის** ბიჭებმა 2:1 გაიმარჯვეს.

მოდრიჩს კი ტრავმამ მართლაც საშინელ დროს უწია. რასაკვირველია, ფეხის მოტეხა კარგი არასდროსაა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მომავალ კვირაში, ინგლისისა და ხორვატიის ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ უმნიშვნელოვანეს მატჩში ხვდებიან ერთმანეთს, ტოტენჰემელი ნახევარმცველი კი ხორვატი გახლავთ.

*„ასე მგონია, რომ მთელი სამყარო თავზე ჩამომემხო. ახლა ხომ ექვს კვირას ველარ ვითამაშებ,* - თქვა მოდრიჩმა, - *ვერაფრით შევგუებივარ იმ აზრს, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურისა" და ხორვატიის ნაკრების შეხვედრებს შორიდან უნდა ვუყურო".*

მაგრამ, მოდრიჩმა მის ტრავმაში ბოიერის დანაშაულებაზე უარი თქვა: *„ბოიერი ძლიერად არ დამტაკებია, მაგრამ ძალიან მეტკინა. ორთაბრძოლის წინ მივხვდი, რომ ახლა რაღაც ცუდი მოხდებოდა".*

ორთაბრძოლის ცქერისას გულმა ტოტენჰემელთა მწვრთნელს, რედნაპსაც ცუდი უგრძნო: *„რომ წაიქცა, მერე უკვე აშკარად ჩანდა, რომ ფეხი საშინლად სტკიოდა. მართალია, ლუკა ტანად დიდი არ არის, მაგრამ, მისი ტრავმის მოშუშებას მაინც დიდი დრო დასჭირდება და ეს ჩვენთვის დარტყმაა. შემდეგ ტურებში გაცილებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ნახევარდაცვით მოგვიწევს თამაში, მაგრამ რას იზამ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ასე მგონია, მთელი სამყარო თავზე ჩამომექცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ROBB 'N' ROLL

## არიენ რობენმა მიუნხენში ცეცხლი დაანთო, ეს მხოლოდ დასაწყისია!

27 გენიალური წუთი „ბაიერნის" ისტორიისთვის: ორი შესანიშნავი შეტევა, **ფრანკ რიბერის** ორი გენიალური პასი, **არიენ რობენის** ორი გოლი სადებიუტო შეხვედრაში - პირველი მარცხენა ფეხით, მეორე მარჯვენით და ჰოლანდიელი ნახევარმცველის სიტყვები: *„აქ სწორედ ამიტომ ჩამოვედი, გოლები უნდა გავიტანო და ტიტულები მოვიგო."*

რობენმა ბუნდესლიგას შიშის ზარი დასცა - რიბერისთან ერთად. მათ გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" მიწასთან გაასწორეს. არადა, მოედანზე ერთად 27 წუთი გაატარეს და მანამდე მხოლოდ ერთხელ ივარჯიშეს ერთად. რობენი და რიბერი ერთმანეთს ფაქტობრივად არ იცნობდნენ, მაგრამ მოედანზე ისე გაუგეს ერთურთს, თითქოს წლებია, ერთად თამაშობენ.

*„ჩვენ ყველამ ერთად დავინახეთ, რას ნიშნავს, როცა გუნდს ორი უაღრესად კრეატიული ფეხბურთელი ჰყავს. ძალიან მიხარია, რომ რობენი ჩვენთან გადმოვიდა, ხოლო რიბერი კი დარჩა. 27 წუთში ნათლად გამოჩნდა, რას ნიშნავს ეს ორი მოთამაშე ჩვენი გუნდისთვის,"* - განაცხადა „ბაიერნის" თავკაცმა **ლუის ვან გაალმა** საფინალო სასტვენის შემდეგ.

რობენის კარგი თამაში რიბერის კარგი თამაშიდან გამომდინარეობდა და პირიქით. ორი წელია, რეკორდმაისტერს მარცხენა ფლანგზე გენიალური ფეხბურთელი ჰყავს, ახლა კი მარჯვენა ფლანგზე მიიღო მისი ასლი, რობენის სახით. გარკვეულ ასპექტებში რობენი რიბერის სჯობს კიდეც. მაგალითად, სისწრაფეში: ჰოლანდიელი 100 მეტრს 10.9 წამში გარბის. 2007 წელს რეკორდმაისტერმა რიბერიში 25 მილიონი ევრო გადაიხადა, ახლა კი რობენშიც დაახლოებით ამდენივე და ფაქტია, რომ მიუნხენურ კლუბს ძალიან სახიფათო ფლანგის მოთამაშეები ჰყავს. ერთადერთი, რისიც „ბაიერნის" ბოსებსა და ქომაგებს ეშინიათ, ხოლო „ბაიერნის" კონკურენტებს კი ეიმედებათ, გახლავთ ის, რომ „რეალში" რობენი ძალიან ხშირად ილებდა ტრავმას.

შაბათს, „ვოლფსბურგთან" მატჩში, რიბერისა და რობენის მოედანზე შეყვანის შემდეგ, მიუნხენელები 4-3-3 სქემით თამაშობდნენ. შეგახსენებთ, რომ ეს ვან გაალის საყვარელი სქემაა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამიერიდან „ბაიერნი" ყველაზე ხშირად სწორედ ამ ტაქტიკით ითამაშებს ხოლმე. თუმცა ბავარიელთა ჰოლანდიელი მწვრთნელი მაინც დიდი არჩევანის წინაშე დგას. მოდით, ერთად განვიხილოთ ყველა შესაძლო სქემა, რითაც „ბაიერნს" ამიერიდან თამაში შეუძლია. ფაქტი ერთია: რიბერისაც და რობენსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული აქვთ.

### 4-4-2 რომბისებური ნახევარდაცვით

რობენის მოსვლამდე ვან გაალი „ბაიერნს" ამ ტაქტიკით ათამაშებდა. მიუნხენელთა თავკაცმა ფლეიმეიკერის პოზიციაზე უკვე ყველა ფეხბურთელი გამოცადა რიბერის გარდა. და უნდა ითქვას, რომ იმედი არც ერთმა მათგანმა არ გაამართლა. ასე რომ, თუ „ბაიერნი" გამთამაშებლით ითამაშებს, ამ პოზიციაზე მხოლოდ რიბერის ვიხილავთ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ფრანგი ამ ადგილზე ყველაზე ძლიერი არ იყოს. რიბერიმ განაცხადა, რომ თანახმაა, თავდამსხმელების უკან ბედი სცადოს. ასეთ შემთხვევაში, მარცხენა ნახევარმცველად რობენი მოგვევლინება და ძირითადიდან **ბასტიან შვაინშტაიგერს** ამოაგდებს, რომელიც მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე **ჰამით ალთინთოფის** კონკურენტი იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის ერთადერთი სქემა, სადაც რობენი მარცხნივაა გამწესებული. იმის გამო, რომ რიბერის ძალიან უყვარს მარცხენა ფლანგი, ფლეიმეიკერის პოზიციაზე თამაშის დროსაც კი ხშირად მარცხნივ გაუწევს გული, რის გამოც არსებობს საშიშროება, რომ რობენს ხელი შეუშალოს. ანაც პირიქით: შესაძლოა, მარცხნივ ამ ორმა ფეხბურთელმა მთელ რიგ მომენტში იდეალური წყვილი შექმნან, რადგან რობენს ცენტრში გადაწევა უყვარს.

### 4-4-2 ორი საყრდენით

„ბაიერნის" მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, რობენი მარჯვენა ფლანგისთვის შევიძინეთო. რიბერი მარცხნივ და რობენი მარჯვნივ, ამ შემთხვევაში რეკორდმაისტერს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფლანგები ექნება. საუკეთესო და ამავდროულად, პარადოქსულიც, რადგან რიბერი მემარჯვენეა და მარცხნივ თამაშობს, რობენი კი ცაცია და მარჯვნივ ასპარეზობს. ჰოლანდიელი წინა სეზონში „რეალში" უმეტესად სწორედ მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა და ყველა გოლი ერთნაირ სტილში გაიტანა: მარჯვენა ფლანგზე ბურთს მიიღებდა, სწრაფად გადაინაცვლებდა ცენტრისკენ, მოწინააღმდეგეს გზიდან ჩამოიშორებდა და ძლიერად ურტყამდა. ამ ტაქტიკაში **ანატოლი ტიმოშჩუკს** არცთუ კარგი შანსი აქვს, რადგან საყრდენის რანგში **მარკ ვან ბომელს** თავისი ადგილი განაღდებული აქვს, მეორე ჩამშლელის პოზიციაზე კი, ვან გაალი ამ ეტაპზე შვაინშტაიგერს ანიჭებს უპირატესობას. მეტიც, ჩვენი გერმანელი კოლეგები მიიჩნევენ, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა შვაინს იდეალური პოზიცია მოუძებნა. თუმცა „ვოლფსბურგთან" ტიმოშჩუკმა შესანიშნავად ითამაშა (ვან ბომელი ტრავმირებულია) და შესაძლოა, ვან გაალმა უკრაინელი საყრდენი ამის მერე დააფასოს.

### 4-3-3 ერთი საყრდენით

ეს ვან გაალის უსაყვარლესი სქემაა, რომელშიც ის თავის ფეხბურთელებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს და იმპროვიზაციის უფლებასაც აძლევს. ამ სქემაში რიბერი (მარცხენა ფორვარდი) და რობენი (მარჯვენა ფორვარდი) დაცვითი ფუნქციებისგან გათავისუფლებულები არიან. შესაძლებელია ისიც, რომ მთელ რიგ მომენტებში რიბერიმ და რობენმა ფლანგები ცვალონ - ვან გაალს თამაშის დროს როტაცია ძალიან უყვარს. მით უმეტეს, რომ რიბერი საფრანგეთის ნაკრებში უმეტესად მარჯვნივ თამაშობს ხოლმე და ეს ფლანგი „ბაიერნშიც" არაერთხელ ჩაუბარებია. ასეთი სქემის არჩევის შემთხვევაში, თავდამსხმელებს ცუდად ექნებათ საქმე, რადგან 4-3-3-ში მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდია საჭირო, „ბაიერნს" კი ოთხი მაღალი კლასის ფორვარდი ჰყავს: **გომესი, კლოზე, ტონი** და **ოლიჩი**. გამოდის, რომ სამი მათგანი სათადარიგოთა სკამზე უნდა აღმოჩნდეს. ფაქტია ისიც, რომ ამ ტაქტიკის არჩევის შემთხვევაში აუცილებლად სკამზე დაჯდება ტიმოშჩუკიც, რადგან მხოლოდ ერთმა საყრდენმა უნდა ითამაშოს და ეს აუცილებლად ვან ბომელი იქნება.

### 4-3-3 ორი საყრდენით

რიბერისა და რობენს ამ შემთხვევაშიც სრული თავისუფლება აქვთ, შეუძლიათ, ფლანგები ცვალონ და დაცვისთვის მიხმარება თითქმის არ ევალებათ. ცენტრფორვარდიც ისევ ერთია და ოთხიდან, სამი გოლეადორი უკმაყოფილო რჩება. ერთი ცენტრალური ნახევარმცველის უკან კი (ამ შემთხვევაში შვაინშტაიგერი უალტერნატივოა), ორი საყრდენი დგება და აი, ამ სქემაში უკვე ტიმოშჩუკს აქვს ადგილი განაღდებული - ვან ბომელის გვერდით. სამაგიეროდ, სასტარტო შემადგენლობიდან ჰამითი ვარდება.

### 4-2-3-1

ისევე, როგორც რომბისებური ნახევარდაცვის შემთხვევაში, ფრანკ რიბერი აქაც გამთამაშებელია და შუაში დგას. **ივიცა ოლიჩი** მარცხენა ფლანგზე დგება და იკავებს პოზიციას, რომელზეც „ჰამბურგშიც" თამაშობდა. რობენი კი მარჯვნივ დგას და უფრო მეტი არჩევანი აქვს, ვიდრე სხვა სქემების შემთხვევაში: მას შეუძლია, ფლეიმეიკერ რიბერისთან გაათამაშოს კომბინაციები. უნდა ითქვას, რომ რობენმა „რეალში" თავისი საუკეთესო მატჩები სწორედ ამ სქემის დროს ჩაატარა. ამ სქემაში რობენს უკნიდან **ფილიპ ლამი** აზღვევს. ასეთ სქემაში ალთინთოფსა და შვაინშტაიგერს ძირითადში მოხვედრის შანსი არ აქვთ და ცენტფორვარდიც მხოლოდ ერთი უნდა იყოს - სავარაუდოდ, გომესი.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ შაბათს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „შალკეს" ბრაზილიელი მცველი **რაფინია** „ბაიერნში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს სპეკულაცია აღმოჩნდა. გელზენკირხენელები ბრაზილიელ მცველს არ უშვებენ და „ბაიერნის" ხელმძღვანელებმაც დაადასტურეს, რომ არავის ყიდვას აღარ აპირებენ...




ტრანსფერის ექო



ზე რობერტო

# ტყუილის მოკლე ფეხები

## შპიგელმა ბაიერნის საიდუმლოს ფარდა ახადა

ვინ თქვა, ბრაზილიელი **ზე რობერტო** მიუნხენიდან „ჰამბურგში" უფასოდ გადავიდაო? „შპიგელი" წერს, რომ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა ვეტერან ბრაზილიელში დაახლოებით 4 მილიონი ევრო გადაიხადა და თანაც, ეს თანხა სამხრეთ ამერიკაში გადაირიცხა. ხსენებული გამოცემა ამტკიცებს, რომ ყოველივე ეს „ჰამბურგსაც" ჩრდილს აყენებს და მით უმეტეს „ბაიერნს". „შპიგელის" ცნობით, თანხა მონტევიდეოს „ნასიონალის" ანგარიშზე გადაირიცხა. არადა, დღემდე ოფიციალურად იყო ცნობილი, რომ ზე რობერტომ „ჰამბურგს" ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიაშურა, რადგან მას „ბაიერნთან" კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა.

„ჰამბურგის" ბოსი **ბერნდ ჰოფმანი** ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. „შპიგელი" კი იტყობინება, რომ მიუნხენურმა კლუბმა 2007 წელსაც არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. მაშინ ბავარიელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ზე რობერტო მონტევიდეოს „ნასიონალიდან" უფასოდ გადაიბირეს. არადა, როგორც გაირკვა, „ბაიერნმა" ბრაზილიელი თურმე არენდით აიყვანა (?!). ბავარიელებს ხსენებული კლუბისთვის ერთი მილიონი ევრო მიუციათ იმისათვის, რომ ზე რობერტოს მიუნხენში 2009 წლამდე ეთამაშა. გამოდის, რომ „ჰამბურგში" გადასვლამდე, ბრაზილიელი „ნასიონალის" საკუთრება გახლდათ და არა „ბაიერნისა". რაში დასჭირდათ მიუნხენელებს ტყუილი, ეს ჯერჯერობით უცნობია და ცალკე სალაპარაკო თემაა.

ფაქტი ის არის, რომ „შპიგელის" ცნობით, მოვლენების ცენტრში ზე რობერტოს მრჩეველი **ხუან ფიგერია**, რომელიც ურუგვაიში არაერთ კლუბს აკონტროლებს და ასეთი გარიგებებიდან ბლომად ფულს შოულობს.

კიოლნი

# პრინცი თხებშიც არ ვარგა!

## პოდოლსკის საქმე უკან-უკან მიდის

მე-18, ანუ, ბოლო ადგილი, ბურთების შეფარდება 2:7 და მხოლოდ ერთი სასაცილო ქულა ოთხი ტურის შემდეგ. „კიოლნი" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ფსკერზეა და „ნიურნბერგთან" ერთად ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არც ერთი თამაში არ მოუგია. ვერაფერს იტყვი, ოთხი ტურის შემდეგ „თხებს" საშინელი ბალანსი აქვთ.

...და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს კიოლნელებმა ძალიან საინტერესო ტრანსფერები გაჩარხეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **ლუკას პოდოლსკის** ტრანსფერი. იმისათვის, რომ 24 წლის თავდამსხმელი დაებრუნებინათ, „თხებმა" მიუნხენის „ბაიერნს" 10 მილიონი ევრო გადაუხადეს, მერე კი „დაკარგული პრინცი" დიდი ზარ-ზეიმით წარადგინეს. პოლდის გოლების გრაფაში კი ჯერაც ნული წერია.

შეიძლება ვთქვათ, რომ პოდოლსკის კარიერა დაინგრა? ფაქტი ერთია: მართალია, კიოლნში დიდი და პატარა მასზე ლაპარაკობს, მაგრამ ლუკასი მოედანზე არაფრით გამოირჩევა. შესაბამისად, დგას ისეთი საშიშროების წინაშე, როგორიცაა საშუალო კლასში ჩაკარგვა. ჯერ კიდევ შარშან ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი ჰქონდა, მანამდე, 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა და მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, ახლა კი „კიოლნთან" ერთად ბოლო ადგილზეა და თუ ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, ფაქტია, რომ ლუკასი არავის ენდომება. არადა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მისი შეძენა საკმაოდ ძლიერ კლუბებს სურდათ.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც პოდოლსკი ჯერ არ დავიწყებია და დღემდე ძალიან აფასებს, გერმანიის ნაკრების დამრიგებელი **იოახიმ ლიოვია**, რომელიც მას ყოველთვის იძახებს. მაგრამ განა რამდენ ხანს შეუძლია ლიოვს იმ თავდამსხმელის გამოძახება, რომელსაც არც ერთი გოლი არ აქვს გატანილი? მით უმეტეს, რომ ნაკრებს მიღმაა „ლევერკუზენის" ფორვარდი **შტეფან კისლინგი**, რომელსაც ოთხ ტურში ოთხი გოლი აქვს გატანილი. ამას გარდა, წელს პოდოლსკი კონკურენტებისგან განსხვავებით საერთოდ არ ითამაშებს ევროტურნირებზე. წინ კი მსოფლიოს ჩემპიონატია...

„თხებმა" ცუდი სტარტი აიღეს და მომდევნო ხუთი შეხვედრაც ურთულესი აქვთ: „შალკე", „შტუტგარტი", „ლევერკუზენი" და „ბაიერნი". კალენდარი იმდენად რთულია, რომ დიდი შანსია, „კიოლნი" ოქტომბერშიც მოგების გარეშე იყოს. ლუკასს კი არც „ვერდერში" გადასვლა სურს და არც „ჰამბურგში" - ის „კიოლნის" ერთგული რჩება. მაგრამ ამ გუნდშიც ველარაფერს ახერხებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი



ლიონი მორიგ გოლს ზეიმობს

# ყოველთვის ლამაზად ვერ ითამაშებ

## ლიონს გროსო წაჰგვარეს, პსჟ-ს კეჟმანი

აპრილში ნიცასთან საშინაო მატჩით დაწყებული 14-მატჩიანი მოგებათა სერია საფრანგეთის ჩემპიონს „ველოდრომზე" შეუწყვიტეს, მე-4 ტურის ცენტრალურ მატჩში „მარსელი" და „ბორდო" უგოლოდ დაზავდნენ. სხვათა შორის, რაც საფრანგეთის პირველობა დაიწყო 0:0 არ დაფიქსირებულა, ახლა კი ერთბაშად ორი მატჩი დასრულდა გოლების გარეშე. „ველოდრომზე" მატჩს 55 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო, აქამდე „მარსელი" მონპელიეში მასპინძლობდა გუნდებს, ასე რომ, „ველოდრომზე" სეზონი კვირას გაიხსნა. მიზეზი კი გამოძიება იყო, რომელიც ივლისში **მადონას** კონცერტზე დატრიალებულ ტრაგედიას იკვლევდა. გუნდებმა პატივი მიაგეს „მარსელის" მფლობელის **რობერტ ლუის-დრეიფუსის** ხსოვნას, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ტურის მატჩს საფრანგეთის სპორტის მინისტრი **რამა იადე**, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** და საფრანგეთის პროფესიული ლიგის პრეზიდენტი **ფრედერიკ ტირიესი** ესწრებოდნენ. ბოლო სეზონში „მარსელი" მხოლოდ „ბორდოს" ჩამორჩა, მას მერე მასპინძლებმა მწვრთნელი გამოიცვალეს, **ერიკ გერეტსის** ნაცვლად გუნდში **დიდიე დეშამი** მივიდა. შეგახსენებთ, რომ „მარსელის" თავკაცი **ლორან ბლანი** წლების განმავლობაში თამაშობდა „მარსელში" მოკლედ, შეხვედრას ინტრიგა თავზე საყრელად ჰქონდა.

„მარსელი" უკეთ თამაშობდა, მაგრამ მასპინძლებს დამაგვირგვინებელ სტადიაში უჭირდათ, „ბორდო" თავს ხშირად უხეშობის ზღვარზე იცავდა, აქედან 5 ყვითელი ბარათი, რომელიც სტუმრებმა მიიღეს. პირველ ტაიმში გოლის გატანის ყველაზე კარგი შანსი „მარსელის" ბრაზილიელ ფორვარდ **ბრანდაოს** ჰქონდა, რომლის შორეული დარტყმული ძელს მოხვდა. სათანადოდ ვერ ირჯებოდა „ბორდოს" ვარსკვლავური დუეტი **იოან გურკუფისა** და **მარუან შამახის** შემადგენლობით. მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ ერთხელ შეაწუხეს **სედრიკ კარასოს** კარი, ამჯერად **ბენუა შეირუმ** ხარიხას გაარტყა ბურთი.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„ჩემმა გუნდმა ისე ითამაშა, როგორც მოველოდი. ძალიან კმაყოფილი ვარ თამაშის ხარისხით. ბიჭებზე მწყდება გული, როგორ მოინდომეს, მაგრამ მეტოქის კართან არაფრით უმართლებდათ. ახლა ბევრი მუშაობა გვმართებს მომენტების რეალიზაციის გასაუმჯობესებლად".*

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„ეს იყო ტაქტიკური სქემებით დამძიმებული მატჩი. ჩვენ კარგად შევისწავლეთ მეტოქე და მას კარისკენ მიმავალი გზები გადავუკეტეთ. გული მწყდება, რომ თამაშისას გამოჩნდა, რომ შეგვეძლო ჩვენი ფეხბურთი მოგვეხვია მეტოქისათვის, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა ეს ვერ შეძლეს. ფეხბურთელებს მონადინებას ვერ დავუკარგავ, მაგრამ ყოველთვის ვერ ითამაშებ ლამაზ ფეხბურთს".*

„ბორდოს" მარსელური წაფორხილება ერთპიროვნული ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. ოთხი ტურის შემდეგ 10-10 ქულა ჩემპიონის გარდა, „პარი სენ ჟერმენს" და „ლიონს" აქვთ. მათ კვალში 8-8 ქულით „მონპელიე" და „მარსელი" უდგას. მოკლედ, „მონპელიეს" თუ არ ჩავთვლით, საფრანგეთის ჩემპიონატის ყველა ფავორიტი ცხრილის სათავეშია.

„პარი სენ ჟერმენმა" კერკეტი კაკალი „ლილი" გაანადგურა 3:0. მასპინძელთა მწვრთნელი **ანტუან კამბუარე** ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მისი გუნდი საოცრად დაძაბული პირველი ტაიმის შემდეგ დიდი ანგარიშით შეძლებდა გამარჯვებას. *„მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენ უკეთ ავთამაშდით დაცვაში, მეტი მომენტი შევქმენით და ორი დიდებული გოლი გავიტანეთ. პირადად დიდად არ ალვფრთოვანდები ლიდერობით, სეზონი ჯერ კიდევ წინაა, რა დროს ცხრილში ჩახედვაა"*, - განაცხადა კამბუარემ მას შემდეგ, რაც **ლუინდულამ** და **ჟაიემ** მეორე ტაიმში „ლილის" კარში თითო გოლი გაიტანეს. სხვათა შორის, ამ თამაშის შემდეგ პსჟ-მ ერთი ფორვარდი დაკარგა სერბი **მატეა კეჟმანი** სეზონით რუსულ „ზენიტში" გაანათხოვრეს. შარშან კეჟმანმა პსჟ-ს რიგებში 21 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა.

დიდებულ ფორმაშია „ლიონი", გუნდს ჩინებულად შეეწყვნენ ახალწვეულები **ბაფეტიმბი გომისი** და **ლისანდრო ლოპესი**. აგვისტოში ევროთასების ჩათვლით „ლიონმა" 7 მატჩიდან 6 მოიგო და 17 გოლი გაიტანა. *„ჩვენ უფრო თავისუფალნი ვართ მოედანზე, ვიდრე წინა სეზონში. ამიტომაც ავთამაშდით ასე კარგად, ახლა მთავარია მთელი სეზონი და შევინარჩუნოთ ეს ფორმა"*, - ასე ხსნის „ლიონის" ბრწყინვალე თამაშს გუნდის გოლკიპერი **უგო ლორისი**. მესამე გოლი „ლილის" კარში ბრაზილიელ **ბაშტუშს** ძალზე ეფექტური გამოუვიდა, ბურთმა ჰაერში ორჯერ შეიცვალა მიმართულება. „ლიონმა" „იუვენტუსს" მიჰყიდა იტალიელი მცველი **ფაბიო გროსო**.

შინ მოულოდნელი მარცხი იწვნია „ტულუზმა". **კაპუეს** გოლით „ვალანსიენმა" 1:0 მოიგო. ბოლოს კი გთავაზობთ პოპულარული ფრანგული გამოცემა „ეკიპის" ტურის სიმბოლურ ნაკრებს შეფასებებითურთ:

**ნდი ასმებე** (ვალანსიენი, 8) - **ანდრო** (სენტ ეტიენი, 6), **კოშილნი** (ლორიენი, 7), **ბრეშე** (სოშო, 7), **სისოხო** (ლიონი, 6) - **ლერუა** (რენი, 7), **პიტრო** (მონპელიე, 7), **შეირუ** (მასრელი, 8) - **ბაშტუში** (ლიონი, 7), **დევისი** (სოშო, 7), **ჟემაა** (ლანსი, 6).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### მომდევნო ტური

12 სექტემბერი. ლე მანი-მარსელი, ლილი-სოშო, ლიონი-ლორიენი, მონპელიე-ლანსი, ნანსი-ტულუზი, ვალანსიენი-ბულონი, ბორდო-გრენობლი. 13 სექტემბერი. ოსერი-ნიცა, რენი-სენტ ეტიენი, მონაკო-პსჟ.

## ლიგა 1. IV ტური

### ბულონი-ოსერი 0:0

**ბულონი (4-3-3):** ვალვერდი - ბორნი (46. ლესუანტი), ტურე, ლაშორი, რაბუელი - ადეფემი (83. დემბელე), და როშა, აგუაზი - რობერი (61. მორეირა), ტილი, კუვილიე.

**ოსერი (4-2-3-1):** სორენი - ჰენგბარტი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი - პედრეტი, ნარი (46. ნიკუალე) - ბირსა (46. ლეჟენი), ნდინგა, შაფნი - კონტუტი.

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8-11 (0-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 11 090

### ლანსი-რენი 2:2

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაჰია, შელი, რამოსი - ჰერმაში (46. მონე-პაკე), კოვაჩევიჩი - ბუკარი, მილოვანოვიჩი (89. სოუ), ჟემაა - ედუარდო (52. ლორენტი).

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემუანი, მვილა - სოუ (81. ეკოკო), ლერუა, ბანგურა (70. მარვო) - გიანი.

**გოლები:** 0:1 ბანგურა (4), 1:1 დემონი (21), 2:1 ჟემაა (73), 2:2 გიანი (92)

**გაძევება:** რამოსი (51), მვილა (69)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 10-19 (6-4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 33 810

### ლორიენი-ლე მანი 1:0

**ლორიენი (4-4-2):** ოდარი - სოსა, ეენტონი, კოშილნი, მორელი - ამალფიტანო, დუკასი (66. მონტერუბიო), მანსური, დიარა (80. მვემბა) - გამეირო, ვაირუა (87. პენალბა).

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, ლუვიონი, სერდანი, ბაალი - გულონი (80. სტრომსტადი), ტომასი - ლე ტალეკი (80. დოსევი), კუტადო, ლამა (65. მაიგა) - ჰელსტადი.

**შენიშვნა:** გიორგი მაკარიძე სათადარიგო იყო.

**გოლი:** 1:0 ვაირუა (63)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10-13 (2-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 11 072

### ნიცა-მონპელიე 0:3

**ნიცა (4-4-2):** ოსპინა - დიაკიტე, აპამი, სიდი, მიაბალა (46. ფაე) - ბამოგო (46. ბენ საადა), ელბრიკი, საბლე (67. პოტე), მულუნგუი - ტრაორე, რემი.

**მონპელიე (4-3-3):** ჟორდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი, ელ კაუტარი, ჟენშამი (84. კოლინი) - მარვო, პიტრო, კოშტა - დერნისი (70. კამარა), მონტანიო, ბელჰანდა (73. კომპანი).

**გოლები:** 0:1 დერნისი (4), 0:2 მონტანიო (49), 0:3 კომპანი (77).

**გაძევება:** აპამი (80).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 20-14 (6-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 9 027

### სენტ ეტიენი-გრენობლი 1:0

**სენტ ეტიენი (4-4-2):** ჟანო - ანდრო, ბაიალ სალი, ნდავი, ვარო - მატიდი, ლანდრინი, პაიე (78. პერინი), მირალიასი (66. საკო) - ილანი (46. ფერნანდესი), სანოგო.

**გრენობლი (4-4-2):** ვივიანი - ვიტაკიჩი, ჟემალი, პაიო, რობენი - დიეზი (86. რენდულიჩი), რომაო - კურტუა (54. ფეგული), ბატლესი, ტადიჩი - ლუბოია (74. აკრური).

**გოლი:** 1:0 ლანდრინი (23)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 16-12 (4-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 321

### სოშო-მონაკო 1:0

**სოშო (4-4-2):** რიშერი - ფატი, პერკისი, ბრეშე, მიკარი - ბუდებუზი (86. პიუჟოლი), მარტინი, დალმა, მორის-ბელაი - დევისი (85. ბუტენი), სვერკოში (85. პრივატი).

**მონაკო (4-4-2):** რუფიე - ადრიანო, მონგონგუ, პუიგრენიე, ტრაორე - ალონსო, კოშტა, პერესი, ნენე - პარკი (65. საგბო), ბაკარი (31. ნიმანი).

**გოლი:** 1:0 სვერკოში (20 პენ)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 26-27; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11-16 (3-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 13 141

### ლიონი-ნანსი 3:1

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ბოდმერი, სისოხო - პიანიჩი (66. მაკუნი), ტულალანი, კალსტრიომი - ბაშტუში, გომისი (70. დელგადო), ლოპესი (89. ბელფოდილი).

**ნანსი (4-5-1):** ბრასილიანო - მაკალუსო, ლოტიესი, სამი, ლემეიტრი (46. მარანჟი) - დია (40. ტრაორე), ანდრე ლუისი (80. ბრიზონი), კა, ჰაჯი, ფერე - ალო ეფულუ.

**გოლები:** 1:0 გომისი (38), 2:0 ლოპესი (50), 2:1 ჰაჯი (57), 3:1 ბაშტუში (69).

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 24-15; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-15 (5-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 34 193

### პსჟ-ლილი 3:0

**პსჟ (4-4-2):** კუპე - სეარა, ტრაორე, სახო, არმანი - ჟიული (70. ჟაიე), მაკელელი, კლემანი, სესენიონი - ლუინდულა (83. შანტომი), ერდინგი (60. ოარო).

**ლილი (4-3-2-1):** ბუტელი - დებიუში, რამი, ჩეჯუ, ემერსონი - კაბაიე, მავუბა (69. ობრანიაკი), აუბამეიანგი (46. ჟერვინიო) - ჰაზარი, ბელმონი - ვიტეკი (57. დე მელო).

**გოლები:** 1:0 კლემანი (27), 2:0 ლუინდულა (78), 3:0 ჟაიე (91)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 9-15 (6-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 34 439

### ტულუზი-ვალანსიენი 0:1

**ტულუზი (4-5-1):** ბლონდელი - ებონდო, სეტო, კონგრე, მბენგე - ბრაატენი (80. მანსარე), კაპუე (89. პენტეკოტი), დიდო (85. სირიე), სისოკო, მაშადუ - ჟინიაკი.

**ვალანსიენი (4-3-2-1):** ნდი ასემბე - მატერი (77. ბენჰალფალაჰი), ბიზევაცი, ბონგი, ტიენე - სანჩესი, გომისი, კოადი - დუკურტიუ, დანიჩი (84. სამასა) - ოდელი.

**გოლი:** 0:1 სამასა (87)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 20-5 (8-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 029

### მარსელი-ბორდო 0:0

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - სისე, მბია, შეირუ - კონე (13. ვალბუენა), ბრანდაო, ნიანგი (74. მორიენტესი).

**ბორდო (4-5-1):** კარასო - შალმე, პლანიუსი, სიანი, ტრემულინასი - გუფრენი (65. პლაშილი), ფერნანდო (76. ჟუსი), დიარა, გურკუფი, ვენდელი - შამახი (87. ბელიონი).

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-5 (2-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 55 920

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 2. პსჟ | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 3. ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| 4. მონპელიე | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 5. მარსელი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 8 |
| 6. ლანსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 7. ლორიენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 8. ბულონი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-4 | 7 |
| 9. ნანსი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-6 | 6 |
| 10. რენი | 4 | 1 | 3 | 0 | 7-4 | 6 |
| 11. სოშო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| 12. მონაკო | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 13. ტულუზი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 14. ლე მანი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 15. ნიცა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-8 | 4 |
| 16. ვალანსიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 17. სტ.ეტიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| 18. ლილი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |
| 19. ოსერი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |
| 20. გრენობლი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - გურკუფი (ბორდო); 3 - შამახი (ბორდო).

## ლიგა 2. V ტური

**ბასტია-ლავალი** 0:1

**გოლი:** 0:1 აგუი (35)

**ისტრი-დიჟონი** 1:1

**გოლები:** 1:0 რივიერი (19), 1:1 ტუატი (75)

*ისტრში პოლ კესანიმ 90 წუთი ითამაშა*

**კაენი-არლი** 1:0

**გოლი:** 1:0 პიოსელი (49-საკ. კარში)

**კლერმონი-შატორუ** 0:0

**სტრასბური-სედანი** 2:2

**გოლები:** 0:1 ალარტი (29), 1:1 ლედი (58), 1:2 ალარტი (63), 2:2 გუეიე (91)

**ანჟერი-აიაჩო** 2:1

**გოლები:** 1:0 მოდესტე (42), 1:1 კინკელა (45), 2:1 მოდესტე (57)

**ნიმი-მეცი** 1:1

**გოლები:** 1:0 მანდრიში (51), 1:1 სისე (58)

**ტური-გინგამი** 2:0

**გოლები:** 1:0 ატიკი (56), 2:0 ჟირუ (70)

**ვანი-ლე ავრი** 1:1

**გოლები:** 0:1 მარშანი (38), 1:1 ჟიმბერი (60)

**ბრესტი-ნანტი** 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 5 | 4 | 1 | 0 | 6-2 | 13 |
| 2. შატორუ | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| 3. არლი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 4. ლავალი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 5. ტური | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 6. ლე ავრი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 7. ნანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| 8. გინგამი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 9. ანჟერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 10. მეცი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 11. ვანი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 12. ბრესტი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 13. სედანი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 14. დიჟონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 15. აიაჩო | 5 | 1 | 1 | 3 | 7-8 | 4 |
| 16. ისტრი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-8 | 4 |
| 17. ბასტია | 5 | 1 | 0 | 4 | 7-6 | 3 |
| 18. სტრასბ. | 5 | 0 | 3 | 2 | 8-10 | 3 |
| 19. ნიმი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-9 | 3 |
| 20. კლერმ. | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## პორტუგალია

### საპრემ ლიგა. III ტური

# სპორტინგმა გაიღვიძა

პორტუგალიის მესამე ტური „ბრაგას" ზედიზედ მესამე გამარჯვებით აღინიშნა. „არსენალისტასს" გამარჯვება მისმა მთავარმა ახალწვეულმა **უგო ვიანამ** მოუტანა, რომელმაც ორი გოლი გაუტანა „ბელენენსეშს". ბოლო სეზონებში „ბრაგას" სულ ცოტა აკლდებოდა საპრიზო სამეულში შესასვლელად, მაგრამ, როგორც ჩანს, წელს ეს გუნდი სერიოზულად არის განწყობილი. მომდევნო მიმოხილვებში „ბრაგას" ამბიციების შესახებ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

ამ ტურის მთავარი მოვლენა ლისაბონის „სპორტინგის" პირველი გამარჯვება იყო. ბოლო დღეებში ბევრს ლაპარაკობდნენ პორტუგალიურ გრანდში არსებულ კრიზისზე, **ფაბიო როშემბაკის** კონფლიქტზე კლუბის ხელმძღვანელობასთან, რის გამოც ბრაზილიელი სამშობლოში დაბრუნდა და „გრემიოში" ჩაირიცხა.

როგორც ჩანს, როშემბაკის წასვლამ „სპორტინგზე" კარგად იმოქმედა. ლისაბონელებმა სტუმრად დამაჯერებლად დაამარცხეს „აკადემიკა". „სპორტინგის" ფანებისთვის კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია ის არის, რომ „ვალენსიაში" გატარებული 14 სეზონის შემდეგ ესპანელი **მიგელ ანხელ ანგულო** კარიერას ლისაბონში გააგრძელებს.

**ფერეირა-გიმარაეში** 0:0

**ნავალი-პორტუ** 1:3

**გოლები:** 0:1 ფალკაო (9), 0:2 ვარელა (61), 1:2 როლანდო (76-საკ. კარში), 1:3 ფარიასი (77)

**ლეიქსოეში-რიუ ავე** 0:0

**ლეირია-მარიტიმუ** 0:0

**ბრაგა-ბელენენსეში** 3:1

**გოლები:** 1:0 დიაკიტე (28-საკ. კარში), 1:1 იონჩა (52), 2:1 უგო ვიანა (61), 3:1 უგო ვიანა (90)

**აკადემიკა-სპორტინგი** 0:2

**გოლები:** 0:1 ლიედსონი (64), 0:2 იანიკი (84)

**ნასიონალი-ოლანენსე** 1:1

**ბენფიკა-სეტუბალი** 8:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაგა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. პორტუ | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3. მარიტიმუ | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. რიუ ავე | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 5. სპორტინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 6. ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ბელენენსეში | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 8. ფერეირა | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 9. ლეირია | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 10. ოლანენსე | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 11. გიმარაეში | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 11. ლეიქსოეში | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 13. სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14. აკადემიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 14. ნასიონალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16. ნავალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**ბომბარდირები:** 3 - ფალკაო (პორტუ), ჯალო (სპორტინგი); 2 - იონჩა (ბელენენსეში), მეიონგი (ბრაგა), უგო ვიანა (ბრაგა).

**გია თვალაბეიშვილი**



ანგულო სპორტინგში ითამაშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოლანდია

ერედივიზიე. V ტური

# ალკმაარის ზედიზედ მეოთხე



ჟუჟაკი და კუვერმანსი გოლს ხარობენ

ერედივიზიონში ყველაფერი წინასწარი პროგნოზის მიხედვით მიმდინარეობს. გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში იმყოფება ჰოლანდიური ფეხბურთის სამი აღიარებული გრანდი, მოქმედი ჩემპიონი „ალკმაარი" და **სტივ მაკლარენის** წყალობით ამ ოთხეულს მიტმასნილი „ტვენტე". მეხუთე ტურის ცენტრალური მატჩში ეს უკანასკნელი „ფეიენოორდს" სტუმრობდა და როტერდამელებს ლიდერობა დააკარგვინა.

მასპინძლებს მთელი მატჩი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში გადაურჩნენ წაგებას. შეცვლაზე შესულმა ახალგაზრდა მცველმა **ნიკი კუიპერმა** „ტვენტე" 74-ე წუთზე დააწინაურა. ალსანიშნავია, რომ ეს იყო „ფეიენოორდის" პირველი გაშვებული გოლი ამ ჩემპიონატში. წელს როტერდამელთა კარს 40 წლის **რობ ვან დიიკი** იცავს, რომელსაც შარშან მხოლოდ ექვსჯერ მოუწია მოედანზე გასვლა, წელს კი გუნდის ძირითადი მეკარე გახდა და მეორე ახალგაზრდობას განიცდის.

კუიპერმა ანგარიში გახსნა და მანვე წაართვა „ტვენტეს" სამი ქულის მოპოვების შანსი. 93-ე წუთზე საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტით ანგარიში ვეტერანმა **როი მაკაიმ** გაათანაბრა.

სხვათა შორის, „ფეიენოორდის" დამრიგებელმა **მარიო ბეენმა** ამ დღეებში მიანიშნა, რომ უპრობლემოდ შეელევა მაკაის: *„თუ როი სხვა კლუბისგან შეთავაზებას მიიღებს, რომელიც მისთვის მისაღები იქნება, ჩვენ არ შევეწინააღმდეგებით მის წასვლას".* ცნობისთვის, „ტვენტეს" კარში გატანილი გოლი ვეტერანი ფორვარდისთვის პირველი იყო ახალ სეზონში.

„ფეიენოორდის" წაფორხილებით ისარგებლა „ალკმაარმა". ჩემპიონმა პირველი ტურში „ჰერაკლესთან" მოულოდნელი მარცხის შემდეგ ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. „ვილემთან" მატჩის ბედი პირველი ტაიმის პირველ ნახევარში გადაწყდა. თავიდან გუნდებმა გოლები გაცვალეს, რის შემდეგაც მექსიკელმა ცენტრალურმა მცველმა **ექტორ მორენომ** შორიდან დარტყმით გამარჯვება მოუტანა „ალკმაარს". ეს მორენოს მეორე გოლია ჰოლანდიური კლუბის შემადგენლობაში.

სტუმრად დამაჯერებლად მოიგეს თავიანთი შეხვედრები „აიაქსმა" და „ეინდჰოვენმა", თუმცა ორივემ მატჩის ბოლოსკენ მოახერხა გამარჯვების განაღდება.

„აიაქსი" ბელგიელი მცველის **ტობი ალდერვაირელდის** გოლით დაწინაურდა. ასისტენტის როლში ამ ზაფხულს ამსტერდამელთა მთავარი შენაძენი, „ალკმაარის" ყოფილი ნახევარმცველი **დემი დე ზეუვი** მოგვევლინა. ორ წუთში „ჰერაკლესს" **კვამე ქუანსა** გაუგდეს და ათი კაცით დარჩენილმა მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი მიიღეს. აქედან ერთი არგენტინელი **დარიო ცვიტანიჩის** ანგარიშზეა, რომელსაც სულ მალე სამშობლოში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ - როგორც არგენტინული პრესა წერს, ფორვარდის არენდით აყვანას „რივერ პლეიტი" აპირებს.

„გრონინგენში" „ეინდჰოვენის" გამარჯვება **დენი კუვერმანსისა** და **ბალაშ დჟუდჩაკის** წყვილმა განაპირობა. კუვერმანსმა უნგრელის შედეგიანი გადაცემების წყალობით შეასრულა დუბლი. ეს დუეტი ჯერჯერობით ძალიან ნაყოფიერად მოქმედებს - „ეინდჰოვენის" გოლების ნახევარზე მეტი (7 ბურთი) ამ წყვილზე მოდის, გარდა ამისა, დჟუდჩაკის ანგარიშზე ოთხი შედეგიანი პასია. ამდენივე საგოლე გადაცემა დაუგროვდა „ეინდჰოვენის" ახალწვეულ **სტანისლავ მანოლევს**, რომელიც ბულგარეთის „ლიტექსიდან" შეიძინეს და მას ერედივიზიონში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

საერთოდ, ჰოლანდიის ჩემპიონატი ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენით არის ცნობილი. ამჯერად ერედივიზიონში მონაწილე ფეხბურთელებს შორის, ყველაზე დიდი ყურადღება „ვენლოს" კაპიტან **კეისუკე ჰონდას** მიმართ არის მიპყრობილი. ამ ზაფხულს 23 წლის იაპონელს პსჟ და „მალაგა" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჰონდამ „ვენლოს" დატოვებაზე უარი განაცხადა. ორი დღის წინ აზიელმა მოსკოვის ცსკა-ს წინადადებაც უარყო, არადა არმიელები ნახევარმცველში 8 მილიონს იხდიდნენ. ჰონდას ტრანსფერზე მთავარ პრეტენდენტად „ეინდჰოვენი" ითვლება, მაგრამ ამ გუნდმა ჯერ ვერ შეათანხმა „ვენლოსთან" ტრანსფერის პირობები.

ჰონდას ხუთ ტურში ხუთი გოლი და სამი საგოლე პასი დაუგროვდა. სწორედ ამის წყალობით მოკრძალებული „ვენლო" ჯერაც დაუმარცხებელია, მაგრამ მოგების გრაფაშიც ნული უწერია.

**ვაალვაიკი-დენ ჰააგი** 0:2

გოლები: 0:2 მილიჩი (36), 0:2 ვერჰუკი (51)

**როდა-ვიტესი** 3:4

გოლები: 0:1 ნილსონი (1), 1:1 იუნკერი (27), 1:2 ჰოფსი (42), 2:2 ვან დერ სტრუიკი (53), 3:2 ჰადუირი (59), 3:3 კალოგლუ (75), 3:4 კოლკი (88)

**ნაიმეგენი-ვენლო** 1:1

გოლები: 0:1 კალაბრო (31), 1:1 ცომერი (51)

**ალკმაარი-ვილემი** 2:1

გოლები: 1:0 ჰოლმანი (7), ცილერი (22), 2:1 მორენო (23)

**უტრეხტი-სპარტა** 2:0

გოლები: 1:0 ლენსკი (62), 2:0 ვან დიიკი (81)

**გრონინგენი-ეინდჰოვენი** 0:2

გოლები: 0:1 კუვერმანსი (65), 0:2 კუვერმანსი (80)

**ფეიენოორდი-ტვენტე** 1:1

გოლები: 0:1 კუიპერი (73), მაკაი (90+3-პენ)

**ბრედა-ჰერენვეენი** 2:0

გოლები: 1:0 კვაკმანი (50), 2:0 ამოა (57)

**ჰერაკლესი-აიაქსი** 0:3

გოლები: 0:1 ალდერვაირელდი (67), 0:2 ცვიტანიჩი (86), 0:3 აისატი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-4 | 12 |
| 2. ფეიენოორდი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-1 | 11 |
| 3. ეინდჰოვენი | 5 | 3 | 2 | 0 | 13-8 | 11 |
| 4. ტვენტე | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 5. აიაქსი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-5 | 10 |
| 6. უტრეხტი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 7. ბრედა | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 8. დენ ჰააგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 9. ჰერაკლესი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 10. ვენლო | 5 | 0 | 5 | 0 | 10-10 | 5 |
| 11. როდა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 12. ნაიმეგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 13. ვიტესი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 14. სპარტა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |
| 15. ჰერენვეენი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| 16. ვილემი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-7 | 3 |
| 17. გრონინგენი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |
| 18. ვაალვაიკი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - ჰონდა (ვენლო), სუარესი (აიაქსი), ელ ჰამდაუი (ალკმაარი); 4 - კუვერმანსი (ეინდჰოვენი); 3 - ჟუჟაკი (ეინდჰოვენი), კუფო (ტვენტე), დალ ტომასონი (ფეიენოორდი), კალაბრო (ვენლო).

ბელგია

ჟუპილერ ლიგა. V ტური

# ჩემპიონს უჭირს

ბელგიის ჩემპიონატის მეხუთე ტურის გამორჩეული მატჩი ბრიუსელში გაიმართა, რომელშიც გასული სეზონის საჩემპიონო პლეი ოფის მონაწილეები შეხვდნენ ერთმანეთს. შარშან „ოქროს მატჩში" „სტანდარდმა" „ანდერლეხტს" მოუგო და ზედიზედ მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ბრიუსელური კლუბი კი ასევე ზედიზედ მეორედ ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

„ანდერლეხტმა" დიდი მცდელობის მიუხედავად მაინც ვერ შეძლო რევანშის აღება, არადა, ამის კარგი შანსი ჰქონდა. „სტანდარდს" 25-ე წუთზე **აქსელ ვიტსელი** გაუძევეს და მასპინძლებმა 65 წუთი რიცხობრივ უპირატესობაში ითამაშეს. მიუხედავად ამისა, ანგარიში **დიომერსი მბოკანიმ** გახსნა და „სტანდარდი" დააწინაურა. კონგოელმა თავის ყოფილ კლუბს გაუტანა. ფორვარდი 2006-07 წლების სეზონში „ანდერლეხტში" თამაშობდა და ჩემპიონი გახდა. მომდევნო ორი წელს კი პირველობა ლიეჟური კლუბის შემადგენლობაში მოიპოვა. ასე რომ, მბოკანი მეტად იღბლიანი ფეხბურთელია, რისთვისაც ღმერთს ორიგინალურად სწირავს მადლობას - კონგოელის სახელი „დიომერსი" სწორედ ასე ითარგმნება: „მადლობა, ღმერთო".

„ანდერლეხტმა" პირველივე ტაიმში გაათანაბრა ანგარიში, მეორე ნახევარშიც ბევრს უტევდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეეგუა სეზონში პირველი ქულების დაკარგვას. „სტანდარდიც" დაუმარცხებლად თამაშობს, მაგრამ ხუთ ტურში ოთხი ფრე აქვს და მისთვის შეუფერებელ მეშვიდე ადგილზე იმყოფება.

სხვა მხრივ, ეს ტური არაფრით ყოფილა გამორჩეული. ერთადერთი „სენტ ტრუიდენის" მოულოდნელი სტარტი უნდა გამოვყოთ. ეს გუნდი ძირითადად გამოცდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, თუმცა რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშის გამოყოფაც შეიძლება. მაგალითად, 21 წლის მეკარე **სიმონ მინოლე**, რომელიც ბელგიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და როგორც მასზე ამბობენ, „სენტ ტრუიდენში" დიდხანს არ გაჩერდება - ის უფრო მაღალი დონის კლუბში იმსახურებს თამაშს. ამ გუნდზე ნაკლები გოლი მხოლოდ „ანდერლეხტს" აქვს გაშვებული და ეს სწორედ მინოლესა და **მარიო კანტალუპის** დამსახურებაა. 35 წლის შვეიცარიელი მცველი, რომელსაც ბუნდესლიგის („ნიურნბერგი") სკოლა აქვს გამოვლილი, ორი წელია „სენტ ტრუიდენში" თამაშობს და ამ გუნდის უდავო ლიდერად ითვლება.

შეტევაში ბევრი რამ არის დამოკიდებული სენეგალელ **იბრაჰიმ სიდიბეზე** და აფრიკელი ჯერჯერობით კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული სიდიბემ 49 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა.

„სენტ ტრუიდენმა" ერთი გამოცდა უკვე ჩააბარა, როცა პირველ ტურში სტუმრად ფრედ ეთამაშა ჩემპიონ „სტანდარდთან". მაგრამ ამ გუნდის ნამდვილ ძალას მომდევნო ტურში გავიგებთ, როცა ბელგიის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი ლიდერ „ანდერლეხტს" უმასპინძლებს.

**ვესტერლო-ვარეგემი** 1:2

გოლები: 0:1 ბერიე (52), 1:1 ფარსი (69), 1:2 ნფორი (90)

**კორტრაიკი-გენტი** 1:0

გოლი: 1:0 ბენკო (49)

**მეხელენი-სტ. ტრუიდენი** 0:2

გოლები: 0:1 ვილმე (68), 0:2 სიდიბე (82)

**ლოკერენი-მუსკრონი** 4:1

გოლები: 1:0 იანჩუკი (25), 2:0 სმაიჩი (32), 3:0 სმაიჩი (44), 4:0 სოკოტა (54), 4:1 მაა (76)

**რუზელარე-შარლერუა** 1:3

გოლები: 0:1 ტერეო (20-პენ), 0:2 ტერეო (27), 0:3 ჰაბიბუ (30), 1:3 გააური (39-პენ)

**სერკლი-ბრიუგე** 2:3

გოლები: 1:0 იაშჩუკი (2), 2:0 ბუფელი (10), 2:1 სონკი (14), 2:2 აკპალა (66), 2:3 სონკი (77)

**გენკი-ბეერსხოტი** 1:1

გოლები: 0:1 ჰარუნი (38), 1:1 ოგუნიმი (48)

**ანდერლეხტი-სტანდარდი** 1:1

გოლები: 0:1 მბოკანი (36), 1:1 ჟილე (44)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| 2. სტ. ტრუიდენი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 3. გენტი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 4. ბრიუგე | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| 5. მეხელენი | 5 | 3 | 0 | 2 | 10-7 | 9 |
| 6. შარლერუა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 7. სტანდარდი | 5 | 1 | 4 | 0 | 10-6 | 7 |
| 8. გენკი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 9. ვარეგემი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-8 | 6 |
| 10. კორტრაიკი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| 11. მუსკრონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 12. სერკლი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-11 | 4 |
| 13. ლოკერენი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 14. ბეერსხოტი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-7 | 3 |
| 15. რუზელარე | 5 | 0 | 2 | 3 | 4-11 | 2 |
| 16. ვესტერლო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), 4 - აკპალა (ბრიუგე), ბუსუფა (ანდერლეხტი), ტერეო (შარლერუა), ოკვუნვანე (მუსკრონი).



ბოკანისა და ვასილევსკის ორთაბრძოლა

შოტლანდია

სუპერლიგა. III ტური



დენი კადამარტერი დანდი იუნაიტედში ათამაშდა

# გრანდები და დანდი იუნაიტედი

შოტლანდიაში ნაცნობ სურათს ვხედავთ. სამი ტურის შემდეგ ასპროცენტიანი მაჩვენებლით „რეინჯერსი" და „სელტიკი" ლიდერობენ. შოტლანდიურ გრანდებს ყველა მაჩვენებელი თითქმის ერთნაირი აქვთ - განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „რეინჯერსს" ერთი გოლით მეტი აქვს გატანილი.

უფრო საინტერესო „დანდი იუნაიტედის" წარმატებული თამაშია. ამ გუნდმა წარმატებული სატრანსფერო კამპანია ჩაატარა. „იუნაიტედს" ძალიან წაადგა ინგლისელი ფეხბურთელების გადაბირება. ერთ-ერთია ცნობილი მეკარე **ნიკი ვივერი**, რომელიც 10 წელი „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა და ჩვენი **გიორგი ქინქლაძის** თანაგუნდელი იყო. „დანდი იუნაიტედმა" ბოლო ტურში პირველი გოლი გაუშვა ამ ჩემპიონატში, ასე რომ, ვივერი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად უნდა მივიჩნიოთ.

მეორე მნიშვნელოვანი შენაძენი გახდა თავის დროზე ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული **დენი კადამარტერი**. იამაიკელი მამისა და იტალიელი დედის შვილმა კარიერის საუკეთესო წლები „ევერტონში" გაატარა, მაგრამ თანდათან თამაშს უკლო და საბოლოოდ „დანდი იუნაიტედში" ამოყო თავი, სადაც სამ ტურში სამი გოლი გაიტანა და შეტევაში მნიშვნელოვან ფიგურად იქცა.

**აბერდინი-მოზერველი** 0:0

**დანდი იუნ-ფალკირკი** 2:1

გოლები: 1:0 კადამარტერი (49), 2:0 გულდვილი (56), 2:1 ფინბოგასონი (75)

**კილმარნოკი-სტ. მირენი** 1:2

გოლები: 1:0 სამონი (4), 1:1 მაკგინი (48), 1:2 მაკგინი (69)

**რეინჯერსი-ჰემილტონი** 4:1

გოლები: 1:0 უაიტეკერი (19), 2:0 ბოიდი (27), 3:0 ბოიდი (65), 4:0 უაიტეკერი (67), 4:1 მაკლაფლინი (87)

**ჰიბერნიანი-სელტიკი** 0:1

გოლი: 0:1 სამარასი (41)

**სტ. ჯონსტონი-ჰართსი** 2:2

გოლები: 1:0 დევიდსონი (23), 1:1 გონკალვეში (59), 1:2 ობუა (86), 2:2 ჰარდი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 2. სელტიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 3. დანდი იუნ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4. ჰიბერნიანი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 5. მოზერველი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 6. აბერდინი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 7. სტ. მირენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 8. კილმარნოკი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 6-9 | 2 |
| 10. ჰართსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 11. ფალკირკი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-9 | 0 |
| 12. ჰემილტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - მაკგინი (სტ. მირენი), კადამარტერი (დანდი იუნ), ბოიდი (რეინჯერსი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრანსფერები

# ფანჯარა ხმაურით დაიხურა

## ხიზანიშვილის ლოდინში განხორციელებული ტრანსფერები: გროსო იუვეში, გუდიონსენი მონაკოში

გუშინ, დღის ბოლომდე ველოდით ჩვენთვის მნიშვნელოვან ცნობას ინგლისიდან, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე საათებიღა რჩებოდა და პერიოდულად ვამოწმებდით ინტერნეტრესურსებს, რომ გაგვეგო გაექცა თუ არა „ბლექბერნს" და პერმანენტულ უთამაშებლობას **ზურაბ ხიზანიშვილი.** ქართველის შეძენა პრემიერლიგიდან გავარდნილ „ნიუკასლს" სურდა, მაგრამ ამაოდ... ამასობაში იმდენი ტრანსფერი განხორციელდა, მთელ აგვისტოს ეყოფოდა.

„მონაკომ" დაადასტურა, რომ ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე გუნდში „ბარსელონას" თავდამსხმელი **ეიდურ გუდიონსენი** აიყვანა და მასში თეთრიც არ გადაუხდია. ისლანდიელი „მონაკოს" უსასყიდლოდ ერგო. მას ახალ კლუბში უკვე გადასცეს სასურველი 9-ნომრიანი მაისურა. იმავე დღეს „მონაკომ" ნიჭიერი ფრანგი ნახევარმცველი **მატიო კუტადო** შეიძინა. „ლე მანის" 23 წლის გამთამაშებელი, რომელზეც „არსენალი" აცხადებდა პრეტენზიას, გუშინ 4 მილიონი ევროს საფასურად „მონაკოს" წევრი გახდა. დღეისათვის „მონაკო" 6 ქულით მე-12 ადგილზეა საფრანგეთის ჩემპიონატში. მოკლედ, სატრანსფერო ბატალიების ბოლო დღეს ყველაზე მეტად „მონაკო" გაძლიერდა. აქვე ვიტყვით სხვა ფრანგული ტრანსფერების შესახებ, რომლებიც ასევე გუშინ განხორციელდა: „ნანსიმ" მაროკოელი **მონსეფ ზერკა** „ნანტში" გაყიდა. „ლიონიდან" „ნიცაში" გადავიდა ფორვარდი **ანტონი მუნიე.** 29 წლის ნახევარმცველი **ბენჟამინ გავანონი** „ნანსიმ" „სოშოში" გაანათხოვრა, „პარი სენ ჟერმენმა" ერთწლიანი იჯარით რუსულ „ზენიტს" დაუთმო სერბი ფორვარდი **მატეა კეჟმანი.** „სენტ ეტიენმა" თავდამსხმელი **დავიდ გილიოტი** მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგში" გაუშვა. გუდიონსენის მისვლის შემდეგ ფორვარდი **ჯამელ ბაკარი** შემადგენლობაში ვერ მოხვდებოდა, ამიტომ ის კუნდმა ფანჯრის დახურვამდე „ნანსიში" გაყიდა. „მარსელმა" ქვედა ლიგის „არლში" გაანათხოვრა განელი ფორვარდი **ანდრე აიევი.**

სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს მოილაპარაკეს „ლიონმა" და „იუვენტუსმაც" და იტალიის ნაკრების მარცხენა მცველი **ფაბიო გროსო** კარიერას ტურინში გააგრძელებს. „პორტუდან" **ალი სისოხოს** მისვლის შემდეგ გროსომ „ლიონის" სასტარტო შემადგენლობაში დაკარგა ადგილი. „იუვენტუსის" ინტერესზე კარგა ხანია ცნობილი იყო. ფრანგები გროსოს სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს ითხოვდნენ, ხოლო იტალიელები მხოლოდ 2-ზე იყვნენ თანახმა. როგორც ჩანს, კლუბები საშუალედო თანხაზე შეთანხმდნენ. გროსოს მისვლის შემდეგ ახალგაზრდა **ლორენცო არიაუდო** „კალიარიში" გაანათხოვრეს.

ურუგვაელი ნახევარმცველი **ანრი ხიმენესი** მონტევიდეოს „რივერ პლეიტიდან" „ბოლონიაში" გადავიდა. „ნიუკასლმა" „რომაში" გაუშვა ფორვარდი **ფაბიო ძამბლერა.** „ტორინომ" „პარმას" ათხოვა მაკედონიელი **ბლერიმ ჯემალი.** „მილანმა" **კაკას** უმცროსი ძმა **დიგაო,** რომელიც ძმისგან განსხვავებით მცველია, „ლეჩეში" გაანათხოვრა. „სამპდორიამ" „ემპოლისგან" ფორვარდი **ნიკოლა პოცი** შეიძინა. ხოლო თავად „კალიარიში" **დანიელე დესენა** გაანათხოვრა. „ვესტ ჰემმა" „ფიორენტინას" უგანდური წარმოშობის გერმანელი ფორვარდი **სავიო ნსერეკო** მიჰყიდა. „ნაპოლიმ" ნახევარმცველი **მანუელე ბლაზი** „პალერმოს" ათხოვა.

„ფიორენტინამ" პორტუგალიელი მცველი **და კოშტა** „ვესტ ჰემს" მიჰყიდა. „ლივერპულმა" სათადარიგო მეკარე **იტანჯე** „კავალაში" გაანათხოვრა.

მადრიდის „რეალმა", ამ სატრანსფერო სეზონის ულაპარაკო გამარჯვებულმა, ბოლო დღესაც გააკეთა ერთი შენაძენი - „სელტასგან" 19 ფორვარდი **ხოსელუ** იყიდა და უმალვე... „სელტაში" გაუშვა იჯარით. „მალაგამ" ვეტერანი ბომბარდირი **სალვადორ ბალესტა** „ალბასეტეს" დაუთმო. „რასინგმა" „ნიუკასლისგან" იჯარის წესით ფორვარდი **სისკო** აიყვანა, „ბარსელონასგან" - გერმანელი მცველი **ენრიკე.** „ვალენსიამ" უსასყიდლოდ გაუშვა პორტუგალიურ „სპორტინგში" **მიგელ ანხელ ანგულო.**

ფანჯრის დახურვას ალარაფერი უკლდა, როცა „პორთსმუთმა" ურუგვაელი **დიეგო არისმენდი** 3 მილიონ ევროდ „ნასიონალისგან" შეიძინა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ შევამოწმეთ, შედგა თუ არა ხიზანიშვილის ტრანსფერი, კვლავ უშედეგოდ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფაბიო გროსო

ესპანეთი

ლა ლიგა. I ტური



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# იბრა და ბარსა თავებით იწყებენ

შვედმა თავდამსხმელმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** შეძლო „ბარსელონას" პირველივე ტურის მატჩში თავის გამოჩენა. კრიტიკის ქარცეცხლში მოყოლილმა იბრამ მეორე ტაიმში ახლო მანძილიდან თავით ვარდნაში გაიტანა „სპორტინგის" კარში გოლი. ხიხონელმა მცველებმა გოლიათი ფორვარდი უმეთვალყურეოდ დატოვეს და შვედმაც მათ ეს შეცდომა არ აპატია. სხვათა შორის, მანამდე იბრაჰიმოვიჩი არცთუ ხეირიანად ირჯებოდა და კრიტიკოსებს ახალ სალაპარაკოს უჩენდა.

კატალონიურმა კლუბმა ყველა კომპონენტში დაჯაბნა მოკრძალებული „სპორტინგი" და 3:0 გაიმარჯვა. პირველ ტაიმში თავი **ბოიან კრკიჩმა** და **სეიდუ კეიტამ** გამოიჩინეს, იბრაჰიმოვიჩმა კი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. სხვათა შორის, „ბარსას" სამივე გოლი თავურით გავიდა. პირველი გოლი კრკიჩმა კეიტას პასით გაიტანა, ორი საგოლე პასი კი **დანიელ ალვეშმა** მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ მატჩი ორშაბათისთვის ევროპის სუპერთასის გამო გადაიდო. პარასკევს „ბარსელონამ" დამატებით დროში დონეცკის „შახტარი" დაამარცხა. „სპორტინგთან" არ უთამაშიათ **ლიონელ მესისა** და **ტიერი ანრის,** აგრეთვე ტრავმირებულებს - **ანდრეს ინიესტასა** და **რაფაელ მარკესს.** განაცხადში არც უკრაინელი ახალწვეული **დმიტრო ჩიგრინსკი** გამოჩენილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბარსელონა-სპორტინგი 3:0**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - ალვეში, პუიოლი, პიკე (84. ფონტასი), მაქსველი (57. აბიდალი) - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა - პედრო, კრკიჩი (80. სუარესი), იბრაჰიმოვიჩი.

**სპორტინგი (4-3-2-1):** კოლინასი - სასტრე, ბოტია, გრეგორი, კანელა - კამაჩო (58. ბილიჩი), რივერა, მიჩელი - კუევასი (72. მალდონადო), ხიმენესი (77. ანხელი) - ბარალი.

**გოლები:** 1:0 კრკიჩი (18), 2:0 კეიტა (42), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (82)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 20-9 (9-5); **ბურთის ფლობა:** 79%-21%.

**მაყურებელი:** 75 000

კონტრაქტი

# ფულტერიერი

**ჯონ ტერიმ** „ჩელსისთან" ახალი 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფასიც 40 მილიონი ფუნტია. ხუთი წლის შემდეგ ლონდონელთა კაპიტანი 33 წლის იქნება, ანუ ამ ასაკამდე „მისტერ ჩელსი" კვირაში 160 ათასს მიიღებს. ახლა ამას ჩემპიონთა ლიგისა და პრემიერლიგის ბონუსებიც დაამატეთ და მიიღებთ, რომ მცველმა კონტრაქტით გათვალისწინებულ დროში შეიძლება დამატებით 10 მილიონსაც გამოჰკრას ხელი. რამდენადაც The news of the world-მა შეიტყო, „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** ტერის კარიერის დამთავრების შემდეგ კლუბში ერთ-ერთი მწვრთნელის თანამდებობაც აღუთქვა.

ასე და ამგვარად, ჯონ ტერი პრემიერლიგის ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელთა მარაქაში გაერია. ახლა მისი ჯამაგირი „მანჩესტერ სიტის" ბრაზილიელი თავდამსხმელის, **რობინიოს** ჯამაგირის ტოლია.

შეგახსენებთ, რომ ტერი დასავლეთ ლონდონელებთან ახალ კონტრაქტზე მას მერე აწარმოებს მოლაპარაკებას, რაც აწ უკვე გასული ზაფხულის დასაწყისში მისი შეძენის სურვილი „მანჩესტერ სიტიმ" გამოთქვა და არაბუნებრივად დიდ ხელფასებსაც ჰპირდებოდა. The news of the world-ისთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ თავის ახალ ხელშეკრულებაზე „ჩელსისა" და ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტანი ოფიციალურად პარასკევის პრესკონფერენციაზე განაცხადებს, სლოვენიასთან სანაკრებო ამხანაგური შეხვედრის წინა დღეს.

კულუარულად ცნობილი გახდა ისიც, რომ აბრამოვიჩი (ყოველ შემთხვევაში მისი ვერსიით) „მანჩესტერ სიტის" წინადადებით ცთუნებულ ტერის „ჩელსიდან" წასვლის საშუალებას არ აძლევდა და მთელი ზაფხულის განმავლობაში, თავის წილ, ნაბიჯ-ნაბიჯ უმატებდა ხელფასს. ძველი კონტრაქტის თანახმად ჯონ ტერის „სტემფორდ ბრიჯზე" კიდევ ორი წელიწადი უნდა დაეყო და ამ ხნის მანძილზე კვირაში 130 ათასი აელო - მართალია, 130 ათასი 160 ათასზე ნაკლებია, მაგრამ ჯამაგირად, ვფიქრობთ, არც ეს დაიწუნებოდა. თუმცა, ახლა, სხვა ვითარებაა: ახალი ხელშეკრულება კაპიტანს „ლურჯების" კამპანიაში გვარიან ვეტერანობამდე დატოვებს.

**ილია ბაბუნაშვილი**

მოსაზრება

# ადე, წინ დიდი კარიერაა!

„მანჩესტერ სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** ამბობს, რომ ტოგოელი თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** მის გუნდში გადასვლამ მოლუშული კაციდან ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავად აქცია - მოგეხსენებათ, პრემიერლიგის სამი მატჩიდან ადებაიორმა სამივეში გოლი შეაგდო. თავად „მანჩესტერ სიტიმაც" სამივე ხსენებული თამაში მოიგო და მომავალს დიდი იმედით შეჰყურებს.

და მაინც, რატომ იყო ისტლენდზე გადასვლამდე ადებაიორი მოლუშული კაცი? იმიტომ, რომ ის „არსენალში" თამაშობდა, სადაც თავს შინაურულად ვერ გრძნობდა. ტოგოელი ლონდონიდან მანჩესტერში ამ ზაფხულს 25 მილიონ ფუნტად გადავიდა. უფრო სწორედ, სიხარულით გაფრინდა.



ემანუელ ადებაიორი უკვე სხვა კაციაო...

*„ჩვენი გუნდის მაისურით მან კვლავ დიდებულად ითამაშა,* - ბრძანა უელსელმა მწვრთნელმა, რომელსაც, სხვათა შორის, 1994 წლის 16 ნოემბერს თბილისში გამართულ იმ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში აქვს ნათამაშები, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა უელსს 5:0 მოუგო, - *ხომ გახსოვთ, რამდენი რამ თქვეს ადეზე, როგორც ფეხბურთელსა და ადამიანზე? თან, რასაც ამბობდნენ მეტწილად უარყოფითი იყო, კაცს პირდაპირ ლანძღავდნენ, მაგრამ აი, ის ჩვენთან ჩამოვიდა და ყველა ღონეს ხმარობს, რათა ყოველმხრივ საპირისპირო დაამტკიცოს. გასახდელშიც აქტიურია, თანაგუნდელებს ამხნევებს. არ დაგიმალავთ და ბევრი ის თვისება, რომელსაც აბრალებდნენ, მე უბრალოდ ვერ შევამჩნიე. აქ, ისტლენდში ის სიამოვნებით აკეთებს თავის საქმეს და ფანებსაც ძალიან უყვართ. იქნებ, სწორედ ფანების სიყვარული აკლდა სანამ „სიტიში" გადმოვიდოდა?"*

საინტერესოა, რომ ადებაიორისთვის პრემიერლიგის ჩემპიონატის შემდეგი ტურის მატჩი, 12 სექტემბერს, ძალიან მნიშვნელოვანია: „მანჩესტერ სიტი" არც მეტი არც ნაკლები, მის ძველ გუნდს „არსენალს" მასპინძლობს. თავად ტოგოელმა ამ შეხვედრის შესახებ ასე თქვა: *„მოწინააღმდეგეს საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებული ვხვდები".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერი

# ჩაო, ძაკარდო!

## მსოფლიოს ჩემპიონი სამშობლოში დაბრუნდა

**კრისტიან ძაკარდომ** „ვოლფსბურგში" ვერაფერი გააწყო და როგორც მოსალოდნელი იყო, სამშობლოში დაბრუნდა. ძაკარდო „მგლებმა" თანამემამულე და თანაკლუბელ **ანდრეა ბარძალისთან** ერთად იყიდეს, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ძაკარდო გერმანიას ვერაფრით ვერ შეეწყო. იმ დროს, როცა ბარძალი „ვოლფსბურგის" დაცვის ბურჯი და ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა, ძაკარდო მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ხეხავდა და რამდენჯერაც ათამაშეს, იმდენჯერ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. კრისტიანი კარიერას „პარმაში" გააგრძელებს.

„მგლებმა" ძაკარდოში თავის დროზე 7 მილიონი ევრო გადაიხადეს. 28 წლის მცველმა „პარმასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „პარმას" ახლა **ფრანჩესკო გვიდოლინი** წვრთნის, რომელიც ძაკარდოს ძველი დამრიგებელია. „პალერმოში" მას სწორედ გვიდოლინი წვრთნიდა. შესაბამისად, ეს სპეციალისტი კრისტიანს ენდობა და ამ უკანასკნელსაც ზუსტად ეს სჭირდებოდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო | ინტერვიუ ბორის ფირცხელიანთან

# გორში, როგორც ოჯახში... მეტოქეებს თითქმის არ ვიცნობთ

**იზმირის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა, ბორის ფირცხელიანის შეგირდებმა გორის გურამ პაპიტაშვილის ძიუდოს დარბაზს მიაშურეს. აქ ჩვენი ნაკრები ერევანში 11-13 სექტემბერს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი შეკრების დასკვნით ეტაპს გაივლის. გთავაზობთ ინტერვიუს მთავარ მწვრთნელთან.**


ბორის ფირცხელიანი

**— მოსამზადებელი ეტაპი ტურნირებში მონაწილეობასაც მოიცავდა. როგორ შეაფასებდით შედეგებს?**

— პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მეტოქეებს, რომლებიც ერევანში იასპარეზებენ, მზადების პროცესში მინიმუმ ხუთ ტურნირში მაინც აქვთ მონაწილეობა მიღებული ძირითადი შემადგენლობით. ასე რომ, კონკურენტები კარგად მომზადებულები ხვდებიან ჩემპიონატს. კონტინენტის პირველობის შემდეგ, ორიოდ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატია. საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ორ, თანაც არცთუ მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. ეს ალბათ ისევ და ისევ ეკონომიკური კრიზისის ბრალია, თორემ ძიუდოს ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი ყურადღებას არ გვაკლებენ. მეტოქეები სათანადოდ არ გვყავს შესწავლილი, მათ თითქმის არ ვიცნობთ!

**— რომელია ის წონითი კატეგორიები, სადაც ჯერაც გასარკვევია ფავორიტთა ვინაობა?**

— 66 კილოში, რთული არჩევანის წინაშე ვდგავართ. ასევეა 73-შიც...

**— როგორც ვიცი, 55-ში ყველაფერი გარკვეულია.**

— აქ მართლაც გამოიკვეთა შმაგი ლაგაზაურის უპირატესობა. იგი საქართველოს ჩემპიონიც გახდა და იზმირის ტურნირის გამარჯვებულიც. ლაგაზაურს ძლიერი კონკურენცია გაუწია თათარაშვილმა.

**— 60 კილოგრამში ორი ძლიერი სპორტსმენი იბრძოდა პირველობისთვის, ორივე გორელი - მერებაშვილი და ტაბატაძე. მერებაშვილმა საქართველოს ჩემპიონატშიც იმარჯვა და იზმირის ტურნირშიც. ამან არ გააადვილა არჩევანი?**

— ორივე ძლიერი მოჭიდავეა და არ გვინდა, რომელიმეს შანსი დავუკარგოთ ერთს ევროპის, მეორეს კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვაჭიდავებთ. კარგი იქნებოდა, ასეთივე საშუალება გვქონოდა 55-შიც, თუმცა, სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატისგან განსხვავებით, მსოფლიოზე ეს წონითი კატეგორია არ არის. 60, 66 და 73 კატეგორიებში არ მინდა, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღო. შეკრების პროცესში ჩატარდება საკონტროლო შეხვედრები და მწვრთნელთა საბჭო დაასახელებს საუკეთესოებს.

**— დანარჩენ წონებში როგორ არის საქმე?**

— 81 და 90 კილოში ჭრიკიშვილი და შინჯიკაშვილი გამოიკვეთნენ, რომელთაც გვარიან კონკურენციას კი უწევდნენ, შესაბამისად, სარაჯიშვილი და ცინცაძე, მაგრამ გარდა იმისა, რომ ქვეყნის ჩემპიონები სწორედ ჭრიკიშვილი და შინჯიკაშვილი გახდნენ, მათ თურქეთშიც ოქროს მედლები მოიპოვეს, ხოლო უშუალო კონკურენტები მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

**— 100 კილოში მოასპარეზე ორივე ფალავანიც იზმირში ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.**

— საქართველოს ჩემპიონი ამ წონაში მიხეილ ნარიმანიძეა, ბერუაშვილი კი მესამე იყო. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ქვეყნის ჩემპიონს და, საერთოდაც, უნდა ვისწავლოთ ჩვენი საკუთარი ჩემპიონატის პატივისცემა.

**— და მძიმე წონა, სადაც ასაკით უმცროსი უშანგი კოკაური თითქმის მთელი სეზონია, ერთპიროვნულ ფავორიტად მიიჩნევა.**

— კოკაური 17 წლისაა და, არათუ ჭაბუკთა, ახალგაზრდული ნაკრების ფავორიტადაც იქცა. თუ ამ ბიჭის ნიჭსა და შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, მალე საქართველოში გამორჩეული ძიუდოისტი შეიძლება გახდეს! მას ჯერ კიდევ ემატება სიმაღლეც და წონაც, ახლა მნიშვნელოვანია, განუვითარდეს სისწრაფეც. საერთოდ, ასეთ ტალანტები და მით უფრო მძიმეწონოსნები, განსხვავებული ხასიათითაც გამოირჩევიან და მათთან მუშაობისას ინდივიდიალური მიდგომაა საჭირო.

**— ამას წინათ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი ქვეყნის ზოგიერთი რეგიონიდან შევსების გარკვეულ წყვეტას უჩიოდა. თქვენს გუნდში რა ვითარებაა?**

— ბუნებრივია, რეგიონებიდან შევსება უმნიშვნელოვანესია. ბოლო წლებში გორს ჰქონდა ჩავარდნა, მაგრამ ახლა რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. ახალგაზრდული ნაკრები უკვე ოთხი წელიწადია, ნაყოფიერ შეკრებას ატარებს გორში. თავიდან ეს ფინანსურმა პრობლემამ განაპირობა. მაშინ შეკრებისთვის გამოყოფილი თანხით მხოლოდ 12 ფალავნის წაყვანა შეგვეძლო ბორჯომში, ანუ, ფაქტობრივად, პირველ-მეორე ნომრებსაც ვერ ვიახლებდით სრულად. გია თენაძისგან, რომელიც იმ დროს ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსი იყო, სრული მხარდაჭერა მივიღე და გორში იმავე თანხით 28 ძიუდოისტი - მთელი გუნდი შევკრიბე, თან ნაკრების წევრთა დატვირთვაში 60-70 ადგილობრივი ძიუდოისტი ჩაერთო. ყველას სასიკეთოდ წაადგა ერთობლივი ვარჯიში. ამის შედეგია, რომ თუ ოთხი წლის წინათ ერთი გორელი ძიუდოისტიც არ იყო ნაკრებში, ახლა ლამის ნახევარი გუნდი გორელია. აღნიშვნის ღირსია ოჯახურ ატმოსფეროც, რაც შეკრების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

## მოთელვა აბუ-დაბიში

ჩინეთის ქალაქ ნინბოში დღეს საზეიმოდ გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი 10 უძლიერესი ნაკრების მონაწილეობით. შეგახსენებთ, რომ მედლებისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ჩინეთი-1 (საშუალო რეიტინგი 2490), საქართველო (2474), რუსეთი (2471), უკრაინა (2444), ინდოეთი (2390), პოლონეთი (2378), სომხეთი (2372), აშშ (2372), ჩინეთი-2 (2356), ვიეტნამი (2177).

საქართველოს ნაკრების წევრთაგან **ნანა ძაგნიძემ, მაია ლომინეიშვილმა** და **სოფიკო ხუხაშვილმა** ურეკის საწვრთნელ შეკრებაზე მიღებული თეორიული ცოდნა საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირებში გამოსცადეს, **ლელა ჯავახიშვილმა** მცირეწლოვანი შვილის გამო შეჯიბრებებზე გამგზავრება ვერ შეძლო, ხოლო გუნდის უპირობო ლიდერმა, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** ნაკრების კაპიტან **ნინო გურიელთან** და გუნდის მწვრთნელ **ზურაბ სტურუასთან** ერთად მოთელვა აბუ-დაბიში გაიარა, სადაც სწრაფი ჭადრაკის მოყვარულთა ტურნირში 15-მა მანდილოსანმა მოიყარა თავი. მათ შორის 6 დიდოსტატი გახლდათ. ჩიბურდანიძე ნინო გურიელსა და **ნინო ხურციძეს** დაუზავდა, ხოლო ხუთ მეტოქეს (**საბინა ჰადი აბდული, მონა ხალედი, მარია მანაკოვა, იულია რუჯანოვა, ალ ნაჯარ ჰუდა**) სძლია და 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 5,5-5,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გურიელმა და ხურციძემ გაინაწილეს.

2009 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი საქართველოს ნაკრები მთელი შემადგენლობით უკვე ჩინეთშია. დღეს ჩვენები ტურნირის საზეიმო გახსნას და წილისყრას დაესწრებიან, ხვალიდან კი საათებს ჩართავენ.

აბუ-დაბუშივე გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის საქართველოდან - აკაკი შალამბერიძე და პარმენ გელაზონია. უკვე გათამაშდა სამი ტური. შალამბერიძემ სამივე შეხვედრა მოიგო და 14 მოჭადრაკესთან ერთად უდანაკარგოდ მეწინავეობს. გელაზონიამ 2,5 ქულა მოაგროვა. შეჯიბრების დამთავრებამდე 6 ტური დარჩა.

## ფიდეს სასექტემბრო რეიტინგი


ნანა ძაგნიძე

არსებობის ისტორიაში პირველად **ფიდე** უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგებს ორ თვეში ერთხელ დაითვლის. გუშინ ცნობილი გახდა ტოპმოჭადრაკეთა პირველი ასეულის სია. ვაჟებში აქ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვყავს — **ბაადურ ჯობავა**, რომელსაც 2696 პუნქტით 35-ე ადგილი უკავია. პირველი ათეული კი ასეთია: **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი, 2813), **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი, 2788), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2773), **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია, 2772), **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2772), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი, 2762), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი, 2757), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2756), **ბორის გელფანდი** (ისრაელი, 2756) და **ალექსანდრ მოროზევიჩი** (რუსეთი, 2750).

ქალებში უკეთ გვაქვს საქმე. პირველ ასეულში 10 ქართველი დიდოსტატია: 7. **ნანა ძაგნიძე** (2535), 12. **მაია ჩიბურდანიძე** (2506), 27. **ლელა ჯავახიშვილი** (2472), 37. **სოფიკო ხუხაშვილი** (2451), 48. **ბელა ხოტენაშვილი** (2438), 53. **სალომე მელია** (2432), 59. **ნინო ხურციძე** (2420), 71. **ანა მათნაძე** (2391), 87. **მაკა ფურცელაძე** (2380) და 88. **მაია ლომინეიშვილი** (2378). სიაში კიდევ სამი ჩვენებურია, რომლებიც სხვა ქვეყნების სპორტულ ღირსებას იცავენ: 15. **ქეთევან არახამია-გრანტი** (შოტლანდია, 2499), 74. **რუსუდან გოლეთიანი** (აშშ, 2391) და 100. **თეა ლანჩავა** (ჰოლანდია, 2360).

ტოპასეულში 2687 პუნქტით უნგრელი **იუდით პოლგარი** მეწინავეობს. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2595), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2585), **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2542), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2536), **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2535), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2535), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2533), **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2527), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2519).

ოცი წლის გოგონათა და ვაჟთა ოცეულებში ჩვენებურთაგან მხოლოდ **სოფიკო გურამიშვილია** (XIX ადგილი, 2339). საუკეთესო ქვეყნებს შორის საქართველოს მე-15 ადგილი უკავია.

მომდევნო რეიტინგი პირველი ნოემბრისთვის გამოქვეყნდება.

## დღე პირველი

გუშინ იტალიის ქალაქ ფერმოში სტარტი აიღო 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობამ გოგონათა და ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში საქართველოს 18 წარმომადგენელი მონაწილეობს. გაცნობებთ ჩვენებურთა პირველი ტურის შედეგებს:

10-წლიანები: **ანჯელა სარჯანოვიჩი** (სერბეთი)-**ნინო დახუნდარიძე** 0:1, **ფრანჩესკო რამბალდი** (საფრანგეთი)-**ალექსანდრე ურდულაშვილი** 1:0.

12-წლიანები: **ადა ქაქუთია-კაპტივა მილსი** (შოტლანდია) 1:0, **ელენე პეტროსინო** (იტალია)-**ნინო ხომერიკი** 0:1, **ევგენი ზანანი** (რუსეთი)-**გიორგი სიბაშვილი** 1:0, **კრისტიან ჰოლმი** (ნორვეგია)-**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0:1.

14-წლიანები: **ნატო იმნაძე-სარა გუერინი** (იტალია) 1:0, **ლიკა კობეშავიძე-ამელია ჰოარი** (ინგლისი) 1:0; **ალექსანდრუ ჩირუ** (რუმინეთი)-**ირაკლი ბერაძე** 0,5:0,5.

16-წლიანები: **მერი არაბიძე-ავითალ ჰაითოვიჩი** (ისრაელი) 1:0, **მარიამ დანელია-რაიან ჰიუზი** (შოტლანდია) 1:0, **ზურაბ ჯავახაძე-მილოშ პეცურიცა** (ჩერნოგორია) 1:0, **გიორგი ცირეკიძე-ზაურ მამადოვი** (აზერბაიჯანი) 0:1, **ნოდარ ლორთქიფანიძე-ალდო ბალზანო** (იტალია) 1:0.

18-წლიანები: **ქეთი წანალაშვილი-ვერენა ზიერი** (ლიხტენშტეინი) 1:0, **რასმუს იანსი** (შვედეთი)-**დავით ბენიძე** 0:1, **ლუკა პაიჭაძე-ალექსანდრუ ნითელა** (რუმინეთი) 1:0. **ნაზი პაიკიძე** ბოლო მომენტში გადაწყვიტა 18-წლიანებში ეთამაშა, სადაც მონაწილეთა კენტი რაოდენობა მოგროვდა, ამიტომ გუშინ მას წილისყრით მეტოქე არ შეხვდა და გამარჯვება ჩაეთვალა.

## ელადას ორნი შემორჩნენ

საბერძნეთში გრძელდება საჭადრაკო ფესტივალი. ამჟამად მიმდინარე ტურნირში მხოლოდ ორი ქართველი ჩაება. ლევან აროშიძემ და ნიკოლოზ შავთვალაძემ ორ-ორი პარტია მოიგეს - შესაბამისად, კონსტანტინოს იატრაპულოსი, დიმიტრა ვატკალი და დიონისიოს ზაპანტესი, პანაგიოტის ზეპოსი დაამარცხეს.

**ვაჟა დანელია**

აგვისტო

### თვის ფაქტები და მოვლენები

**1. ფეხბურთი:** 18 წლის **ლევან ყენიამ** „შალკეს" ოფიციალურ მატჩებში პირველი გოლი გაიტანა.

**1-2. ფეხბურთი:** დაიწყო საქართველოს 21-ე ეროვნული ჩემპიონატი.

**1-2. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ ორი ამხანაგური მატჩი წააგო ჰოლანდიის ნაკრებთან.

**2. ცურვა:** რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე **გიორგი მთვრალაშვილმა** სინგაპურის ახალგაზრდული ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

**4. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ანკარაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში **არჩილ თურმანიძემ** (60 კგ.) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**6. ფეხბურთი:** ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამომ" 2:5 წააგო „ცრვენა ზვეზდასთან" საპასუხო მატჩში და ევროსარბიელს დაემშვიდობა.

**7-9. ძიუდო:** ბუდაპეშტში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე **როსტომ ხახალეიშვილმა** (მძიმე წონა) ვერცხლი მოიპოვა, ხოლო **ბექა ტულუშმა** (60) - ბრინჯაო.

**8-9. თავისუფალი ჭიდაობა:** ანკარაში ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე **გიორგი საკანდელიძემ** (120) ვერცხლი მოიპოვა, **დავით მარსაგიშვილმა** (84) - ბრინჯაო.

**12. ფეხბურთი:** ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა მალტასთან 0:2 წააგო.

**15. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე **დიმიტრი ჯავახიშვილმა** (120) იმარჯვა.

**15. კალათბურთი:** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველომ ლუქსემბურგს 115:73 მოუგო.

**17. კალათბურთი:** ვიქტორ სანიკიძემ ბოლონიის „ვირტუსთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**19. კალათბურთი:** საქართველო - ირლანდია 98:73.



**22. კალათბურთი:** საქართველო - სლოვაკეთი 91:50.

**26. კალათბურთი:** საქართველო - შვედეთი 82:72.

**27. ძიუდო:** გარდაიცვალა ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ჩოჩიშვილი**.

**26-30. ძიუდო:** ქართველებმა მსოფლიოს ჩემპიონატი უმედლოდ ჩაამთავრეს.

**30. ჩოგბურთი:** **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** სოჭში პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგო კარიერაში.

**31. ჭადრაკი:** იტალიის ქალაქ ფერმოში დაიწყო 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

ლეგიონერი

# გიორგი ცინცაძე — ჯერ ბელარუსი, მერე საბერძნეთი



გიორგი ცინცაძე

გასულ სეზონში **გიორგი ცინცაძესა** და **ვიქტორ სანიკიძეზე** ყოველთვის ერთად ვწერდით. ისინი ხომ „ტარტუ როკის" ღირსებას იცავდნენ. მართალია, „ბუს" და ვიქტორის გზები გაიყო, მაგრამ მათზე დღესაც ერთ გვერდზე გვიწევს წერა. საქმე ისაა, რომ იტალიურ და ბერძნულ პრესაში მათ შესახებ ინფორმაციები ერთსა და იმავე დროს გამოქვეყნდა. სანიკიძეზე აქვე "მეზობელ" სტატიაში წაიკითხავთ, აქ კი ცინცაძის მოსაზრებებს გავეცნოთ, რომელიც მან ახალი კლუბის, „ტრიკალას" ჟურნალისტს გაანდო.

გიორგიმ ჯერ საბერძნეთში გადასვლის მიზეზებზე ილაპარაკა:

- „ტრიკალას" მთავარ მწვრთნელ ანგელოუ ვანგელისს კარგად ვიცნობ. მასთან ერთად მოსკოვის „დინამოში" ვმუშაობდი. როცა ბატონმა ანგელოუმ დამირეკა და „ტრიკალაში" თამაში შემომთავაზა, უარი არ მითქვამს, რადგან საბერძნეთის ჩემპიონატში ძალების მოსინჯვა საინტერესოა. ბერძნების ლიგა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და სკაუტების მხრიდან დიდი ყურადღებაც ექცევა. ვფიქრობ, შემიძლია, გუნდს სათანადოდ დავეხმარო და კარგი სეზონი ჩავატარო.

ცინცაძემ ყოფილ კლუბზე, „ტარტუ როკზე" კმაყოფილებით ისაუბრა. მისი თქმით, ესტონეთში სამი წელი მომავალი კარიერისთვის სასარგებლო იყო:

- ესტონეთის ჩემპიონატში სამი წელი ვითამაშე. მგონი, საკმარისია. „ტარტუ როკის" სასტარტო შემადგენლობის წევრი ვიყავი და უამრავი მატჩის ჩატარება მიწევდა – ესტონეთის ჩემპიონატში, ბალტიის ლიგასა და ევროტურნირებზე. ახალგაზრდა ვარ და მინდა, შესაძლებლობები უკეთეს ლიგაში გამოვავლინო. ამისთვის საბერძნეთის ჩემპიონატი კარგი ვარიანტია.

როგორც ჩანს, გიორგიმ „ტრიკალასთან" კონტრაქტის გაფორმების წინ ერთგვარი კონსულტაცია „პანათინაიკოსის" ქართველ ცენტრ **გიორგი შერმადინთან** გაიარა, რომელიც ეროვნულ ნაკრებში მისი პარტნიორია.

- შერმადინმა საბერძნეთისა და მისი ჩემპიონატის შესახებ ბევრი რამ მიამბო, თუმცა მანამდე მეც მქონდა შეხება ბერძნულ კლუბებთან („ტარტუ როკმა" ევროჩელენჯზე პაოკ სტუმრად დაამარცხა) და გარკვეული წარმოდგენა უკვე მქონდა. ისიც ვიცი, რომ შერმადინმა „პანათინაიკოსის" მაისურა პირველად სწორედ „ტრიკალასთან" მატჩში მოირგო.

გიორგი ცინცაძე მომავალ კლუბში საკუთარ როლზეც საუბრობს:

- გუნდის მთავარ მწვრთნელს უკვე ვესაუბრე და ამიხსნა, რომ გუნდს ვჭირდები. მეც მზად ვარ, ბოლომდე დავიხარჯო. პირველ რიგში, ჩემი ამოცანა გუნდთან შეთამაშებაა, რადგან გამთამაშებლისთვის აუცილებელია, თითოეულ თანაგუნდელს ბოლომდე უგებდეს. ვიმედოვნებ, აკლიმატიზაციასთან დაკავშირებით პრობლემები არ შემექმნება.

ცინცაძე „ტრიკალას" საქართველოს ნაკრების მატჩების შემდეგ შეუერთდება.

- საქართველოს ეროვნულმა გუნდმა გადამწყვეტი მატჩი შვედეთთან დამაჯერებლად ჩაატარა. გამარჯვება გვჭირდებოდა და მეტოქე 10 ქულის სხვაობით დავამარცხეთ. წარმატებაში დიდი როლი ითამაშა ტრიბუნაზე შეკრებილმა უამრავმა გულშემატკივარმა. ახლა ბელარუსთან მატჩებისთვის აქტიურად ვემზადებით. დიდი ბრძოლა გველის.

ვაჟა სიმონიშვილი

## სანაკრებო საათი შეიცვალა

გუშინწინ ფიბაევროპის ოფიციალურ საიტზე პლეი ოფის მატჩების ერთი და იგივე დრო იყო მითითებული – 20:30 საათი. მოცემული იყო ლოკალური დრო. ამ საიტზე დაყრდნობით გუშინდელ ნომერში დავწერეთ, რომ თბილისში 9 სექტემბერს 20:30 საათზე ვთამაშობდით, ბელარუსში – თბილისის დროით 21:30 საათზე.

ქართველთა და ბელარუსთა ურთიერთშეთანხმებით მატჩების გამართვის დრო შეიცვალა. გადაწყდა, რომ შაბათს, 5 სექტემბერს მოგილიოვში თბილისის დროით 19:30 საათზე ვითამაშებთ, ხოლო 9 სექტემბერს, საქართველოში – 19 საათზე.

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი მოლაპარაკებას აწარმოებს ბელარუსულ ტელევიზიასთან. იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველოს ნაკრების უმნიშვნელოვანეს მატჩს ტელეეკრანებზე ვიხილავთ.

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი

ტრანსფერი

## ირაკლი მაჩხანელი სენტ ეტიენში

საქართველოს ნაკრების გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „აჟენი" დატოვა. მან ახლახან ხელშეკრულება ფედერალ 1 დივიზიონის „სენტ ეტიენთან" გააფორმა.

ამავე გუნდში ითამაშებს პირველხაზელი **შოთა მელიქიძეც**, რომელიც გასულ სეზონში ფედერალ 1-ის „კაორში" ირჯებოდა. მესამეხაზელი **შოთა საყვარელიძე** კი „სენტ ეტიენში" მეოთხე სეზონს ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ „სენტ ეტიენი" ფედერალ 1 დივიზიონის C ჯგუფში იასპარეზებს. ჩვენებურთა ამ გუნდს მეტოქეობას **ლაშა მალალურაძის** „ბეზიე" და **დავით კაჭარავას** „ნიცა" გაუწევენ.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს A ნაკრები

## 6 ნოემბერს პოლონეთთან

გადაწყდა, რომ საქართველოს რაგბის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების პროგრამით, საქართველოს A ნაკრები 6 ნოემბერს პოლონეთის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს. ერთი კვირის თავზე კი უკრაინის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ეს ორივე ნაკრები, ერთა თასის გათამაშების მე-2 დივიზიონის ლიდერია. სწორედ ამ გუნდებიდან ერთ-ერთი, პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, 2011 წლიდან ერთა თასის გათამაშების პირველ დივიზიონში აინაცვლებს და მეტოქეობას საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გაუწევს.

შეგახსენებთ, რომ იმავე პერიოდში, 14 ნოემბერს ბორჯღალოსნები თბილისში არგენტინის A ნაკრებს დაუპირისპირდებიან. 20 ნოემბერს კი იტალიის ქალაქ პრატოში გამართავენ ამხანაგურ შეხვედრას ამავე ქვეყნის A ნაკრებთან.

ბესიკ ჯანგავაძე

ქართული გვარი იტალიურ პრესაში

# სანიკიძე: სატრანსფერო ბაზრის სიურპრიზი?

იტალიაში სატრანსფერო ბაზარი ჯერ არ დახურულა, თუმცა გუნდების უმეტესობა დაკომპლექტებულია და ისინი საკონტროლო მატჩებსაც მართავენ. **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსიც" ბოლომდე შეივსო და ნომრებიც განაწილდა. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა იტალიაშიც 13-ნომრიანი მაისურა აირჩია.

ინტერნეტგამოცემა „ბასკეტნეტი" „ვირტუსის" დღევანდელ შემადგენლობაზე საუბრისას გასულ წლებს იხსენებს: 1997-98 წლებში ბოლონიურ კლუბში **რაშო ნესტეროვიჩმა** გაიბრწყინა, 2000-01 წლებში - **ანდერსენმა** და **სმოდიშმა**. გუნდის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, მომავალ სეზონში „ვირტუსში" ახალი ვარსკვლავი გამოანათებს. ეს შეიძლება ვიქტორ სანიკიძე იყოს...

მართალია, გუნდის უფროსობას ვიქტორის იმედი აქვს, მაგრამ ზოგიერთი წყაროს ცნობით სანიკიძე სათადარიგო კალათბურთელად შეიძინეს. ამ მოსაზრებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გაზეთი „კორიერე დელო სპორტი", რომელშიც ვიქტორზე გამოქვეყნებულ სტატიას ასეთი სათაური აქვს: „სანიკიძე ვითომ სათადარიგოა?" წერილში ვკითხულობთ:

„ბოლონიის „ვირტუსი" თითქმის მთლიანად შეიკრიბა. გუნდში არ ვარჯიშობს ქართველი ლეგიონერი ვიქტორ სანიკიძე, რომელიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშობს. ბოლო მატჩში საქართველოს ნაკრებმა 10 ათასი ქომაგის წინაშე შვედეთი დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. სანიკიძემ 37 წუთში 17 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა.

შეიძლება, მანამდე ლუქსემბურგთან და ირლანდიასთან შესრულებული ორმაგი დუბლისთვის ყურადღება არ მიგვექცია, რადგან მეტოქეები შედარებით სუსტები იყვნენ, მაგრამ შვედეთი ხომ ხელწამოსაკრავი ძალა არ არის?! ჯგუფურ ეტაპზე გამართულ 8 მატჩში სანიკიძე საშუალოდ 18.6 ქულასა და 11.1 მოხსნას აგროვებს. პლეი ოფში საქართველოს ნაკრები ბელარუსს ხვდება. ორმატჩიანი სერია 9 სექტემბერს დასრულდება და სანიკიძეც იტალიაში ამის შემდეგ ჩამოვა. აქედან ერთ კვირაში იგი ახალ გუნდთან ერთად „კასტელფიორენტინოს" ტურნირში ითამაშებს.

...რა როლი დაეკისრება სანიკიძეს „ვირტუსში"? მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე ბოლონიელთა შემადგენლობაში ამერიკელი დევიდ მოსი ითამაშებს. სასტარტო ფორვარდად სწორედ ის მოიაზრებოდა, თუმცა საქართველოს ნაკრებში დამაჯერებელი თამაშის შემდეგ საკითხავია, მწვრთნელი ლარდო ლინო დასვამს სანიკიძეს სათადარიგოთა სკამზე? თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვიქტორი 23 წლისაა, სწრაფად მზარდი კალათბურთელია. იგი 2004 წელს დრაფტზე „ატლანტამ" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს სანიკიძის პერსპექტიულობაზე.

ამერიკელი ლეროი ჰარდი 202 სმ სიმაღლისაა, დევიდ მოსი 196 სმ-ია, ხოლო ვიქტორ სანიკიძე – 203. მათგან დღეს ძნელია სასტარტო ხუთეულის წევრების ამორჩევა, თუმცა ვიქტორ სანიკიძეს ერთი პლუსი აქვს – იგი კარგი მომხსნელია. „ვირტუსში" სწორედ ფარზე მოთამაშეთა პრობლემაა. არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგჯერ მწვრთნელმა ნომინალური ცენტრის გარეშე ითამაშოს და წინა ხაზში სანიკიძისა და ლეროის იმედად იყოს. თუმცა დღეს კონკრეტული საუბარი ძნელია, რადგან ვიქტორ სანიკიძე იტალიაში ახალბედაა. იგი სერია A-ში პირველ სეზონს ატარებს და არ არის გამორიცხული, გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. დაველოდოთ იტალიაში მის ჩამოსვლას.

...თუ სანიკიძე „ვირტუსშიც" იმავეს გაიმეორებს, რასაც საქართველოს ნაკრებში აკეთებს, მაშინ სატრანსფერო ბაზრის დიდ სიურპრიზად იქცევა."

„ვირტუსის" მეფარეებზე მთავარმა მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** გამოცემა „ბასკეტნეტში" ისაუბრა: „ვფიქრობ, იტალიის საუკეთესო კლუბებს წინა ხაზში არაფრით ჩამოვრჩებით. გვყავს ახალგაზრდა მიშელ მაგიოლი, რომელიც 212 სმ სიმაღლისაა. 208 სმ-ია ესპანელი დიეგო ფახარდო. გარდა ამისა, ფარქვეშ თამაში შეუძლიათ ლეროი ჰარდსა და ვიქტორ სანიკიძეს. ეს უკანასკნელი ამჟამად საქართველოშია და ნაკრების მატჩებში კარგ თამაშს უჩვენებს."



ვიქტორ სანიკიძე

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

## დაუმარცხებლად ლიდერობს

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატში კვლავ დაუმარცხებლად ასპარეზობს გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, **რატი ურუშაძისა** და **დიმა პავლოვის** კრასნოიარსკის „ენისეი". მეშვიდე ტურის შეხვედრაში კრასნოიარსკელებმა **ზაზა ჩირგაძისა** და **ზაზა შვანგირაძის** „პენზას" უმასპინძლეს და იოლად სძლიეს - 47:9.

კიდევ ერთმა კრასნოიარსკულმა კლუბმა, **თემურ სოხაძის** „კრასნი იარმა" სტუმრად ითამაშა **ბექა ყურაშვილის**, **გრიგოლ და ვალერი ცნობილაძეების** ნოვოკუზნეცკის „სმენასთან" და 30:7 მოიგო. სოხაძემ გუნდს 12 ქულა მოუტანა. მან სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა.

მორიგ ტურში გათამაშების ლიდერი „ენისეი" სტუმრად ითამაშებს უახლოეს მდევართან, მონინოს ვვა-სთან. შეგახსენებთ, რომ რეგულარული გათამაშება 21 სექტემბერს დასრულდება და მერე გუნდები ჩემპიონის ტიტულისთვის პლეი ოფში იბრძოლებენ.

**რუსეთი. უმაღლესი ლიგა. VII ტური: ენისეი – პენზა 47:9, სმენა – კრასნი იარი 7:30**

**სატურნირო მდგომარეობა: 1.ენისეი – 14 ქულა, 2. ვვა – 10, 3. კრასნი იარი – 8, 4. სლავა – 4, 5. პენზა – 2, 6. სმენა – 2.**

ბესიკ ჯანგავაძე

პლაჟბურთი

მსოფლიო რეიტინგი

## გეორ-გია და საქა-რთველო



საქა-რთველო

ჰააგაში დასრულებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართულმა წყვილებმა **გეორ-გიამ** და **საქა-რთველომ** ისევ თანაბარი, ოღონდ ამჯერად უფრო მეტი, 240-240 სარეიტინგო ქულა მიიღეს.

ქულათა ეს რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა საქა-რთველოსთვის, რათა მსოფლიო რეიტინგში დაწინაურებულიყო. ჩვენს ქალებს ახლა 2 340 ქულა აქვთ და მე-16 ადგილზე არიან. სათავეში კი **ბრაზილიური დუეტი ლარისა–ჯილიანა** მოექცა 7160 ქულით. საუკეთესო ათეულისგან საქა-რთველოს ახლა 680 ქულა აშორებს - მე-10 ადგილზე მყოფ ბრაზილიურ დუეტ **კაროლინა-მარია კლარას** 3020 ქულა დაუგროვდა..

2280 ქულა აქვს გეორ-გიას. ოღონდ, ჩვენი ქალებისგან განსხვავებით, გეორგიამ ერთი საფეხურით წაიწია და ახლა მე-15 ადგილზეა. სათავეში ვაჟთა რეიტინგს ისევ გერმანელები უდგანან. **იულიუს ბრინკს** და **იონას რეკერმანს** 6140 ქულა აქვთ. საუკეთესო ათეულს ჩვენს ფრენბურთელებს 680 ქულა აშორებთ.

საქა-რთველო მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, ხვალიდან ჩაერთვება. გეორ-გიას ერთი თვე დასვენება მოუწევს.

**მსოფლიო რეიტინგი: ვაჟები: 1. იულიუს ბრინკი - იონას რეკერმანი (გერ) - 6 140 ქულა, 2. ალისონ ჩერუტი - ჰარლი მარკესი (ბრ) - 5 760, 3. ადრიან გავირა - პაბლო ერერა (ესპ) – 4 680, 4. რიჩარდ შუილი – რეინდერ ნუმერდორი (ჰოლ) – 3 860, 5. ემანუელ რეგო - რიკარდო სანტოსი (ბრ) - 3 780, 6. დავიდ კლემპერერი - ერიკ კორენგი (გერ) - 3 700 ... 16. გეორ-გია (საქ) - 2 280.**

**ქალები: 1. ჯულიანა სილვა - ლარისა ფრანკა (ბრ) - 7 160, 2. მარია ანტონელი - ტალიტა ანტუნსი (ბრ) - 6 960 ქულა, 3. ჯენიფერ კესი - აპრილ როსი (აშშ) - 4 920, 4. სარა გოლერი - ლაურა ლუდვიგი (გერ) - 4 580, 5. დორის შვაიგერი - სტეფანი შვაიგერი (ავსტრია) - 3 880, 6. შელდა ბედე - ანა პაულა კონელი (ბრ) - 3 360... 16. საქა-რთველო (საქ) - 2 340.**

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო

# ნახევარი ნაბიჯი კომუსუბის ტიტულამდე


ტოჩინოშინი

გუშინ ტოკიოში ბანძუკე ანუ სექტემბრის სუმოს სუპერტურნირის ოფიციალური სია გამოქვეყნდა. წლის მეხუთე ბაშო იაპონიის დედაქალაქში 13-27 სექტემბერს გაიმართება და ელიტაში კვლავ ორი ქართველი ფალავანი იჭიდავებს. ახალმა რეიტინგმა 21 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რომელიც უმაღლესი დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა რიკიშია, არნახულად დააწინაურა - იგი რიგით მაეგაშირათა შორის უპირველესია, სუმოს ასოციაციამ ივლისის ბაშოზე წარმატებული ასპარეზობისთვის (9-6) ტოჩინოშინს აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირას რანგი მიანიჭა. აქამდე ლევანი დასავლეთის მე-5 მაეგაშირა იყო. აღსანიშნავია, რომ ასე მაღლა რეიტინგში ტოჩინოშინი არასოდეს ყოფილა, დასანანი კი ისაა, რომ მას სულ ცოტა, ნახევარი საფეხური დააკლდა კომუსუბის (სუმოში რანგით მე-4 ტიტული) ტიტულამდე. არა უშავს, ნებისმიერი დადებითი ბალანსი სექტემბრის ბაშოზე (თუნდაც 8-7) ლევანს კომუსუბის ტიტულს მოუპოვებს.

ლევან გორგაძე 13 ოქტომბერს შესრულდება 22 წლის, მისი სიმაღლეა 191 სმ, წონა - 154 კგ. ის ბაშოზე „კასუგანოს" სუმოს კლუბს წარადგენს. ქართველმა კარიერაში 133 ორთაბრძოლა მოიგო და 86 წააგო, უმაღლეს დივიზიონში მისი ბალანსი ჯერჯერობით უარყოფითია - 58-62. გორგაძე პროფესიულ სუმოში 2006 წლიდანაა, უმაღლეს დივიზიონში ის 2008 წლის მაისის ბაშოსთვის გადავიდა. ტოჩინოშინი ყველაზე ხშირად იორიკირის ილეთით იგებს ორთაბრძოლებს - 53%, ხშირია მის არსენალში უვატენაგეც - 12%.

კომუსუბის ტიტული ვახსენეთ და, ქართული სუმოს პიონერი **ლევან ცაგურია (კოკაი)** ამ ტიტულს ორი ბაშოს განმავლობაში ფლობდა (2006 წელს). მას შემდეგ კოკაის რეგრესი სახეზეა. ივლისში ლევანმა ცუდად იასპარეზა (5-10) და აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირობიდან ჩვენებური სუმოს ასოციაციამ აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირობამდე დააქვეითა. ლევანმა როგორმე უნდა შეძლოს სექტემბრის ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარიერაში პირველად გავარდება უმაღლესი დივიზიონიდან.

კოკაი 28 წლისაა, სიმაღლე 190 სმ-ია და 156 კილოგრამს იწონის. ქართველი „ოიტეკაზეს" კლუბს წარადგენს. მან კარიერაში 342 ორთაბრძოლა მოიგო და 305 წააგო, მდიდარია კოკაის გამოცდილებაც მხოლოდ უმაღლეს დონეზე - 245-265. კოკაიმ 2001 წელს შეაბიჯა პროფესიულ დოჰიოზე, ის 2004 წლის იანვრის ბაშოსთვის გადავიდა ელიტაში და უკვე მე-6 სეზონია, სულ ელიტაში ჭიდაობს, რაც დიდებული მიღწევაა ნებისმიერი სუმოისტისთვის. ორჯერ ლევან ცაგურია კომუსუბის ტიტულსაც ფლობდა.

პროფესიულ სუმოში კიდევ ერთი ქართველია - **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, რომელიც მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მე-10 ნომრად იჭიდავებს. უკვე თითქმის წელიწადია, გაგამარუ მეორე დივიზიონ ძურიოში გადასასვლელ ზონას უტრიალებს, მაგრამ ამაოდ.

სექტემბრის ბაშოზე კვლავ ორი დიდი ჩემპიონი (ანუ იოკოძუნა) იჭიდავებს, ორივე მონღოლია. იმპერატორის თასის ამჟამინდელი მფლობელი **ჰაკუჰო** (11 თასი) და **ასაშორიუ** (23 თასი). ჩემპიონი (ანუ ოძეკი) ხუთია. აღმოსავლეთში ბულგარელი **კოტოოშუ**, მონღოლი **ჰარუმაფუჯი** და **ჩიოტაიკაი**, დასავლეთში - **კოტომიცუკი** და **კაიო**. წინა ბაშო თითოეულმა მათგანმა დადებითი ბალანსით დაასრულა, ასე რომ, ტიტულის შენარჩუნებისთვის ჭიდაობა მათ არ მოუწევთ.

დასავლეთის სეკივაკემ (მე-3 ტიტული სუმოში) **კისენოსატომ** ნახევარი საფეხურით წაიწია და აღმოსავლეთის სეკივაკე გახდა. ამასთან, ის ოძეკის ტიტულის მოპოვების უპირველესი კანდიდატიცაა. სეკივაკეს ტიტულამდე ამაღლდა **კოტოშოგიკუ**. ივლისში ორმა რიგითმა მაეგაშირამ დიდებულად იჭიდავა და მათ კომუსუბის ტიტული მიიღეს, ესენია ესტონელი **ბარუტო** და **ამინიშიკი**. აი, ზემოთ ჩამოთვლილი 11 ვარსკვლავის შემდეგ მოდის ლევან გორგაძე. ანუ დასავლური ყაიდის რეიტინგით, ტოჩინოშინი მსოფლიოს მე-12 სუმოისტია.

სექტემბრის ბაშო, რომელსაც აკი ბაშო ეწოდება, სუმოს მექაში, ტოკიოს დარბაზ რიოგოკუ კოკუგიკანში ჩატარდება. ტურნირისადმი ინტერესი რომ დიდია, იქიდანაც ჩანს, რომ ორი კვირით ადრე ბაშოს პირველი და ბოლო დღეების ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. გთავაზობთ ელიტის სრულ ბანძუკეს:

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| აღმოსავლეთი – | | დასავლეთი |
| --- | --- | --- |
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| კოტოოშუ | ოძეკი | კოტომიცუკი |
| ჰარუმაფუჯი | ოძეკი | კაიო |
| ჩიოტაიკაი | ოძეკი | - |
| კისენოსატო | სეკივაკე | კოტოშოგიკუ |
| ბარუტო | კომუსუბი | ამინიშიკი |
| **ტოჩინოშინი** | მ 1 | მიაბიამა |
| შოტენრო | მ 2 | ამინიშიკი |
| ტამანოშიმა | მ 3 | კაკურიუ |
| ტოიონოშიმა | მ 4 | ტოკიტენკუ |
| გოეიდო | მ 5 | ტაკეკაძე |
| ასასეკირიუ | მ 6 | ჰომაშო |
| არანი | მ 7 | ტაკამისაკარი |
| ივაკიამა | მ 8 | შიმოტორი |
| მოკონამი | მ 9 | ტოიოჰიბიკი |
| ტოსაიუტაკა | მ 10 | ბუშუიამა |
| კაკიძოე | მ 11 | კასუგაო |
| ტოჩიოძანი | მ 12 | ტოჩინონადა |
| ტამაასუკა | მ 13 | ვაკანოსატო |
| **კოკაი** | მ 14 | ჰოკუტორიკი |
| იოშიკაძე | მ 15 | ფუტენო |
| მასაცუკასა | მ 16 | - |

ჩოგბურთი

# იაპონელმა ჩაკვეტაძე–ტატიშვილი ჩაშალა

გუშინ ამერიკის ღია პირველობის ძირითადი ბადის თამაშები დაიწყო, ტურნირისა, სადაც მოხვედრა **ანა ტატიშვილს** შეეძლო. „დიდი სლემის" ტურნირი ორ კვირას გაგრძელდება, ამიტომაც ახალი რეიტინგიც ორი კვირის შემდეგ გამოქვეყნდება. გუშინდელში კი მინიმალური ცვლილებებია - ანა ტატიშვილს საკვალიფიკაციო ბადეში გასვლისთვის კუთვნილი 50 ქულა ორი კვირის შემდეგ დაერიცხება (დაახლოებით 15 ადგილით წაიწევს), ასევე ორი კვირის შემდეგ მოიმკის სოჭში გამარჯვების შედეგს **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. აქვე დანანებით გეტყვით, რომ ანა ტატიშვილის ნაცვლად ძირითად ბადეში გასული იაპონელი **იურიკა სემა ანა ჩაკვეტაძეს** შეხვდა. ანას რომ მოეგო მეორე სეტში გადამწყვეტი ბრეიქ-პოინტი, ამერიკის ღია პირველობის ისტორიაში პირველად ეთნიკურ ქართველთა დაპირისპირების მომსწრენი გავხდებოდით. კენჭისყრის შედეგების გაგების შემდეგ ანას მარცხი ორმაგად დასანანი გახდა...

ქალები: 168 (-) ანა ტატიშვილი - 354 ქულა; 202 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 284; 237 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 218; 357 (-3) **სოფიო შაფათავა** - 116; 489 (-2) **ეკა გორგოძე** - 69; 498 (-4) **სოფიო ქვაცაბაია** - 68; 573 (-5) **მანანა შაფაქიძე** - 49; 797 (-3) **თათია მიქაძე** - 22. ამას წინათ მაკა ჩახნაშვილმა წყვილთა თანრიგში ტურნირი მოიგო, რის წყალობითაც წყვილებში მსოფლიოს 167-ე ჩოგანი გახდა. ვაჟები: 656 (-20) **ირაკლი ლაბაძე** - 44 ქულა; 686 (-3) ნიკოლოზ ბასილაშვილი - 38; 1072 (-7) **ლაზარე კუხალაშვილი** - 10; 1089 (-6) **ლადო ჩიხლაძე** - 9; 1701 (-13) **სოზარ გოქაძე** - 1; 1701 (-13) **გიორგი ცივაძე** - 1; 1744 (-13) **ნოდარ ითონიშვილი** - 1; 1744 (-13) **გიორგი რევაზიშვილი** - 1. ორი კვირის შემდეგ ირაკლი ლაბაძეს ჩერკასის ტურნირის 34 ქულა მოაკლდება და ის ათასეულს დაემშვიდობება, 17 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილი კა ავტომატურად გახდება საქართველოს პირველი ჩოგანი.

სლოვენიურ მარიბორში დაიწყო ქალთა 25-ათასიანი ტურნირი „ინფონდ ოუფენი", რომლის საკვალიფიკაციო ბადეში მე-5 ნომრად იყო განთესილი 17 წლის ეკა გორგოძე. ეკა პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ურეიტინგო სლოვაკ **მონიკა სირილოვასთან** დამარცხდა - 3:6, 6:3, 3:6. ამ ბოლო დროს გორგოძე ცუდად გამოდის, ბოლოს მან საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში ივნისის დასაწყისში მოიგო. მარიბორის ტურნირის ძირითად ბადეში განთესილთა შორის მაკა ჩახნაშვილი იქნება.

იტალიის დაბა ბასანო დელ გრაპაში მცირე საერთაშორისო ტურნირი იმართება (10 ათასი $), იქ მონაწილეობას მიიღებს ორი ქართველი, სოფიო შაფათავა პირველ ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში მასპინძელ **მარტინა დი ჯუზეპეს** (515) ეთამაშება, მანანა შაფაქიძის მოწინააღმდეგე კი უზბეკი **ალინა ბარონოვაა** (985). ჰოლანდიურ ალმერეში მონაწილეობს სოფიო ქვაცაბაია, მისი მეტოქის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. ჩვენს მოწინავე ჩოგბურთელებს, ანა ტატიშვილსა და ოქსანა კალაშნიკოვას ამ კვირაში უქმობა მოუწევთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დღეს საქართველო შოთა ჩოჩიშვილს გამოეთხოვება

*„მასზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა იმან, რომ მთებში გაიზარდა, — კაჟივით ყმაწვილი დადგა; ასევე იმან, რომ ბავშვობაში მისდევდა ქართულ ჭიდაობას; ალბათ, იმანაც, რომ საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე იყო და მათგან შეიძლებოდა მაგალითის აღება...*

*შოთა ჩოჩიშვილი საბჭოთა ძიუდოისტებს შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია. ამით ყველაფერია ნათქვამი".*

**ვლადლენ ანდრეევი**
მწვრთნელი

■ ■ ■

*„ვერ ვიტან იმპროვიზაციას... მიყვარს სისტემა... სწორედ ეს სისტემა, ორგანიზებულობა, მიზანსწრაფვა დავინახე ჩოჩიშვილში. ამ ყმაწვილს ორჯერ არაფრის თქმა არ სჭირდებოდა. გამოგიტყდები, მიყვარს ასეთი, რომ იტყვიან, დამჯერი ადამიანები! და ჩვენც დავიწყეთ მუშაობა!"*

**ვლადლენ ანდრეევი**

■ ■ ■

*როცა XX ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ჩოჩიშვილმა მძიმე ტრავმა მიილო კისერში და ისე დაეჭიმა მხრისქვეშა კუნთები, რომ ექიმებმა მისი გამოსვლა საეჭვო გახადეს, ანდრეევმა უთხრა: „იჭიდავებ კიდეც და ჩემპიონიც გახდები! ეს ტრავმა კარგი ნიშანია. 1962 წელს კიკნაძემაც მიილო ტრავმა და ორი კვირის შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდა. შენ კი ამ ოლიმპიადაზე უნდა გაიმარჯვო. ყურს ნუ უგდებ მწვრთნელების ლაპარაკს, ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობენ!"*

■ ■ ■

*მიუნხენის ტატამზე ჩოჩიშვილმა ყველაზე მეტი ორთაბრძოლა გამართა — შვიდი. ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვება მოიპოვა — 4. მან, 1-ლი დანის (ძიუდოისტური კლასიფიკაცია) მოჭიდავემ, ჩამოიტოვა სტარბრუკი (მე-4 დანი), ბერტი (მე-4 დანი), იაპონელი ბრაზილიიდან იშიუ (მე-5 დანი) და იაპონელი იაპონიიდან სასახარა (მე-6 დანი).*

■ ■ ■

*"ჩოჩიშვილის გამარჯვება არასოდეს მიეცემა დავიწყებას — იგი პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონია ძიუდოში, პირველი ევროპელი მოჭიდავე, რომელმაც მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი ნამდვილ ანუ ქვემძიმე წონაში. ძიუდო კი, საიდუმლოებით მოცული იაპონური ძიუდო, მაშინ ის-ის იყო ფეხს იდგამდა იაპონიის გარეთ, ასე რომ, ერთ-ერთი ჩვენი ყველაზე სენსაციური ოლიმპიელი შოთა ჩოჩიშვილია!"*

**იან დიმოვი,**
მწერალი



## 22+37 = შოთა ჩოჩიშვილის სიცოცხლეს

შოთა ჩოჩიშვილზე, როგორც შესანიშნავ სპორტსმენზე, საზოგადო მოღვაწესა და სასიქადულო მამულიშვილზე ბევრი დაწერილა. ეჭვი არ არის, მომავალშიც ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულ დროში. იგი არ მომკვდარა. ქართველებს, სხვებისგან განსხვავებით, ერთი ღრმა ფილოსოფიური სიტყვა „გარდაცვალება" გვაქვს. დიახ, იგი გარდაიცვალა, ერთი თვისებრიობიდან მეორეში, ანუ წუთისოფლიდან მარადიულობაში გადავიდა და, დარწმუნებულები ვართ, რომ იქ უფრო მაღალ კვარცხლბეკზე შედგება, ვიდრე აქ იდგა.

უახლოესი მეგობრები არ გავკადნიერდებით, რომ სამგლოვიარო წერილში მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა განვიხილოთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ცხოვრებაში ერთნი ნელ-ნელა სრულყოფენ პროფესიონალიზმს, ნელ-ნელა შედიან სიმწიფეში და ასე იპყრობენ საზოგადოების ყურადღებას. მეორენი კი თავიდანვე ავლენენ შესაძლებლობის მაქსიმუმს, შედარებით სწრაფად და ადვილად აღწევენ მიზანს, როგორც ამბობენ, დროს უსწრებენ. შოთა ჩოჩიშვილი სწორედ ასეთი პიროვნება იყო, რაზეც ნეკროლოგის სათაურში გამოტანილი ორი ციფრი მეტყველებს — 22 მოღვაწეობის პიკზე მიგვანიშნებს, ამ ასაკში გახდა იგი მსოფლიოში ცნობილი პიროვნება, როდესაც ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა. საბჭოთა კავშირიდან პირველმა მოიპოვა ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის უმაღლესი ტიტული. ვაგლახ, რომ ზუსტად 37 წლის შემდეგ, იმავე 1-ელ სექტემბერს ვაცილებთ ამქვეყნიდან.

ძნელია, გამონახო ის სიტყვები, ოდნავ მაინც რომ შეუმსუბუქებს ოჯახს, სამეგობროს და მისი ღვაწლის დამფასებელ საზოგადოებას ამ გოლიათი პიროვნების გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა ტკივილს. უდროოდ შეწყდა სულითა და ხორცით ჭეშმარიტი რაინდის სიცოცხლე. მისი საყვარელი ქართული მიწა დღეს სამუდამოდ მიიბარებს დიდ რაინდს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, ჩვენო საყვარელო ძმა და მეგობარო, ეს მრავალტანჯული მშობლიური მიწა.

მშვიდობით!

*მეგობრები: ვალერი სუხიშვილი, გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, ავთანდილ გიორგობიანი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი.*

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 59 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძიუდოში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საქართველოს ორგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, ბრწყინვალე პიროვნება

**შოთა ჩოჩიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დასავლეთი 2010: აუტსაიდერები

ვასრულებთ დასავლეთი კონფერენციის გუნდების წინასასეზონო მიმოხილვას. მესამე ნაწილი ეძღვნება აუტსაიდერებს, რომლებიც ორ ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ: ამბიციური აუტსაიდერები და ეკონომიკური კრიზისის მსხვერპლნი, რომელთა პლეი ოფში მოხვედრის შანსი, აპრიორი სასწაულს უდრის.

ამბიციური აუტსაიდერებისგან პირველი შთაბეჭდილება საკმაოდ პოზიტიურია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით ჩანს. თუ უფრო ჩაუღრმავდებით, უამრავ პრობლემას აღმოაჩენთ.

## გოლდენ სტეიტ უორიორზი

თუ ცალკეული მოთამაშეების ნიჭს განვიხილავთ, "უორიორზი" ასეთ სუსტ ჯგუფში არ უნდა მოხვედრილიყო. ტრავმის შემდეგ **მონტა ელისის** დაბრუნებით და ახალბედა **სტივენ კარის** შეძენით გუნდის შეტევითი პოტენციალი გაიზრდება. დაუმატეთ ამას **კორი მაგეტი, ანდრის ბიედრინში, სტივენ ჯექსონი,** ლას ვეგასის საზაფხულო ლიგის ვარსკვლავი **ენტონი რენდოლფი** და საკმაოდ საინტერესო კოლექტივს მივიღებთ.

სამწუხაროდ, ყველას ესმის, რომ "გოლდენ სტეიტი" ამ შემადგენლობას ადეკვატურად ვერ გამოიყენებს. კლუბის ხელმძღვანელობა მეტისმეტად არის დაკავებული იმ მოთამაშეების დასაქმებით, რომელიც გუნდის მწვრთნელ **დონ ნელსონს** არ სჭირდება. ბოლო დროს ოკლენდი დატოვეს **ელ ჰარინგტონმა, ჯამალ კროუფორდმა** და **მარკო ბელინელიმ**, თანაც მათ სანაცვლოდ კლუბს თითქმის არავინ მიუღია. თავის რიგს ელოდება **ბრენდან რაიტი.** დონ ნელსონის ტაქტიკის მიხედვით ყოველ მატჩში შვიდი შემტევი მცველი მოედანზე საშუალოდ 30 წუთს ატარებს, ამიტომაც "უორიორზის" დაცვა 2009-10 წლების სეზონში ყველაზე სუსტი იქნება. პლეი ოფში გასასვლელად 45-50 მატჩის მოგებაა საჭირო და ამ მიზნის მისაღწევად "გოლდენ სტეიტს" ზეშედეგიანობაც ვერ უშველის.

## ჰიუსტონ როკეტსი

სამედიცინო პრობლემების გამო მომავალ სეზონს "ჰიუსტონისთვის" ფაქტობრივად ხაზი გადაესვა - ცნობილია, რომ **იაო მინმა** და **ტრეისი მაკგრეიდიმ** (ტი-მაკი, სავარაუდოდ, 2010 წლის თებერვალში მომჯობინდება და საუკეთესო შემთხვევაში ჩემპიონატის ბოლო მესამედს ითამაშებს) ოპერაციები გაიკეთეს. ამასთან, **რონ არტესტის ტრევორ არიზათი** შეცვლა გუნდს კარგ პერსპექტივას უქადის. ამ ზაფხულს არიზას შეძენა კლუბის ერთადერთი მნიშვნელოვანი სვლა იყო.

მეორე მხრივ, "როკეტსი" შეეცადა აქედანვე ჩაეყარა საფუძველი კლუბის ნათელი მომავლისთვის. "ჰიუსტონმა" თითქმის 9 მილიონი დახარჯა ახალბედების - **ჯერმეინ ტეილორის, ჩეიზ ბადინგერის, სერხიო ლულასა** და **დევიდ ანდერსენის** უფლებებისთვის. თანაც ეს არა ხელფასი, არამედ უბრალოდ ამ კალათბურთელებთან კონტრაქტის გაფორმების შანსია. საინტერესოა, რომ 2009-10 წლების სეზონში გუნდის როტაციაში, ალბათ, მხოლოდ ავსტრალიელი ანდერსენი მოხვდება.

თუ **რიკ ადელმანის** შეგირდები ტრავმებს აიცილებენ თავიდან, **აარონ ბრუქსი** და **კარლ ლენდრი** სრულად გამოამჟღავნებენ თავიანთ შესაძლებლობებს, შესაძლოა, "როკეტსმა" პლეი ოფში გასასვლელად იბრძოლოს. მაგრამ გუნდისთვის მთავარი და თითქმის მოუგვარებელი პრობლემა თავდასხმაში თამაში იქნება.

■ ■ ■

აუტსაიდერები და ეკონომიკური კრიზისის მსხვერპლნი - ეს კლუბები გლობალური ფინანსური კრიზისის პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების გამო ვერ განაცხადებენ პრეტენზიას წარმატებულ გამოსვლაზე.

## მემფის გრიზლისი

**კრის უოლესი** "გრიზლისის" გენერალურ მენეჯერად რჩება, მაგრამ კლუბის მფლობელი **მაიკლ ჰაისლი** უოლესის საქმეებში ერევა და შემადგენლობის დაკომპლექტებაში მონაწილეობს. ამას კი კარგი არავისთვის მოუტანია. როგორ უნდა აიხსნას **პაუ გასოლის** "ლეიკერსში" სასაცილო გაცვლა, ერთი წლის შემდეგ კი **ზაკ რენდოლფის** შეძენა, რომელსაც იმდენი უნდა უხადონ, რამდენსაც ესპანელს უხდიდნენ?! ამ ფულის უკეთესად გამოყენებაც შეიძლებოდა - მაგალითად, "იუტადან" **კარლოს ბუზერის** გადაბირება ან თავისუფალ აგენტ **დევიდ ლისთვის** კონტრაქტის შეთავაზება, ან სულაც 16 მილიონის შენახვა. ამ ყველაფერთან ერთად ჰაისლის თავის კლუბში **ალენ აივერსონის** ხილვა სურს... ეს უკვე განებივრებული ბავშვის კაპრიზებს ჰგავს.

ნახევრად ცარიელი არენის მიუხედავად, "მემფისი" ფულის შოვნას აგრძელებს - მაგალითად, 3 მილიონის გულისთვის კლუბი მზად არის, სასარგებლო ცენტრი **დარკო მილიჩიჩი** დათმოს უსარგებლო **კვენტინ რიჩარდსონის** სანაცვლოდ.

გაისად კლუბის ერთგულ ფანატებს უცნაური სანახაობა ელით - ბურთისთვის ნამდვილი ჩხუბი რენდოლფსა და **რუდი გეის** შორის. და თუ ამათ აივერსონიც დაემატება, ამ ტრიომ შეიძლება "შედეგიანი გადაცემების" გრაფაში შეხვედრები ნულით დაასრულოს.

## მინესოტა ტიმბერვულვზი

"ტიმბერვულვზისთვის" ზაფხულმა ძალიან არასტაბილურად ჩაიარა. კლუბმა ყველაზე საშინელი გაცვლა განახორციელა - მხოლოდ იმისთვის გაუშვა **კრეიგ სმიტი,** რომ **სებასტიან ტელფეირისთვის** 2.7 მილიონი დოლარი არ ეხადა. მეორე მხრივ, ახლა "მინესოტას" უფლებები აქვს **რიკი რუბიოზე,** რომელიც ორი წელი ევროპაში რჩება და "მგლებმა" მისთვის 3 მილიონი უნდა იხადონ. "ვაშინგტონში" გაუშვეს **მაიკ მილერი** და **რენდი ფოიე,** სანაცვლოდ ოკლაჰომელი **ჩაკი ეტკინსის** არაგარანტირებული კონტრაქტი მიიღეს. ერთადერთი რეალური შენაძენი გახდა ცენტრი **რაიან ჰოლინზი,** თუმცა მისგან განსაკუთრებულ სტატისტიკას არავინ ელის.

თუ გუნდის მთავარი ვარსკვლავი **ელ ჯეფერსონი** იმ დონეს მიაღწევს, რაც ტრავმამდე ჰქონდა, "მინესოტას" ათეულში შესვლის შანსი გაუჩნდება. "მგლებს" მეტის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ბოლო თვეების განმავლობაში გუნდმა ძალიან ბევრი დაკარგა და კარგ მომავალზე ფიქრი დროებით უნდა დაივიწყოს.

## საკრამენტო კინგზი

კრიზისით შოკირებულმა ქალაქმა და უიმედოდ მოძველებულმა საშინაო არენამ "კინგზს" ამ ზაფხულს მანევრირების საშუალება არ დაუტოვა და კლუბი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა სხვა ქალაქში მოუწევს გადაბარგება. მაგრამ სად? კარგია თუ საკრამენტოში ახალი სტადიონი აშენდება, თუ არა, "კინგზს" სიამოვნებით შეიკედლებენ სან ხოსეში, ანაჰაიმში, კანზასსიტიში და სხვა ქალაქებში.

"საკრამენტომ" 2009 წლის დრაფტზე **ტარიკ ევანსი** აირჩია, რომელსაც პოტენციურად შეუძლია NBA-ის ვარსკვლავი გახდეს, შეიძინა გამთამაშებელი **სერხიო როდრიგესი,** ალბათ, გამოჯანმრთელდება კლუბის ლიდერი **კევინ მარტინი.** ეს "კინგზს" საშუალებას მისცემს, იყოს უბრალოდ ცუდი და არა ის საშინელი გუნდი, რაც 2008-09 წლების სეზონში ვიხილეთ.






ევრობასკეტი. საკვალიფიკაციო

# საფრანგეთი ევროპაზე მიდის

როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთის ნაკრებმა შინ იოლად დაამარცხა ბელგია და 2009 წლის ევრობასკეტის ბოლო საგზური მოიპოვა. კონტინენტის პირველობაზე ფრანგები B ჯგუფში ითამაშებენ, სადაც მათი მეტოქეები გერმანია, ლატვია და მოქმედი ჩემპიონი რუსეთი იქნებიან. საფრანგეთი ევრობასკეტს 7 სექტემბერს გერმანიასთან მატჩით დაიწყებს.

ბელგიას პირველი მატჩი ოთხი ქულით ჰქონდა მოგებული. განმეორებით შეხვედრაში სტუმრებმა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქეს. მეორე ათწუთეული 30 წამის დაწყებული იყო, როცა საფრანგეთი სამი ქულით ლიდერობდა - 21:18. შემდეგი ცხრაწუთიანი მონაკვეთი კი ფრანგებმა 27:5 მოიგეს და მეორე ტაიმი ფორმალობად აქციეს. მეორე ნახევარში მასპინძლებმა თავიანთ უპირატესობას კიდევ 15 ქულა დაუმატეს და საბოლოოდ შეხვედრა 38 (!) ქულის სხვაობით მოიგეს.

პირველი ტაიმის გმირი **რონი ტურიაფი** აღმოჩნდა, რომელმაც 20 წუთში 15 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. ფრანგებში ხუთმა კალათბურთელმა შეძლო 10 და მეტი ქულის დაგროვება. შეტევების ორგანიზებისას შესანიშნავად ითამაშა **ანტუან დიომ,** რომელიც სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე და 9 შედეგიანი პასი მოიხვეჭა.

ფრანგებმა თამაშიდან 71 პროცენტის სიზუსტით ისროლეს, ბელგიელთა ანალოგიური მაჩვენებელი კი 38,2 პროცენტს შეადგენდა, გარდა ამისა, სტუმრებმა საჯარიმოების მხოლოდ ნახევარი გამოიყენეს.

ასე რომ, საფრანგეთი დამსახურებულად მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. შეგახსენებთ, რომ წინა ევრობასკეტზე ამ გუნდმა მერვე ადგილი დაიკავა და პეკინის ოლიმპიადის მიღმა დარჩა.

**საფრანგეთი–ბელგია 92:54**

21:15, 27:10, 22:12, 22:17

ს: ტურიაფი (19+9 მოხსნა), პარკერი (16), დიაო (13+6 მოხსნა), დე კოლო (12), ტრაორე (12), დიო (1+9 პასი), ბატუმი (8).

ბ: ბიგინი (11).

*პირველი მატჩი - 66:70.*

# ჯექსონს დალასში უშვებენ

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "გოლდენ სტეიტ უორიორზის" წამყვანი მცველი **სტივენ ჯექსონი** გაისად გუნდის გამოცვლას აპირებს. მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჯექსონმა უკვე ამ ზაფხულს დატოვოს "უორიორზის" რიგები. გამოცემა Dallas Basketball-ის ცნობით, "მეომრების" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი** "დალას მავერიქსიდან" მიღებული წინადადებით დაინტერესდა.

როგორც ირკვევა, გუნდებს შორის გაცვლა მზადდება, რომელშიც ჯექსონის გარდა "უორიორზის" მხრიდან **მონტა ელისი** მიიღებს მონაწილეობას. უფრო დაწვრილებით მომავალი გაცვლის შესახებ უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. ამბობენ, რომ ნელსონი ახალ სეზონში უპირატესობას ახალბედა **სტივენ კარის** მიანიჭებს და ამის გამო იცილებს თავიდან ჯექსონს.

■ ■ ■

The Newsday-ის ინფორმაციით, "ნიუ იორკ ნიქსი" კვლავინდებურად განიხილავს თავისუფალი აგენტის **დევიდ ლის** გაცვლის ვარიანტებს. ტრეიდი მას შემდეგ შედგება, რაც "ნიქსი" ფორვარდთან კონტრაქტს გააგრძელებს. იმ შემთხვევაში, თუ "ნიუ იორკის" ხელმძღვანელობა სხვა გუნდს ვერ მოელაპარაკა, ლი ერთი წელი "ნიქსის" რიგებში ითამაშებს.

ამ კალათბურთელით ყველაზე მეტად დაინტერესებას "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" გამოხატავს, რომელიც ახლო იყო ლის გაფორმებასთან, მაგრამ შემდეგ გამთამაშებელი **ანდრე მილერი** გადაიბირა. "ნიუ იორკს" სურს, რომ მომავალ გაცვლაში "პორტლენდმა" თავისი ესპანელი ლეგიონერი **რუდი ფერნანდესი** ჩართოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამერიკის ჩემპიონატი. პუერტო რიკო

**A ჯგუფი**

**ურუგვაი–მექსიკა 54:49**

18:10, 8:19, 18:4, 10:16

უ: არიარი (15), ბატისტა (13+18 მოხსნა+3 დაფარება), ნიუსომი (10+6 მოხსნა).

მ: აგირე (12+11 მოხსნა+3 დაფარება+3 ჩაჭრა), ლიასამი (10+6 მოხსნა).

**პუერტო რიკო–კანადა 90:70**

23:14, 22:16, 20:11, 25:29

პ: აროიო (16), აიუსო (16), რივერა (13).

კ: როტენი (18), ენტონი (13+10 მოხსნა), კეპკეი (11), ინგლიში (11+4 ჩაჭრა).

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. პუერტო რიკო - 4 მოგება/0 წაგება, 2. ურუგვაი - 3/1, 3. კანადა - 2/2, 4. მექსიკა - 1/3, 5. ვირჯინიის კუნძულები - 0/4.

**B ჯგუფი**

**ბრაზილია–პანამა 84:64**

23:17, 19:19, 28:14, 14:14

ბ: ბარბოზა (17+4 პასი), ვარეჟაო (15), უერტასი (15+5 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), სპლიტერი (10+7 მოხსნა+4 პასი).

პ: პინოკი (24+8 მოხსნა), პომარე ჯონსი (14+10 მოხსნა).

**არგენტინა–დომინიკ რ. 89:87 (ო)**

19:18, 18:25, 22:17, 15:14, 15:13

ა: სკოლა (30+8 მოხსნა+5 პასი), კინტეროსი (14), პრიჯიონი (11+5 პასი).

დ: ჰორფორდი (24+11 მოხსნა+6 პასი), გარსია (20), ფლორესი (16+6 მოხსნა+4 პასი), მარტინესი (13+11 მოხსნა), ვილანუევა (9+10 მოხსნა).

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. ბრაზილია - 4 მოგება/0 წაგება, 2. არგენტინა - 2/2, 3. დომინიკის რეს - 2/2, 4. პანამა - 1/3, 5. ვენესუელა - 1/3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

აშშ-ის ღია პირველობა

# უსენსაციოდ დაიწყო

გუშინ, თბილისის დროით 19 საათზე „დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირი - ამერიკის ღია პირველობა დაიწყო. იმის გამო, რომ მატჩები ჩვენი დროით დილამდე მიმდინარეობს, სათამაშო დღის სრულ ანგარიშს ვერ შემოგთავაზებთ და დარჩენილი მატჩების მიმოხილვას შემდეგი დღისთვის გადავიტანთ.

გუშინდელი განრიგით კორტზე გასვლამ მოუწია ამერიკის ღიას ბოლო ხუთი გათამაშების გამარჯვებულ **როჯერ ფედერერს**. შვეიცარიელს მეტოქედ ყველასთვის უცნობი ამერიკელი **დევინ ბრიტონი** ჰყავდა და როგორც მოსალოდნელი იყო, სამ სეტში გამარჯვება მოახერხა. ბრიტონი 18 წლისაა და სტუდენტურ ჩოგბურთში ამერიკის ჩემპიონი გახლავთ. დევინი მეორე მატჩს თამაშობდა პროფესიულ ტურში და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფედერერზე ერთით მეტი „ვინერსი“ (საკუთარი დარტყმით მოპოვებული ქულა) დაუგროვდა, თუმცა უნებლიე შეცდომა თითქმის ორჯერ მეტი ჰქონდა.

ფედერერმა ამერიკის ღიაზე ზედიზედ 35-ე მატჩი მოიგო. შვეიცარიელს შეუძლია პირველი ჩოგბურთელი გახდეს ლეგენდარული **ბილ ტილდენის** (1920 წელი) შემდეგ, ვინც ამ ტურნირს ზედიზედ ექვსჯერ მოიგებს.

ბრწყინვალე თამაში აჩვენა პირველ წრეში **კიმ კლაისტერსმა**. ბელგიელი ტრიუმფით დაბრუნდა თავის საყვარელ ტურნირზე (2005 წელს კიმს მოგებული აქვს აშშ-ის ღია პირველობა) და 58 წუთში გაანადგურა უკრაინელი **ვიქტორია კუტუზოვა**. კლაისტერსმა სტარტზე ზედიზედ შვიდი და ბოლო 11 ქულა აიღო, სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა და სულ ორი გეიმი დაუთმო მეტოქეს.

კიმმა დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ ორ ტურნირში მოასწრო თამაში. WTA-ის წესების თანახმად, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩოგბურთელმა სამი ტურნირი უნდა ითამაშოს იმისთვის, რომ რეიტინგში ჩაჯდეს. კუტუზოვაზე გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის ღიას შემდეგ კლაისტერსი მინიმუმ 148-ე ნომერი იქნება.

მეორე წრეში კლაისტერსს გაცილებით ძლიერი მეტოქე ეყოლება - ფრანგი **მარიონ ბარტოლი**, რომელმაც კიდევ უფრო იოლად მოუგო პარაგვაელ **როსანა დე ლოს რიოსს**. 52 წუთში უიმბლდონის ყოფილმა ფინალისტმა ერთი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის.

სხვათა შორის, კლაისტერსი და ბარტოლი სამი კვირის წინ ცინცინატის ტურნირზე შეხვდნენ ერთმანეთს და ბელგიელმა ორ სეტში შეძლო გამარჯვება.

ქალებში პრაქტიკულად ყველა წამყვანმა ჩოგბურთელმა იოლად მოიგო პირველი წრის მატჩი. ერთადერთი განთესილი, ვინც ბრძოლას გამოეთიშა ესტონელი **კაია კანეპი** იყო, რომელიც მოულოდნელად დამარცხდა ვინმე **კაიჩენ ჩანგთან** (ტაივანი).

განთესილებს შორის დანაკლისი მამაკაცებს შორისაც იყო, თანაც ორი. 26-ე ნომერი **პოლ-ანრი მატიო** გააგდო რუსმა **მიხაელ იუჟნიმ**, მასპინძელმა **ჯონ ისნერმა** კი შინ გაამგზავრა რუმინელი **ვიქტორ ჰანესკუ** (28-ე ნომერი).

## კაცები

### I წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-დევინ ბრიტონი (აშშ) 6:1, 6:3, 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 8)**-დიტერ კინდლმანი (გერ) 6:3, 6:4, 7:5; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 12)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:1, 3:6, 6:1, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 14)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:4, 3:6, 6:2, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-პიოლ ანრი მატიო (საფ, 26) 2:6, 7:5, 6:0, 6:2; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 28) 6:1, 7:6(14), 7:6 (5); **იან ჰერნიხი (ჩეხ)**-რაინერ შუტლერი (გერ) 1:6, 7:6(5), 6:4, 2:6, 6:3; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-პიტერ პოლანსკი (კან) 6:4, 6:4, 5:7, 3:6, 6:1; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-მიშა ზვერევი (გერ) 2:6, 7:5, 3:6, 6:4, 6:0; **სიმონ გროილი (გერ)**-ჯოვანი ლაპენტი (ეკვ) 6:3, 4:6, 3:6, 6:0, 7:6(9); **მარკო ჩიუდინელი (შვეიც)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6(3), 7:6(2), 6:0; **მარსელ ილჰანი (თურ)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 3:6, 6:3, 3:6, 7:5, 7:5; **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:3, 6:2, 6:2; **სომდევ დევვარმანი (ინდ)**-ფედერიკო ჟილი (პორ) 6:3, 6:4, 6:3; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-იგორ კუნიცინი 6:3, 6:0, 6:2.

## ქალები

### I წრე

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:4, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:0, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:1, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 10)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:0, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-პატრისია მეირი (ავსტრია) 6:1, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 14)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 6:1, 6:0; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 15)**-აი სუგიამა (იაპ) 6:4, 4:6, 6:4; **ამელი მორესმო (საფ, 17)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:3, 6:4; **კაი ჩენ ჩანგი (ტაივ)**-კაია კანეპი (ესტ, 25) 6:0, 2:6, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 26)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1, 6:2; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-ვიქტორია კუტუზოვა (უკრ) 6:1, 6:1; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1, 7:6(7); **ვანია კინგი (აშშ)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 2:1 იაკიმოვას უარი; **სტეფანი ფოგელი (შვეიც)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:7(10), 6:1, 6:3; **მარია კირილენკო (რუს)**-მარია კორიტცევა (უკრ) 6:2, 6:1; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-ვალერი ტეტრო (კან) 6:3, 4:6, 6:1; **მალინდა ჩინკი (უნგ)**-მარია კამერინი (იტა) 6:3, 6:4; **სანია მირზა (ინდ)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:2, 3:6, 6:3; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-კარლი გალიქსონი (აშშ) 6:3, 7:6; **ბარბორა ზახვალოვა სტრიჩოვა (ჩეხ)**-მარტა დომახოვსკა (პოლ) 2:6, 6:2, 6:3.



როჯერ ფედერერი

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

#### ქალები

| | |
|---|---|
| რუსეთი-იტალია | 0:2 |
| შვედეთი-ინგლისი | 1:1 |

### ინგლისი

#### ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| პიტერბრო-კრ. პალასი | 1:1 |
| ნიუკასლი-ლესტერი | 1:0 |

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-ჩესტერი | 1:1 |
| ისტბურნი-ებსფლიტი | 1:2 |
| გრეისი-უიმბლდონი | 2:4 |
| ჰეიესი-სალისბერი | 3:4 |
| ჰისტონი-სტევენეიჯი | 0:2 |
| მენსფილდი-კეტერინგი | 0:0 |
| ოქსფორდი-ფორესტ გრინი | 0:0 |
| რაშდენი-კემბრიჯი | 1:1 |
| ტამუორტი-კიდერმინსტერი | 2:1 |
| რექსჰემი-ბაროუ | 0:0 |

### იტალია

#### სერია B

| | |
|---|---|
| ტორინო-ემპოლი | 3:0 |

#### სერია C1/A

| | |
|---|---|
| პერუჯა-ფილინე | 1:0 |

### გერმანია

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| დუისბურგი-ფორტუნა | 3:0 |

### საფრანგეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბრესტი-ნანტი | 1:2 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ნასიონალი-ოლანენსე | 1:1 |
| ბენფიკა-სეტუბალი | 8:1 |

### დანია

| | |
|---|---|
| სილკებორგი-ოდენსე | 3:1 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-სტაბეკი | 1:2 |
| რუსენბორგი-ლინი | 4:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ბრომაპიოკარნა-იორგრიტე | 1:2 |
| გაის-იურგორდენი | 1:1 |
| მალმიო-ჰელსინგბორგი | 0:0 |
| ერებრუ-გეფლე | 2:0 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ქსამაქსი | 1:3 |

### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| ვადუცი-ლოზანა | 0:1 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ანკარა-გალათასარაი | 0:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ქონია-ერჩიესი | 1:1 |

### კვიპროსი

| | |
|---|---|
| არისი-აპეპ | 2:0 |

### ისლანდია

| | |
|---|---|
| გრინდავიკი-ფილკირი | 2:3 |
| სტიარნანი-ბრეიდაბლიკი | 1:3 |
| ტროტური-ჰაფნარი | 0:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სიგმა-სპარტა | 1:1 |
| ბრნო-ტეპლიცე | 2:3 |
| სლავია-სლოვაცკო | 3:0 |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ამკარი-ნალჩიკი | 1:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ნოსტა-კამაზ | 1:2 |
| ალანია-ურალი | 0:0 |
| მეტალურგი-სკა ენერგია | 1:6 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-სიბირი | 1:0 |
| ვიტიაზი-ვოლგა | 0:2 |
| სალუტი-ლ. ენერგია | 1:0 |
| ჩერნომორეცი-ანჟი | 1:2 |
| კრასნოდარი-გაზპრომი | 2:2 |
| ბალტიკა-ჩიტა | 2:1 |

### უკრაინა

| | |
|---|---|
| შახტარი-ზორია | 3:1 |
| დინამო-მეტალურგი (დ) | 3:1 |

### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ბატე-დინამო (მნ) | 1:1 |

### ბოსნია

| | |
|---|---|
| სარაევო-ტრავნიკი | 2:1 |

### ისრაელი

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ა-ნ) | 2:0 |
| ბნეი შახნინი-ბეითარი | 0:0 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| ლანუსი-ბოკა ხუნიორსი | 1:2 |
| ნიუელსი-ურაკანი | 1:0 |

### ბრაზილია

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-გრემიო | 3:3 |
| ინტერნასიონალი-გოიაში | 4:0 |
| ვიტორია-კრუზეირო | 3:3 |

### კოლუმბია

| | |
|---|---|
| დეპ. პერეირა-ინდეპენდიენტე | 1:0 |

### მექსიკა

| | |
|---|---|
| ს. ლაგუნა-ტიგრესი | 2:2 |
| ამერიკა-ტოლუკა | 7:2 |

### აშშ

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-კოლამბუსი | 1:0 |

## კალათბურთი

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| ლიტვა-რუსეთი | 66:61 |

TV პროგრამა

## 1 სექტემბერი. სამშაბათი

### I არხი

13:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

06:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. დუისბურგი-ფორტუნა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
14:10 ინგლისის ჩემპ. ტურის მიმოხილვა.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:35 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. დუისბურგი-ფორტუნა.
18:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
01:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
03:05 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
04:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

### HTB-პლუსი (ონლაინი)

08:00 სპორტული დილა.
08:45 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. ჩინეთი.
10:30 ახალი ამბები.
10:40 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ინგლისი.
14:20 ახალი ამბები.
14:30 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
15:00 სპორტული დღე.
15:45 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
16:10 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. ფილადელფია-ატლანტა.
18:40 ახალი ამბები.
18:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე (LIVE).

### EUROSPORT

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე.
13:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
14:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-იტალია. ფინეთი.
16:00 ველოსპორტი. ვუელტა. IV ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე (LIVE).

მოტორბოლა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისის გრან-პრი

## XII ეტაპი

### 125 cc

1. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, "დერბი") - 42.07,925; 2. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - +0,120; 3. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - +0,448; 4. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია") - +1,613; 5. **ხულიან სიმონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +1,801; 6. **მარკ მარკესი** (ესპანეთი, KTM) - +19,345.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ხულიან სიმონი** - 185 ქულა; 2. **ნიკოლას ტეროლი** - 132.5; 3. **ბრედლი სმიტი** - 131.5; 4. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - 112; 5. **ანდრეა იანონე** (იტალია, "აპრილია") - 109.5; 6. **პოლ ესპარგარო** - 104.5.

### 250 cc

1. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, "ხილერა") - 45.43,599; 2. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +1,943; 3. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - +4,661; 4. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია) - +12,776; 5. **რობერტო ლოკატელი** (იტალია, "ხილერა") - +15,475; 6. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 19,471.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ჰიროში აოიამა** - 192 ქულა; 2. **ალვარო ბაუტისტა** - 176; 3. **მარკო სიმონჩელი** - 165; 4. **ექტორ ბარბერა** - 133; 5. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - 100; 6. **რაფაელე დე როსა** (იტალია, "ჰონდა") - 82.

### მოტოგრანპრი

1. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - 47.13,592; 2. **ალექს დე ანჯელისი** (სან მარინო, "ჰონდა") - +9,435; 3. **ნიკი ჰაიდენი** (აშშ, "ჰონდა") - +12,947; 4. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, "ჰონდა") - +13,478; 5. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +26,254; 6. **ჯეიმს თაუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა") - +32,408.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - 212 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** - 187; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 150; 4. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 141; 5. **კოლინ ედვარდსი** - 123; 6. **ანდრეა დოვიციოზო** - 120.

ველოსპორტი

## ვუელტა

### II ეტაპი

#### ასენ-ემენი (ჰოლანდია). 202 კმ

1. **გერალდ ჩოლეკი** (გერმანია, Milram) - 4.43,12; 2. **ფაბიო საბატინი** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო; 3. **როჯერ ჰემონდი** (ბრიტანეთი, Cervelo) - იგივე დრო; 4. **ანდრე გრაიპელი** (გერმანია, Columbia-HTC) - იგივე დრო; 5. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - იგივე დრო; 6. **ლეონარდო დუკე** (კოლუმბია, Cofidis) - იგივე დრო...

#### საერთო ჩათვლა

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - 4.48,32; 2. **გერალდ ჩოლეკი** (გერმანია, Milram) - +0,08; 3. **ტომ ბოონენი** (ბელგია, Quick Step) - +0,09; 4. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - +0,12; 5. **იენს მოურისი** (ჰოლ, Vacansoleil Pro Cycling Team) - +0,14; 6. **დანიელე ბენატი** (იტა, Liquigas) - +0,16... 8. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +0,18; 9. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 11. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, "ასტანა") - +0,19... 35. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +0,28... 63. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - +0,36... 78. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +0,42... 139. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - +1,08...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ახალი სკანდალი

## ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია სინგაპურის შარშანდელი რბოლის შედეგებს იკვლევს

ფორმულა 1-ში, შესაძლოა, ახალი გრანდიოზული სკანდალი აგორდეს. ბრაზილიურმა ტელეარხმა "გლობომ" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: ერთი წლის წინ სინგაპურის გრან-პრის დროს "რენოს" ხელმძღვანელობამ **ნელსინიო პიკეს** ავარიის მოწყობა უბრძანა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი პილოტის ავარიის შემდეგ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა და ამან საბოლოოდ "რენოს" ლიდერ **ფერნანდო ალონსოს** რბოლა მოაგებინა.

ბრაზილიური ტელეარხი ირწმუნება, რომ საკმარისი მტკიცებულებები გააჩნია და ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ პიკემ "რენოს" ბოქსებიდან მართლაც მიიღო შესაბამისი ბრძანება.

შარშან სინგაპურის ეტაპზე ალონსომ სეზონში პირველი რბოლა მოიგო. გადამწყვეტი მომენტი გახდა ნელსინიო პიკეს ავარია მე-14 წრეზე. მაშინ ფერნანდომ მე-15 პოზიციიდან აიღო სტარტი. ავარიის მომენტში ის უკვე შესული იყო ბოქსებში და საწვავის ავზი შევსებული ჰქონდა, ტრასაზე პეისკარის გამოსვლის შემდეგ კი, წესის თანახმად, ბოქსები დახურეს და ესპანელმა უპირატესობა მოიპოვა, რაც დამაჯერებლად გარდასახა გამარჯვებაში.

ფინიშის შემდეგ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ პიკეს ავარია ალონსოსთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ დროს მოხდა. ხუმრობდნენ კიდეც, რომ ბრაზილიელი სპეციალურად შეასკდა კედელს... მაშინ გუნდის მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს, მაგრამ ახლა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) ამ საქმესთან დაკავშირებით ოფიციალური გამოძიება დაიწყო.

FIA ინფორმაციის წყაროს არ ასახელებს, მაგრამ "გლობო" გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, რომ "რენოდან" პიკეს დათხოვნის შემდეგ, შესაძლოა, თავად ბრაზილიელი გამხდარიყო გამოძიების ინიციატორი.

თუ გამოძიების დროს სპორტული პრინციპების დარღვევა დადასტურდება, ფრანგულ საჯინიბოს ფედერაციის მსოფლიოს საბჭოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



პიკეს შარშანდელი ავარია



# ბადოერს ხვალ გაუშვებენ

არ ცხრება ვნებათაღელვა "ფერარის" იტალიელ პილოტ **ლუკა ბადოერის** გარშემო. **ფელიპე მასას** შემცვლელმა ვერ გაამართლა "სკუდერიას" ხელმძღვანელთა იმედები, თუმცა "ფერარის" შეფობა ჯერ არ ჩქარობს ვეტერანი პილოტის შეცვლას. როგორც "წითლების" სპორტული დირექტორი **სტეფანო დომენიკალი** ამბობს, იტალიის გრან-პრისთვის გუნდის შემადგენლობა ოთხშაბათს გახდება ცნობილი.

საქმე ის არის, რომ "ფერარიში" ფელიპე მასას ჯანმრთელობის შესახებ ბოლო ცნობებს ელიან. ბრაზილიელი პილოტი მაიამიში გადის სამედიცინო შემოწმებას.

თუ ექიმების დასკვნის მიხედვით მასა მიმდინარე სეზონში მოახერხებს ტრასაზე დაბრუნებას, ამ შემთხვევაში მის სრულ გამოჯანმრთელებამდე "ფერარის" ბოლიდით ბადოერი ირბოლებს, ხოლო თუ ფელიპეს დაბრუნება მომავალი სეზონისთვის გადაიდო, ლუკას ადგილს რომელიმე სხვა პილოტი დაიკავებს.

*"შემდეგი გრან-პრისთვის გუნდის შემადგენლობა უახლოეს სამ დღეში გამოცხადდება. ექიმების დასკვნის შემდეგ ჩვენ კიდევ გავაანალიზებთ სიტუაციას, ყველა ფაქტორს გავითვალისწინებთ და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ"*, - ამბობს დომენიკალი.

■ ■ ■

დომენიკალის კომენტარის პარალელურად, იტალიური პრესა სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებს ბადოერის სავარაუდო შემცვლელთან დაკავშირებით. გაზეთი Repubblica ამტკიცებს, რომ "რენოს" პილოტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** 13 სექტემბერს მონცას ტრასაზე დაიკავებს ადგილს "ფერარის" ბოლიდში. დაინტერესებულ მხარეთა სპონსორებმა ამ ტრანსფერზე თანხმობა უკვე განაცხადეს და ესპანელის "წითლებში" გადასვლას დღეს ოფიციალურად გამოაცხადებენ. თავის მხრივ, ალონსოს "რენოში" "BMW-ზაუბერის" პილოტი **რობერტ კუბიცა** შეცვლის.

მეორე ვარიანტად სახელდება ბადოერის **ჯანკარლო ფიზიკელათი** ჩანაცვლება. "ფორს ინდიას" პილოტმა ბელგიის გრან-პრიზე ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა ინდურ გუნდს არსებობის ისტორიაში პირველი პოული და პირველი ქულები მოუტანა. თუმცა "ფორს ინდიას" ბანაკში განაცხადეს, რომ "ფერარიდან" მათ არავინ დაჰკავშირებიათ.

# რაიკონენი: მაკლარენი თუ ბრაუნ გრან-პრი?

ავტორიტეტული გერმანული გამოცემა Motorsport-Total იტყობინება, რომ "ფერარის" პილოტი **კიმი რაიკონენი** მომავალ სეზონში "მაკლარენში" დაბრუნდება. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ფინელის ბრიტანულ გუნდში ჩარიცხვა, შესაძლოა, არ მოეწონოს "მაკლარენის" ლიდერ **ლუის ჰემილტონს**, რომელიც კმაყოფილია ამჟამინდელი სიტუაციით, მის მეწყვილე **ჰეიკი კოვალაინენს** აშკარად მეორე ნომრის სტატუსი აქვს გამოყოფილი. თუმცა საჯინიბოს შეფი **მარტინ უიტმარში** აცხადებს, რომ ბრიტანელს უფლება არ აქვს მეორე პილოტის არჩევაში მიიღოს მონაწილეობა.

*"პილოტს არ შეუძლია თავად აირჩიოს მეწყვილე. ამ გადაწყვეტილებას გუნდი იღებს. ლუისი კარგად უგებს ჰეიკის, ისინი ერთად შესანიშნავად მუშაობენ, მაგრამ ჰემილტონი გუნდის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს"*, - ამბობს უიტმარში.

ამასობაში ვებგვერდი TomorrownewsF1 ამტკიცებს, რომ ბელგიის გრან-პრის დროს რაიკონენის მენეჯერმა **სტივ რობინსონმა** ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც ფინელი პილოტისა და ამ სეზონის ლიდერის "ბრაუნ გრან-პრის" თანამშრომლობას ითვალისწინებს. მომავალი ხელშეკრულება ორწლიანი იქნება. გაისად კიმი 12 მილიონ დოლარს მიიღებს, 2011 წელს - 16 მილიონს. ასეთივე ხელფასი ექნება ბრიტანელ **ჯენსონ ბატონს**. ორივე პილოტი გუნდში თანაბარი სტატუსით ისარგებლებს.

ამავე ინფორმაციის თანახმად, "ფერარისთან" მოქმედი კონტრაქტის გაწყვეტისთვის "ბრაუნი" "ფერარის" 16 მილიონს გადაუხდის.







